

# ჯება ლუმილი

სიფრვის სასაფლაოზე



„ეროვნული მწერლობა“

2009

რედაქტორი მზია ხეთაგური

დიზაინერი ნუკრი ბერიძე

კორექტორები: რუსულან ლებანიძე  
ნანა თეთრაძე

გომპიუტერული უზრუნველყოფა:

გერიკო ზამთარაძე  
სალომე პაიჭაძე

## გეტი – პირდაპირ გულისყენ

„ორ, სიმდაბლეთ მაღლისათ“... მაიქაელ მოდრეკილის ეს სიტყვები აქვს წამძღვანებული ჯუმბერ გოგრიჭიანის ერთ პატარა ლექსის, სადაც პოეტი მიმართავს დარიძს: „შენც ღმერთკაცი ხარ, დარიძკაცო, როგორც მწერლობა და სიტყვილია...“

საერთოდ, დარიძის მიმართ თანადფომას დიდი ადგილი უჭირავს ჯგოგრიჭიანის პოეზიაში. „ქებათა ქება სიღარიბებს“ — არის ასეთი ციკლი წინამდებარე წიგნში. ეს თქმა აქტუალურია ჩვენს, ჯერაც შეჭირვებულ დროში. თუმცა: თუ პოეტი ხარ და შეძლებულიც, ეს შენს პოეზიას დიდად არ აგნებს, — ცოტა წაადგება კიდეც. მაგრამ თუ უსაშეგელო სიმდიდრე შეგეყარა, პოეზია ბანქში ჩადებული განმიფით გაფიქრება, — მას შენს მიერ აღებული კრედიტი შეიწირავს. ბალზაკის სიტყვებით, „უნდა იაზროვნო, როგორც ღმერთმა და იცხოვოთ, როგორც რომელიმე ფრანგმა ბურუჟამ“. რა თქმა უნდა! ოღონდ ეს მას შემდეგ, თუ შენი სიცოცხლე ლექსში მარგალიტების ძიებასა და ადამიანობით ადამიანების სამსახურს შეაღიერ. შერე მოდის დაღვინების ხანა (უამრავი დანაკარგისა და იმედგაცრუების შემდეგ), ამიტომაც შეეცდები სიცოცხლის ახლებურად აწყობას, როგორც „რომელიმე ფრანგი ბურუჟა“, ან სულაც, რომელიმე „ახალი ქართველი“... და აღმოჩნდება, რომ წლების მანძილზე ლექსებით ჩაყრილი საძირკველი ვერ უძლებს პრაგმატიზმის სართულების სიმძიმეს — ცხოვრების რეალობა მიწისძვრასავთ შეგარყევს!

ჯუმბერ გოგრიჭიანის რუდუნებით უყვარს თავისი საქართველო, განსაკუთრებით რაჭის სოფელი დები, რომელიც პოეტის სულის საყრდენი ანუ წონასწორობის დაცვის ეპიცენტრია. ამიტომაც ფსევდონიმად მან ჯუბა



დებელი აირჩია, თუმცა არასოდეს უცხოვრია ისე, თავისი გვარისა რომ შერცხვეს.

ჯუბა ლეგენა კი, ჯუბა დებელი, „სიყვარულისგან გარსკვლავებები მოყრილი დამის“ პოეტია და თავის მოღვაწეობას სხვა დარგებში (ტელე-რეჟისორი, ჟურნალისტი) მხოლოდ პოეტური სტრიქონების კარნასით ცდილობს. მას აქვს უფლება, „მეორადი ხალხის“ ინტერესები დაიცვას და კომპიუტერულად მოაზროვნე რობოტებს ბუნების მშვენიერება და სულიერი ღირებულებები შეახსენოს.

მოუხედავად იმისა, რომ დღემდე ორი წიგნი აქვს გამოცემული, ვფიქრობ, რომ ეს კრებული (მრავალი წლის მანძილზე დაწერილ-ნალთლიავები) უხათუოდ დაიმკვიდრებს თანამედროვე ქართულ პოეზიაში ყურადსაღებ ადგილს.

გამჭვირვალე და ფაქტია ლექსი „დარჩა სოფელში ჩემი ბაგშვობა“. იგი ყოვლისმომცველ ფიქრებს აღძრავს და ერთხელ კიდევ, თითქოს გამადიდებელი შეშით, ჩაგახედებს იმ წარსულში, რომელშიც რეალობა მირაჟიფით ტკბილა: „დარჩა სოფელში ჩემი ბაგშვობა, ჩემი ცხოვრების მთელი სიმდიდრე...“

უამრავი წიგნის რედაქტორი კუთხილვარ. ბეჭრი ნიჭიერი ავტორის შემოქმედებას გავეცნა. ამ კრებულზე მუშაობისას განსაკუთრებული შთაგონება გამიჩნდა. ვგრძნობ, რომ აუარება გამომცემლობათა „პიარ-პრიალა“ წიგნების ზღვაში, ეს წიგნი ის იაღწენიანი გემი იქნება, რომელსაც გეზი პირდაპირ გულისკენ აქვს აღებული.

**შზია ხეთავური**



## მ ყ ი ს ხ ვ ე ც ლ ს

ვის მიგწერ ამ წერილს?... მოდი შენ მოგწერ. როდის-თვის? — 2010-თვის. უფრო შორს ვერ გადავდებ, მე მა-შინ ცოცხალი უნდა ვიყო. ასე ვერ მოგისვენებ, საფლავში ვერ წავიღებ მტრის ჯავანს, ჩემმა თანატოლებმა ჯერ 9 აპრილს, შეძლევ სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ტრაგედიასას და ბოლოს (ბოლოს კი?) სამოქალაქო ომის დროს რომ დამიტოვეს.

ამ წერილის გახსნისას უნდა გითხრა: აი, ხომ გეუ-ბნებოდი ყველაფერი როგორ მაღე დალაგდება, რომ ის-ტორისთვის ათი-თორმეტი წელი არაფერია-თქო და ა.შ. და ა.შ.

მაშინ, რა თქმა უნდა, ჩვენს ქალაქში (და სხვაგანაც) ქართული სული იტრიალებს, აღარც ამდენი მათხოვნები, მაწანწალა ბაგშვები და დაბეჩავებული მოხუცები იქნებიან.

შუქიც, რა თქმა უნდა, უწყვეტად იქნება, გაზიც და კიდევ ბევრი, ბევრი საუკეთესო რაშ.

მხოლოდ ეგ არის, იქნებიანდა ჩემი ბებია-ბაბუები? ან ვინ გამოაქლდება იმ ფართო წრეს, სამეგობროს და რაჭულად, „გარსაგის“ რომ ვეძანით. მიდის დიდებულთა ქარავანი, მოდის მშენებელი ახალგაზრდობა. ახლა მეზობლის ტელევიზორიდან „მრავალუამიერი“ ისმის. „მრავალუამიერი“ იყოს შენთან ერთად, ჩემთ სიყვარულო.

ვიტყვი კიდევ ერთს, რაც მე ასე ძალიან მაწუხებს და მტკიფა. ვათუ ციფილიზაციამ წალეპოს ქართული სული, ვათუ გადაგვიჯიშდნენ შვილები და სიყვარულმა, რომლის გულისთვისაც აზრი აქვს სიცოცხლეს, თავისი მშვენიერება და კარგოს და მარტო გართობის საშუალებად იქცეს.

რაც უფრო მემატება წლები, ვგრძნობ, რომ უფრო



მეტად ვწერ გენერაციის სიყვარულის არსეს, მასი განცდის, ტკიფილი-სა და უზომთ ბედნიერების ფილოსოფიას.

სიყვარულთან არაფერს დაედგომება — აღარც სი-ძულვილს, აღარც შურს, აღარც გამდიდრების მანიას. მას-თან ყველაფერი ნულის ტოლია. სარტყოს სიყვარული კი სამშობლის სიყვარულს ჰგავსთ ძალიან — უთქვამს ბრძენკაცს.

დმგროვ, იმდენი რამ მაქვს მოსახწოები... რა იქნება 2010 წელს?

## *დგტორი*

2000 წ. | იანვარი



## ს ა ხ ე ბ ი

მწუხარის ჟამია,  
უფლის საყდარში  
ნაზად გალობენ სალიტანიოს,  
მოვა ავშარი,  
ნაგიუმაჟარი,  
რომ ცისქვეშეთში წარმიტანიოს.  
თვალებს არ მთხოვიან,  
გვამს ეკრძალვიან,  
ფრთხილად მაყრიან მიწას მუჭებით,  
სისულელეა,  
ამ უთავბოლო  
ყოფას რისთვისლა ვებლაუჭები...

სისულელეა,  
როგორ ვიცხოვო,  
იქ საიდანაც ასე გამრიყეს,  
იქ, სადაც  
კაცის ბოროტ ზრახვებში,  
ვერ ჩაერევა არსთაგამრიგე,  
უაზრობაა  
ამ საუკუნის  
ყველანაირი ახლა ბრალდება,  
დამის ბინდ-ბუნდი  
განთიადივით  
უმისამართოდ მოემართება.

მე დავიდალე  
განსჯის ლოდინში,



სიკვდილისა და ძეგლი ცოდვების,  
ისევ მაოცებს  
მზის დაბნელება  
და თეთრ დამეში მთვარის ბოდვები...  
ცისა და მიწის  
უღელტეხილზე  
მთვარეულივით უნდა ვიარო  
და თქვენ ტყუილად  
მობრძანებულ სართ,  
სერაფიმებო, სამგლოვიაროდ.

დღემდე სისხლივით  
დუღს პოეზია  
და მე მომშივდა ლექსი ძალიან,  
თუმც მედროვენი  
თქვლეფენ სალაფავს  
და პოეტებსაც არ ეკრძალვიან...

აჟა, სრულდება  
ეს საუკუნეც,  
ოცდამეერთის არსი მაუწყე,  
მოდი, უფალო,  
მოდი გვესტუმრე,  
თერთმეტი მუზის დღესასწაულზე.

მოდი, ცოდვილებს  
გამოგვინათე  
ჩაჟამებული თვალთა რიდენი,  
თუ ლირსი არ ვარ,  
შენს საბრძანებელს  
დაუფიქრებლად განვერიდები...



სუფეევს სიწმინდე  
კეთილშობილთა,  
ამ დედამიწის ცვრიან მდელოზე,  
მოდი, უფალო,  
ჩვენც გვიწილადე,  
შენი მაღლი და სიანგელოზე.

1999.



## „ოი, სიმღამლეო მაღლისაო”

ზიქაველ მოღრეკილი

„ოი,  
სიმღამლეო მაღლისაო”,  
ვით უბრალოება თავდახრილი,  
შენც ღმერთკაცი ხარ, ღარიბკაცო,  
როგორც  
მწერლობა და სიკვდილი.

ოი,  
სიყვარულის დიადემავ,  
მწუხარი დარჩენილ წლებს ჩამომიკლებს,  
ხორცი დედამიწას მიბარდება,  
სული  
გაფრინდება სამოთხისკენ.

2003.



## ოლიმპი

მივდივარ, მელიან პარნასზე მუზები,  
არ დარჩათ ადგილი პოეტებს მიწაზე,  
მთვარიან დამეში ვარსკვლავებს კუმზერდი  
და შენი ღვთიური თვალები ვიწამე.

ეშმაა ეს ქარი, გულს ასე რომ მიპობს,  
უაზრო ცხოვრებამ დამღალა, მომთენთა,  
მე ვიცი, თავისკენ მომიხმობს ოლიმპო,  
სავანე მუზათა, ღმერთთა და პოეტთა.

მე ვგრძნობ, რომ არსებობს საწყისი მესამე,  
სამყარო დაბერდა და გაცვდნენ გრძნობები  
და ვიდრე გრაალის თასიდან შეგსვამდე,  
ვიდრე ამ მიწაზე ჩემს ალაგს მოვძებნი...

ვიდრე ჯვარს მაცვამდნენ, ჯიქებთან მორკინალს,  
იქნებ შენ მოხვიდე და კვლავ მიპატრონო,  
მე უკვე, ძვირფასო, შეშლილი ორბი ვარ,  
მუზათა ქალაქში მიმიდე, აპოლონ!

ყალბია მიწაზე სიწრფელის თამაში,  
აქ შენი გრძნობების ვერ ნახავ მოწილეს,  
ცხოვრების სოფელში, ცხოვრების ქალაქში  
ვიტანჯე, უფალო, და შენსკენ მოვიწევ.



## მუციკოს უსალაფონიზე

თითქოსდა  
მიწიდან ამოდიან,  
თითქოსდა  
მიწაში ჩადიან,  
ეს არის  
ცხოვრების პაროდია,  
მიწა კი,  
სულ ერთი ადლია.

არც ვინმეს  
უხარია ამოსვლა,  
არც ვინმეს  
სიამოგნებს ჩასვლა,  
შევყურებ ცას –  
უფლის სალოცავს,  
მიწას, ვით  
წმინდანთა საფლავს.

2002.



## ნიკალა ლაშვილი

ამშვენებ ლარიანს,  
ნიკალა,  
დაგხატეს მხატვარი  
ერთ ლარზე,  
მას შენ და,  
შენ ის არ გიყვარდა,  
როგორ ეგუებით  
ერთმანეთს!

ეჭ, ნიკალ,  
ფული რა დარდია,  
შენც იცი,  
კაცს ყოფნის მცირედი,  
რაც ქვეყნად  
ოქრო და ლალია,  
შენს პირველ ნახატში  
მივცემდი.



\* \* \*

ո՞յ  
Քյուտօնսօբակուս Ծյուրտօն  
Ցեղար Խոճաց,  
ո՞յ Տոճառօծեց  
Եյօթրաց Ցայլուցէ,  
ն՞յ Ցալաշեցցէ  
մանց Օմ ՑԽոճան,  
Ռոմելուց  
Եցալ-Կյեց  
Ազոյցանս Կամցէ.

Լյելսյեծ  
Ըցոնօնից და პյուրնից ըպուդი,  
ეს արօն ჩյմո  
Վոდვաც და մագլուց,  
Շյն,  
ჩյմო Լմյուրտოն,  
մօմահցց Տոյցարուց  
და Տոյցարուցուն  
Շյուցելս  
Ցամեծօն.

2001.



## სიცურის სასაფლაოზე

მომავალი  
მაგიურებს,  
იდუმალის  
შიში მაქვს,  
რუსთაველის  
გამზირზე,  
წიგნის  
პანაშვიდია.

ახლა  
აღარ ფასობენ  
ეს წიგნები  
სრულიად,  
სიტყვის  
სასაფლაოზე,  
ღრუბლებს  
გადაუველიათ.

2001.



\* \* \*

ამოვლებულან  
თითქოს  
ემბაზში  
და ფერხული  
აქვთ  
ნასვამ  
გარსკვლავებს  
და მოვარეც,  
როგორც  
ლამის  
მეძავი,  
გაშიშვლებული  
ცაზე  
კაშკაშებს.

2000



## ვე ცელი

ოცდაცამეტი  
წელი,  
ჯვარზე გაძრული  
ქრისტე,  
ჩემი ცხოვრება  
მთელი,  
მძიმე ცოდვებით  
გზიდე,  
უფლის საყდარში  
შესვლით,  
შენ მოგიპოვებ  
ისევ. . .

2000



## სცუმრად მომიხველ ხევსური

ჩემს ხევსურ მეცობრებს

სტუმრად მომიხველ ხევსური,  
ავტეხე ერთი ამბავი,  
სუფრა არ გვქონდა მეფური,  
გვედგა მუავე და  
არაყი.

ჩემს დღეში ასე ჩამგდებსა,  
ერთი ლამაზად ვუკურთხე,  
ხევსურმა – აბა რაებსა,  
ჩმახავ და წყენით  
პბუბუნებ.

ვის ულხინს, ჩემთან მოხვალ შენც,  
ვერც რაიმ საკლავს დაგიკლავ,  
ე, ვეურ, ყანწი მოშვილდე,  
დავლიოთ რამე,  
არიქა!

ცხვარ-ძროხაც მყვანდა, შენ იცი,  
დიდი ვიყავით ჯალაბიც,  
მეტყოდი – ხინკალ შემიწვი,  
– გიწომდი,  
განა გამადლი.

ცხვარსაც გიკლავდი და ქალსაც  
ვართვევინებდი საწაწლოდ,  
დღეს არაფერი აღარ მაქვს,



დავცარიელდი  
ძმაკაცო.

— არც ცხვარი მინდა, არც ძროხა,  
მიცოცხლე, ძმაო, ათას წელს,  
ვისაც ცხოვრება გადასდის,  
მიწას ტყუილად  
აწვალებს...

დალივ,  
ერთი მაგათიც,  
შენს შაირებთან

მაწაწლე!

2000



## ს ი ტ უ ლ ი ს ი ტ ყ ვ ა

საქართველოში  
უცხოებმა ისე შეტოპეს,  
„ვივა “მაკდონალდს”,  
“ვივა “ბიგ-ბენს”,  
ევრო-რესტორნებს!

ქართული სიტყვა,  
სხვა სიტყვებთან ისე მწირია,  
ლამის ამოხტნენ  
წინაპრები შავი მიწიდან.

“მეტებ-პალასში”  
ბატონები შლიან შეხვედრებს,  
ჩვენ ვერ წავსულვართ  
მოყვასის და მოძმის ქელებზე.

საცოდავია სუყველაზე  
უფრო ათასგზის,  
დედა, რომელმაც  
ვერ იპოვა შვილის საფლავი.

მამა, რომელიც  
ამ შვილების თვალწინ გალახეს,  
მკვდარი, რომელსაც  
არ რგებია ფიცრის სასახლე.

ბატონები კი,  
ესკორტებით დაბრძანდებიან,



თითქოს ეს ბედად  
დაუწესეს დაბადებიდან.

აღარც განკითხვას,  
აღარც ცოდვებს არა ნაღვლობენ,  
როგორც ამბობენ,  
შესყიდული აქვთო, სამოთხეც.

საქართველოს კი,  
საქართველოს სტკიგა ძალიან,  
საქართველოსთვის  
საქართველოს არა სცალია.

1999.



ილია

ასჯერ  
გაივლის  
ჭავჭავაძე  
წიწამურის  
გზას,  
ასჯერ  
შესძახებს  
დამხვდურ  
ყაჩაღს —  
ილია გარო...  
ვით საქართველოს,  
გადმოსკდება  
მაღალ შუბლიდან,  
ამ ერის მამას  
ცრემლის პვირტი  
და სისხლის  
წყარო.



## ულამ ეიძულო

მორჩა,  
რაც მე შენ  
ასე გნათრობდი,  
გულო,  
ცოდვილო,  
ვეღარ გიშველი,  
გდია  
სხეული –  
ძონდი მათხოვრის  
და დაპქრის  
ეშმა –  
სული შიშველი.

1992.



\* \* \*

ოთახში  
ბნელა,  
გარეთ  
ქარია,  
გთვლი  
უკვდავებად  
ქცეულ  
თარიღებს,  
რა ტყუპებივით  
მსგავსნი  
არიან,  
ხშირად  
მწერლობა და  
სიდარიბე.

1992.



ლ ღ ი ღ

მუსიკა!  
წვიმის წვეთების წარუნი,  
მუსიკა!  
ფოთლის შრიალი ქარში,  
მუსიკა!  
ჩემი ლამაზი წარსული,

ტაში!

ნოტები!  
რაველი და ფალიაშვილი,  
ნოტები!  
გუთნით დახნული ყანა,  
სიკვდილი!  
ლამაზ ფერებში გაივლის,  
სიცოცხლე!  
შენი სიცოცხლე თანაც.

აკვანი!  
ჩვენი შვილების გამზრდელი,  
სამშობლო!  
ჩვენი შვილების დედა,  
დუმილი!  
ასე იოლად სათქმელი,  
სიმღერა!  
ასე ფარული სევდა.

ტიტები!  
სისხლით მორწყული ქუჩები,



გწყინდები!  
ასე მალი—მალ ნახვით,  
სიკვდილი!  
ჩემი სტუმარი უჩვევი,  
საფლავი!  
ჩემი მდუმარე სახლი.

ნოტები!  
ძაფით გაბმული ხეზე,  
მოგავდები!  
მზით გარუჯული მზეზე,  
ვისურვე:  
ყაყაჩოების ყანა,  
სიცოცხლე,  
შენი სიცოცხლე, თანაც.

2000.



## ფიქრი ლამის ნამზიონები

ფიქრი, დამის ნამზიონები,  
დამრჩა სევდად, იჭვებად,  
უჩემობას მიეჩვევით,  
აღარ გაგიჭირდებათ.

წვიმის წყარუნს, ქარის შრიალს,  
თუ ოდესმე მოუსმენთ,  
ნახავთ ჩემს ჩუმ და იშვიათ  
ფიქრებს, თქვენთან მოსულებს.

სამოთხის ბაღს მოგატარებთ,  
ლოცებს კოცნით გაგითბობთ,  
შემოგახვევთ შიშველ ტანზე,  
ზეთისხილის აკიდოს.

იქ კი, სადაც ჩვენი ძვლები,  
დაიწყებენ სიცოცხლეს,  
სიყვარულის ნედლი გზებით  
გაიზრდება თითო ხე.

ფიქრი, დამის ნამზიონები,  
დარჩა სევდად, იჭვებად,  
უჩემობას მიეჩვევით,  
აღარ გაგიჭირდებათ.



\* \* \*

მყუდროებაა ჩემი სავანე,  
სად მიშუშდება სულის იარა,  
დარდის მიზეზი დრუბლებს გავანდე,  
შენ ვერაფერი გაგიგია რა.

ჩემი ფანჯრიდან წმინდა გიორგის  
ტაძარს ვუმზეო და შენზე ვლოცულობ,  
მცხეთა აქვეა, ჯვარიც, დიდგორიც,  
უცხო მშვენებით გარემოცულო...

შენ სიყვარულით გულს აატკივებ  
და მონატრებით მოიხიბლები,  
შენი მიწის და ზეცის თაღისკენ  
მიემართება შენი ფიქრები.

მყუდროებაა ჩემი სავანე,  
სად მიშუშდება სულის იარა,  
ჩვენ, პოეტები გულებს დავანთებთ,  
თქვენი დარდების თანაზიარად.

2003.



\* \* \*

პოეტი  
ქაცის  
მდგომარეობა,  
შენს  
გაჭირვებას  
ვერას  
უშველის,  
მე შენ  
მიყვარხარ,  
მოვალეობად  
არ გამიხდია,  
სხვა რამ  
ნუგეში.

1994.



## ჩემო მეგორდო

ჩემო მეგობარო  
იცვლება ამინდი,  
ვიცი, რომ გიჭირს და  
ღმერთს შენს თავს ვავედრებ,  
სიკვდილი უკან რომ  
დაგვდევდა ლანდივით,  
ჩვენ უნდა ორივეს გვცოდნოდა  
ადრევე.

დღეს შორი-შორსა ვართ,  
შენ გცივა, შიმშილობ,  
ხვდები, რომ მეც მიჭირს  
და არ მწერ არაფერს,  
ოღონდაც როდესმე  
ცოცხალმა გიხილო,  
ამ ერთ დოქ ღვინოსაც,  
იმ დღისთვის გადავდებ.

მისდევენ ფიქრები  
კვალდაპვალ შავ ღრუბლებს,  
ოხერ თავს რას ვჩივი,  
ვლოცულობ, ოღონდაც,  
ღმერთი ჩვენს მომავალს,  
ჩვენს ხვედრს ნუ არგუნებს,  
ჩვენს შვილებს არ პქონდეთ,  
ჯვარცმა და გოლგოთა.

ჩემო მეგობარო,  
სადა ხარ, როგორ ხარ,



ხვდები, რომ მეც მიჭირს  
და არ მწერ არაფერს,  
შენ კარგად მეყოლე,  
სულ კარგად ოდონდაც,  
სიკვდილს შენს ნახვამდე,  
უთუოდ გადავდებ.

1998.



## ლეიტ

მე ახლა აღიაროთ ვერაფერს დავწერ,  
ამ სევდას აღარც რითმა უხდება,  
შენ რომ გგონია, ახალგაზრდა ვარ,  
უკვე მიმტყუნეს, დედა, მუხლებმა.

ჯერ თუმცა ჩემს წლებს არ ვეპუები  
და ქვლავ ბავშვივით ვრჩები თავნება.  
ხშირად მოგწერდი დასამშვიდებლად,  
მაგრამ მიმტყუნეს, დედა, თვალებმაც.

ვფურცლავ ბარათებს შენთვის დაწერილს,  
ძვირფას ნივთებთან გადანახულებს,  
შენს სანახავად გულს დავიღლიდი,  
მაგრამ მე, დედა, გულიც მაწუხებს...

2000.



\* \* \*

რა შორს არიან  
ახლა ჩემგან ლორქაც, ბორხესიც,  
რა ახლოს არის ეკლესია,  
რა შორს სამრეკლო,  
მე დაღლილი გარ და  
სიყვარულს ვეამბოხები,  
შენ არ გწამს, მაგრამ  
უეჭველად დმერთი არსებობს.

პოეზიასთან  
უხილავი ძაფი გაუბამს  
და მეც უფლისთვის სანთელს ვანთებ  
ყოველ პარასკევს,  
ოღონდ სიყვარულს  
ნუ ახსენებ ასე აუგად,  
უთქმელ დარდზე კი,  
რამდენიც გსურს, ილაპარაკე.

ილაპარაკე,  
ოცნების კოშკს როგორ აგებდი,  
მერე ცხოვრებამ  
მდგრიე ბანგით როგორ დაგათრო,  
დუმან მძვინვარედ  
იდუმალი სარკოფაგები  
და თაღნისებრი მოუხურავს,  
მხრებზე სამყაროს.



\* \* \*

სხვაგან იქნებ  
წეიმაა,  
სხვაგან იქნებ  
თოვს,  
ყველაფერი  
წინაა,  
ყველაფერი -  
შორს.

ზოგი  
ნაჭამ – ნასვამი,  
ტახტზე გორავს  
შინ,  
ზოგი ფიქრობს –  
ამ დამით,  
რა აჭამოს  
შეიღს.

ბევრი უპვე  
მკვდარია,  
ბევრიც  
გვამად ძევს...  
ბევრი  
არაკაცია  
დარჩენილი  
ჯერ.



მკიოთხაობენ  
წინასწარ,  
ჭორაობენ  
ჭორს,  
ყველაფერი  
წინა მაქვს,  
ყველაფერი  
შორს.

1994.



## კაი ჩვენს პატიონს

მერე რა, შე ჩემა,  
რაც ჭამე, შეგრჩება,  
მერე რა, თუ ვინმეს  
ქერი ბზად ეჩვენა...  
გაქვს რამე საჩხერი,  
„დავაი, კაროჩე”,  
ვინც მოქვდა – ნათელი,  
კაიფის ჯადოქრებს,  
„ვარდიო სილაში” –  
რებძესა ბაზრობენ,  
მაყუთი?..  
შე ბოზო, ნისიად გაკოცებ!

ვახ, ჩემი,  
ქუჩაში ბორგავენ კერპები,  
ქალები –  
მინებით,  
კაცები –  
კეპებით.  
ეხ, ძმაო,  
არ ენდო  
თუ ვინმეს შეხვდები,  
ძაღლებით დადიან  
ბორდელის შეფები.

დიდება ძმაბიჭებს,  
კაიფის ჯადოქრებს,  
„პრიხოდშიც”, „ლომგაშიც“  
ბოლომდე “კაცობენ”,



ვერაფერს გაუგებ  
დაწყევევლილ ამ სოფელს,  
თორემ ქურდს რად უნდა?—  
რომ კაცი გაბოზდეს.

„დავაი“ საჩხერი,  
სამყარო შევიგრძნოთ,  
დიდება თაღლითებს,  
ვინცა წევს მიწაში,  
მოდი რა,  
ნისიად გაკოცებ, შე გიუო,  
რეებსა ბაზრობენ —  
„ვარდიო სილაში“...

2004



## სულმოუთქმელად მუცეული

ყველა,  
რაც იგულისხმება  
და რაც  
არ ითქმის ენით  
(რომ არ  
მივედო—მოვედო,  
არ მომივიდეს  
მეტი),  
ახლავე  
დაუფიქრებლად,  
სულმოუთქმელად  
გეტყვი:

რასაც  
ამბობდნენ წარსულში,  
რასაც  
იტყვიან მერმისს, —  
ეს  
სიყვარული იქნება,  
მხოლოდ და მხოლოდ  
შენი.



\* \* \*

აღვეგობა დღეს მიტოვებულ საფლავზე  
წითელი ძველცხების ნაცვლად  
ყაყაჩოები ამოსულიყნენ.

ლმერთო,  
ისე  
ნუ  
გამწირავ,  
მე  
სხვის  
დარდს  
ნუ  
ჩამაყოლებ,  
ამ  
საფლავის  
ცივი  
მიწა  
გაუთბიათ  
ყაყაჩოებს!

1994.



## შემოაღამდათ პოეტებს გზაში

შემოაღამდათ პოეტებს გზაში...

ქარებს უდაბნოს სევდა მოპქონდა,  
ვით მწუხარება ლაშქარს მონღოლთა  
და ლექსებს, თავის ჯვარს და გოლგოთას,  
ეზიდებოდნენ წვიმაში,

ქარში.

შემოაღამდათ პოეტებს გზაში...

ღვინის მსმელებს და სიტყვის დარაჯებს,  
უხვად გასცემდნენ, გულით ხარჯავდნენ,  
რაც კი გააჩნდათ, ხოლო დანარჩენს...  
ეძალებოდნენ ლექსებს,

ვით ჰაშიშს.

შემოაღამდათ პოეტებს გზაში...

ხან ქარი ქროდა, ხან წვიმა ცრიდა,  
ხან ვარსკვლავები ცვიოდა ციდან  
და სიყვარული სიძულვილს ცვლიდა,  
დაჭქროდა ელვა მჭექარე

მარშით.

შემოაღამდათ პოეტებს გზაში...

დამეს დილამდე ყანწებით სვამდნენ,  
გამოიხმობდნენ სულეთის ლანდებს



და თითო ლექსად ყიდიდნენ დარღებს,  
ფეხზე ეკიდათ დარღები  
მაშინ.

შემოადამდათ პოეტებს გზაში...

ცის მხურგალება მზესავით სწგავდათ  
და ელვარება წამწამთა, წამთა,  
ლექს აყოლებდნენ ღვინოზე წამლად,  
ხოლო მუსიკად – გალობას  
შაშვის.

შემოადამდათ პოეტებს გზაში...

შეჩერებულებს მცხეთას ოუ დიღომს,  
ათრობდათ ლექსი, ართობდათ ღვინო,  
ახსენდებოდათ არდოტი, დიღლო,  
ადლეგრძელებდნენ შხარას და  
შატილს...

შემოადამდათ პოეტებს  
გზაში...



## ლიტერატურული კატეგორიები

ვზივარ ფიქრების თოვლში,  
ვუსმენ ბაირონს, პაფეზს,  
ასდის სიგარის ბოლი,  
“ლიტერატურულ  
კატეგორიების”.

წარსულს გასვლია ყავლი,  
როგორც შარშანდელ მოღას  
და ჭინჭარივით ჰყვავის,  
ჩემი ლამაზი  
მოდგმა.

ქალაქს, მის კედლებს მიღმა,  
ნახშიროვანგი ახრჩობს,  
შენ რომ გგონია, მდვიძავს,  
ძარღვში პულსს ვეძებ  
ამ დროს.

ძარღვში პულსს ვეძებ, სულში -  
ლექსის ცრემლიან პწკარედს,  
ასდის სიგარის ბოლი,  
“ლიტერატურულ  
კატეგორიების”.



\* \* \*

ტყუილად  
გიკვირთ  
ქახეთში,  
პატივს  
რად სცემენ  
სახედარს,  
ღვთის კრძალვას  
ნახავთ, თვალებში  
თუ დაკვირვებით  
ჩაჲხედავთ.

2005



\* \* \*

თუშ  
— ფშავ  
— ხევსურთა  
ნადიმი,  
ლექსთა  
მარულას  
მაგონებს,  
სმაში,  
ცხვარში  
თუ სათიბში,  
სულ პოეზიას  
ჰგალობენ.

2005



\* \* \*

ქაცი რადას  
არ გაიგებ,  
დიდომს მიაქვთო  
დავითი,  
დავითს ვერავინ  
წაილებს,  
თუ უნდა, წავა  
თავისით!

2005



## თენლეპა ლამე

თენდება  
ლამე  
და დილის  
რიქრაჟს,  
შორდება  
მთვარე, —  
წაწალი მზისა...

2003



## მომავლის მწერლები

ადრე  
სანთლებზე  
წერდნენო,  
რაც ჭრაქმა,  
ლამფამ  
შეცვალა,  
ნათურის  
შუქზე  
მწერლებო,  
ფიქრში  
წასულნო  
ზეცადა,  
შიში  
მკლავს,  
ჯვარიმც  
გეწეროთ,  
გახდეთ  
მომავლის  
წერადა.



\* \* \*

მიდის  
დიდებულთა ქარავანი,  
მოდის  
ახალგაზრდა თაობა,  
რჩება  
ობმოდებულ კარადაზე,  
ხსოვნა  
წიგნებიან თაროთა.

რჩება  
დამტვერილი საქადალდე,  
ცალკე  
მიწყობილი ფიქრებად,  
აღარ  
იდარდებენ აღარაფერს,  
ვინც  
არ იქნება, ან იქნება.

ასე  
თავისთავად, დაჯერებით,  
ჯერ  
არ დაწყებული ომიდან,  
„იმიჯირებული”  
ქართველები,  
ზღაპრის  
გმირებივით მოდიან.



## ამბობ

*ჩემს მეუღლეს*

ამბობ:

„წავიდეთ უცხოეთში,  
ყველაფერს თავი დავანებოთ,  
გერც იქ ვიქნებით უშფოთველნი,  
მაგრამ რამეს ვნახავთ საარსებოს...“

განა

უფულობამ გადამრია,  
ვიცი, გულს გტკენ, ეს რომ ავიჩემე,  
წავიდეთ, იქ სადაც ადამიანს,  
ჯერ კიდევ დირსს ყოფენ, პატივს სცემენ...“

ვიცი,

არ ამცდება საყვედური,  
მაგრამ ადარ უნდა დაგაცალო,  
ვიდრე ქვეყანაა არეული,  
უნდა აქაობას გაგაცალო...“

მესმის

ყველაფერი, მაგრამ ხვალ-ზეგ,  
რომ მომენატრება ჩემი მიწა,  
რომ ვერ ვიმეტყველებ ჩემს ენაზე,  
რომ მე ჩემი ჟინით ვერ დავიწვა...“



**ალბათ**

გავგიჟდები, შენც ცოდვა ხარ,  
იქ გიჟ პოეტისგან ვინ დაგიცავს,  
ვისთვის ხმელი პური გეცოტავა,  
ვისთვის ყველაფერი გაგიწირავს.

2000



## ლუკაში ჭინჭელი

დუქლში ვიწვევ  
 წიგნს უკითხავს, კომპიუტერულს,  
 ოოგორც მეძავ ქალს,  
 სიყვარულში ჩლუნგს და უწესურს,  
 რემიქს-სიმღერას,  
 ამ ციტადელს უგემოვნობის,  
 დუქლში ვიწვევ,  
 ყველა მსურველს მათი მონობის.

ვერ ამაღლელვებს  
 ფოტო-შოპი კომპიუტერის,  
 ოოგორც ვან-გოგის  
 მზეები და მზესუმზირები,  
 იდილიაა პოეტისთვის  
 იუპიტერი  
 და ოტარიდი,  
 სამყოფელი ძველი მუზების.

ერთხელ მოიცლის  
 ელექტრონის მთვრალი ვირუსი  
 და პროცესორში  
 ჩარჩენილი ხსოვნას დარჩება,  
 კვლავ იქნებიან  
 პომეროსი, პორაციუსი  
 და რუსთაველი,  
 წიგნით ხელში წმინდა მამებთან.



დუელში ვიწვევ  
ამორძალებს, სიტყვის მქირდავებს,  
ვისაც სურს, პულტით  
დღე და ღამე ერთურთს გაჟყაროს,  
ნუ გეშინიათ,  
ეტრატებო, ჩვენ გავიმარჯვებთ  
და წინ დაგიდებთ  
დასაწერად მთელ ამ სამყაროს.

2004.



\* \* \*

წავიდა  
ჩვენი ბავშვობა,  
მარტის  
თოვლივით გაქრა,  
დრუბლებს გაჰყევი  
და შორს ხარ,  
მეზავრო  
მთვარეულ ქართა.

მე კი...  
მე ისევ მოგელი  
დარჩენილს  
მთების იქით,  
ყველაფრის  
უარმყოფელი  
დრო  
სიბერისკენ მიჰქოის.

2002.



\* \* \*

ეს გაზაფხული ისე ჩაივლის,  
როგორც გამდნარი თოვლის მდინარე,  
მომდევს ყორანი ბილწი ჩხავილით,  
დალლილი და სულ –  
ამომდინარე...

ცა დაიბურა  
შავი აჩრდილით,  
ო, დალოცვილო,  
გამოიდარე.

ო, დალოცვილო, რა დაგემართა,  
მაინც როდემდე, მაინც საღამდე,  
იქნებ მალირსო ფეხზე შემართვა,  
ჩემი სხეულის სულით  
დაცლამდე...

თორემ მივედი  
ვიდრე ზენართან,  
ლამის წავიქცე,  
ლამის გავთავდე.

1993.



## შენ ხარ პოეტი

შენ ხარ პოეტი, ბედს ნუ ემდური,  
 ოოცა ცხოვრება ასე გაწამებს,  
 დაღლილი სული – შენი მეგზური,  
 სევდად აჩნია  
 მთვარეს წამწამზე.

შენ ხარ პოეტი და არ იდარდო,  
 რომ შენთვის მჭლეა წუთისოფელი,  
 რომ სევდისფერი არის მიდამო,  
 სევდისფერიც და  
 სევდის მომგვრელიც.

შენ პოეტი ხარ და ნუ ინებებ,  
 ავს, თუ საწუთომ მაინც გაგრიყა,  
 დგას ბოროტებად, ოოცა, სიბნელე –  
 შუქი იღვრება  
 შენი საყდრიდან.

შენ პოეტი ხარ და სულ თანა გდევს  
 ადამიანთა სევდაც, ტკივილიც,  
 გწამს ღმერთი შენი, მაშასადამე,  
 გაქვს სიყვარული  
 მარად მისჯილი.



შენ პოეტი ხარ და არ შეგვერის,  
რომ მტერზე ჯავრი ბოლმით იყარო,  
შენი მძვინვარე ლექსის ელფერი  
არ გაიცრიცოს,

სულო მყივარო!

2005.



## ქაშის პონაფა

რჩება  
ნაპირებს  
ქაფი  
ტალღების,  
როგორც  
სარეცელს  
ქალის  
პერანგი,  
ზღვა  
მთვარის  
შუქზე  
ჰგავს  
ამ ლამეში  
იეროგლიფით  
ნახატ  
პერგამენტს.

2002.



## „ცხოვრიშის გრილაცია”

ნაწყვეტი ციულიძან

მწარე  
განსაცდელს  
დღე-ნიადაგ  
გვიმზადებს  
ბედი,  
გაძლებასა და  
გადარჩენას  
სხვებივით  
ვნატრობ,  
მეც  
მომამშიე,  
მომაწყურე,  
ოდონდაც  
გვედრი,  
ნულარასოდეს  
მიმატოვებ,  
უფალო,  
მარტო!..

1994.



## ლ ა ა ლ ნ ი

მიყვარხარ,  
 ძვირფასო, და ოოგორც აშული,  
 სევდიან ლექსებით კარდაკარ დაგეძებ,  
 გიუმაჟობს ქარი და ბნელ ქუჩებს დაღმუის  
 და მოვარე  
 განთიადს ადნება ბაგეზე.

თენდება  
 და ისევ მოველი საღამოს,  
 დაასხი, არ მინდა ამგვარი სიფხიზლე,  
 მიხვდებით, მდიდრებსაც რა ჰქონდათ სანალვლო,  
 ფულებს და ოქროებს  
 რა თავში იხლიდნენ.

დაასხი,  
 დღეს მაინც სუყველა დავთვრებით,  
 სადმე ეგ თვალები თუ შემომეფეთა,  
 არ მინდა არც სატრფო, სხვისაგან ნათრევი,  
 მით უფრო სამშობლო,  
 გამყიდველ მეუეთა.

1995.



## სარფიდან საით? . .

სარფიდან თვალი ვეღარას ხედავს,  
უკან და უკან დარჩა ბათუმი,  
ციფდება სისხლი, თუმცადა მხნედ ვარ  
და მესმის გურჯის  
გონჯი თათრული.

ოსმალოს ხმაზე ლილინებს ქალი,  
ცურავს მის თმაში ხელები თურქის,  
იცის ქალმა, რომ ეს მის და ასწილ,  
მისი სამშობლოს  
სიკვდილსაც უდრის.

მაგრამ სამშობლო წაართვეს ამ ქალს,  
თვალწინ შიმშილით მოუკლეს პირმშო  
და მკერდი თურქის საჯიჯგნად დააქვს,  
რომ არ მოუკვდეს  
მეორეც, შიშობს.

რას ერჩიოთ ამ ქალს, ის ახლა ხეა  
და თავის ფოთლებს პყიდის ბითუმად,  
სარფიდან თვალი ვეღარას ხედავს,  
უკან და უკან  
დარჩა ბათუმი.



## პოეზის წერა

უფლის წყალობით,  
შევხვდებოდით როდესმე მაინც,  
სიკვდილის შემდეგ,  
ანდა სულაც სიცოცხლის დამლევს,  
მოვა ოცნება  
და წაგვიღებს ქარივით ცაში,  
მოვარიან დამეს  
უცხო ქალთან შამპანურს დალევ.

შეშლილი ქალი,  
როგორც სუსტი ბაბუაწვერა,  
სულის შებერვას  
და სიშიშვლის დაფარვას ლამობს,  
სიყვარულია ალბათ მაინც  
პოეტის წერა,  
თვითმკვლელობამდე  
გაგიჟება მაცალე, წამო!



## 662

1.

ციდა ვარსკვლავი,  
თავს რომ დაგნათის,  
შენთან მოსული  
ჩემი სულია,  
დამაწერინა  
ცრემლით ბარათი,  
სევდამ და შენთან  
ყოფნის სურვილმა.

გულს ეი რა ძალუძს,  
რა შეუძლია,  
როცა წარსული  
ითხოვს პასუხებს,  
ცრემლი აჩნია  
თვალებს უძინარს,  
სულს უშენობის  
დარდი აწუხებს.

2.

ცარიელია  
ჩემი სახლი,  
დუმან კედლები,  
ახლა ვერ ვიტყვი,  
რომ ეს ჩემთვის  
იდილია,  
გავცქერი შორეთს,  
სადაც ახლა  
შენ იმყოფები,



ვით ნაბდიანი,  
მთვრალი მწყემსი  
გასცექერს იალაღს.

ეს მარტოობა  
ახლა მორგუნავს,  
ადრე სხვა იყო,  
სულ ისწრაფვოდა  
ადრე სული  
მარტოობისკენ,  
იმოგზაურე  
ვარსკვლავეთში,  
გულო დაღლილო  
და ამ ვარსკვლავთა  
ერთი მძივი  
მძერდს ააწყვიტე.

2004.



\* \* \*

ჩემს ცოლ-შვილს

ადარ მივსტირი არაფერს,  
თუმც ჯერაც ბევრი მეთქმის,  
ჩემს თავს ანგარიშს ვაბარებ,  
თან მეშინია  
ღმერთის.

ცა გაუხდება აკვანი,  
სხეულს – დაღვენთილს ოფლად,  
ვერ დაჯერდება საკმარისს,  
ქაცი, მოსული  
სოფლად...

მსურს: ჩემი წასვლა ალალი,  
თქვენი – მშვიდობით  
ყოფნა.

2004.



\* \* \*

გერც რას  
დავაკლებთ,  
არ ყოფნით  
სოფელს,  
გერც რას  
შევმატებთ,  
უკეთურ  
ყოფით,  
მოვკვდებით,  
მაგრამ  
არაფრის  
მქონეთ,  
შურით  
არავინ  
მოვა და  
მოგვთხოს.

1996.



ჩა არის, ლმერთო.  
კაცის ცხოვრება?

რა არის,  
ლმერთო,  
კაცის ცხოვრება? —

ამ ჯოჯოხეთურ  
ლაბირინთებში,  
მტვრად გადვიქცევით,  
როგორც მუმია  
და შეგვგამს მიწა  
პირდაღებული.  
თუმც ჩვენი ხორცი  
მჭლე და უმია,  
ჩამოისვენებს ჩვენი  
სხეული,  
ათასწლეულებს  
შორის ნათრევი,  
ხელებს მოგეხვევენ,  
მიგვითვისებენ  
ბნელ საიქიოს  
მობინადრენი.

რა არის,  
ლმერთო,  
კაცის ცხოვრება?  
ქვეყნად მოვლენის  
ხვედრი და მერე,  
დაბადებიდან შიში



სიკვდილის,  
სულ სიღარიბე,  
ზოგჯერ სიმდიდრეც,  
ქარების ქროლვა,  
სულის კივილი,  
მატერიალურ,  
მეტაფიზიკურ სხეულს  
დაღარულს  
მეტასტაზებად,  
გიუჟრი ვნება,  
ანდა რამდენი,  
ბოროტი ზრახვა  
მიეტანება.

დმერთო,  
რა არის  
კაცის ცხოვრება?  
მოსვლის წამითაც  
მადლობელი ვარ,  
ბედნიერებაც  
რომ არ მეღირსოს,  
შენ, სიცოცხლეო,  
მაინც მიყვარხარ,  
ასე უცხოვ და  
სახეშეცვლილო.  
დადგება ჟამი  
გასამართლების  
და განცდა –  
ქვეყნად ჩემი არ ყოფნის,  
რა ვუყოთ,  
თუ კი წუთისოფელი,



არ არის ერთხელ  
კაცის სამყოფი.

ლმერთო,  
რა არის  
კაცის ცხოვრება?  
სიყვარულისთვის  
ქვეყნად მოვლენილს,  
ბოლომდე ტკბობის  
ნებას არ აძლევ,  
მაინც მაღლობა,  
რომ უბრუნდება  
ბოლოს სუყველა,  
თავის საძვალეს.

მიყვარხართ, მთებო,  
სატრფოს ცრემლებო,  
ენავ, მამულო,  
გეტრფით, ვფიცავ ლმერთს,  
რა იქნებოდა  
ჩემი ცხოვრება,  
ასე ძლიერად  
რომ არ მიყვარდეთ.



## მუცელი გიორგის გასაყიდება ჰილჩალოვან ალალართან

მეფე გიორგის  
უკითხეავს  
აზნაურისთვის  
ერთხელ:  
— რად ვეღარ ვხედავ,  
აღალარ,  
ყარაბაღულის  
ცხენებს?

— ბედაურებზე  
კარგა ხანს,  
ძველი ქართველნი  
შესხდნენ,  
ბედაურები  
სადღაა,  
ხალხი აღარ გვყავს,  
მეფევ!

2002.



\* \* \*

*Ave maria,*

სიყვარული ახლა მკვდარია,  
ეს ჩემი გული  
ძველებურად გადამწვარია,  
ცრემლის წვიმაა,  
შავი თოვლი, ცეცხლის ქარია,  
ვინც იყვნენ, იყვნენ,  
წავიდნენ და აღარ არიან.

*Ave maria!*

მრცხვენია და მაინც გაწუხებ,  
მოდი შეწევნად,  
რომ გამოვხსნა სული მარწუხებს,  
თორემ მოკლეა  
ნაბომები ჩემთვის საწუთო,  
ასწლეულები გადასწონონ  
ძალუბთ ამ წუთებს.

*Ave maria!*

უგრძნობლობამ ხელი დამრია,  
არც მტკივა რამე  
და არც რამე არ მიხარია,  
ცრემლის წვიმაა,  
შავი თოვლი, ცეცხლის ქარია,  
არც მკვდრები ჩანან  
და ცოცხალნიც აღარ არიან



## ო. ფონ ბელზებელ!...

როგორც ქვესკნელის მბრძანებელი,  
 ფონ ბელზებელი,  
 მოდისარ ჩემთან და ცხოვრების ანგარიშს ითხოვ,  
 მე უკვე აღარც რამე დამრჩა მოსართმეველი,  
 ჩადენილი მაქვს  
 ყველა ცოდვა შენს გამო, თითქოს.

ჩადენილი მაქვს ყველა ცოდვა და ამ ცოდვებით,  
 შენ არ იფიქრო ჯოჯონეთის კარებზე მოვალ,  
 ჩემთან მოდიან უნაზესი ანგელოზები,  
 ჩემი პური და  
 მარილია, დღეიდან, ლოცვა.

ო, არ გეგონოს, ფონ ბელზებელ, ჩემო მსახურო,  
 ვკადნიერდები და ოლიმპოს ჩირალდნებს ვეძებ,  
 მინდა კარები სამოთხისა გამოვიხურო  
 და შენთან ერთად  
 ჩავყვე სკნელში ცეცხლოვან ენებს.

რომ დავისაჯო, ისე როგორც იქ ისჯებიან,  
 ახლა, იცოცხლე, ტანჯვისათვის საქმაო დროც  
 მაქვს,  
 მერე სამყაროს შევახსენო ვირთხის ფრთებიანს,  
 რომ არა რჩება  
 დაუსჯელი არცერთი ცოდვა.

ო, ფონ ბელზებელ, ჩემო ეშმავ, მომემსახურე,  
 როგორც ზღვა მიწას, ისე მიჭერს ყელზე საყელო,



ოღონდ, იცოდე, ღმერთს აუგად ნუღარ ახსენებ,  
ის მწამს და მიყვარს, –  
საიმქვეყნო და საამქვეყნო.

2004.



\* \* \*

გიშრისფერ თვალებში  
შეშლილის სევდაა,  
გიშრისფერ ნაწნავებს  
აგიშლის ავქარი,  
სიცოცხლის დასასრულს  
ვუპეთებ შესავალს,  
თორემ თვით სიკვდილი  
ისედაც აქ არის.

დამის ბინდს მოცარტის  
გამებით მონაქსოვს,  
ვით დანტეს ჯურლმულში  
შრებს და კიბეებს,  
ვუგლი და დმერთს ყველა  
ცოდვილის შველას ვთხოვ  
და ვეტრფი სიცოცხლეს,  
ბოძებულ სიკეთეს.

ხოლო შენს სიყვარულს  
შეშლილი დენდივით,  
თვალზე ბინდგაკრული  
გზა—შარა დაგყავარ,  
ვნებების ართმენით  
უფლისგან დევნილი,  
მეცხრე წრის კედელზე  
ვპიდივარ ალაყაფს.



„რექვიემს“ პგავს ყველა  
ნოტი და სონეტი,  
მაგრამ, ო, „ჩაკრულო“! –  
ღმერთების ჰიმნია  
და ერთი  
პატარა შეცდომა პოეტის  
სუსველა მეფეთა  
ცოდვაზე დიდია.

2002.



\* \* \*

გულს გავახელებ  
სიმთა ჟდარუნით,  
ქარს გავაყოლებ  
ფიქრებს გადაღლილს,  
მიყვარს ცხოვრება  
იალაღური  
და ცხელ სინკალზე  
ჭიქა არაყი.

2005



\* \* \*

Ֆեքեար դա  
օսյզ ար  
ջեմոնյեա,  
օսյտո  
դրոս,  
րաս ար ցոյշրոծ,  
յշտո  
հատցլեմա դա  
շյօմձլեմա,  
սյլո  
ջացոյշրոնցը  
սաոյշուս.

1998.



\* \* \*

...აქეთ იალნო,  
ლვოაება,  
თემზა,  
იქით მთაწმინდა,  
თბილისი,  
ჯვარი,  
და ეკლესია  
ლოჭინოს  
ხევთან,  
და სასაფლაო  
სახლიდან  
მარჯვნივ;  
მე მომენატრა  
შრიალი ხეთა  
და ჩემი კოხტა,  
მდუმარე სახლი.

2002.



## თემპოზალი

გადაჟუნია,  
როგორც  
ხალიჩა,  
ქათქათა  
თოვლი  
მიწის  
ზედაპირს,  
მზე  
ღრუბლებიდან  
გამოხალისდა  
და  
ხტის ბეჭობზე,  
ვით  
ლეოპარდი.

2002.



\* \* \*

### სულ

ბეწვის ხიდზე ვკიდივარ,  
მკლავს შეუცნობის ჟინი,  
არ გჯერა, ხან რომ გიუი ვარ,  
ხან რომ არა ვარ გიუ.

### ზურგზე

ქვასავით მკიდია,  
ჩემი ცხოვრების ტვირთი,  
მე რა ხელი მაქვს სიკვდილთან,  
მე ჩემს სიცოცხლეს ვტირი.

2005

\* \* \*

ვიცნობდი  
ბეგრ პოეტს,  
ცოცხალსაც, მკვდარსაც,  
პირადათ,  
ახლოდან, შორიდან, ისე...  
ზურა ჭაფარიძე  
როდესაც მოკვდა,  
პირველად ჩავფიქრდი  
სევდიან ნისლზე.

2005



\* \* \*

ადამიანმა  
იცის დარდი,  
ტკივილი სხვისით,  
მას შეუძლია  
სიყვარულის  
ნამდვილი განცდა  
და გვერდში მყოფის  
გასაჭირის  
ქცევა თავისად,  
ადამიანმა  
შეიძლება დაღვაროს  
სისხლიც,  
ადამიანი  
შეიძლება გაგიხდეს  
მტრადაც,  
ასე სათნო  
და სასტიკია  
გული კაცისა.

2003.



\* \* \*

საათი  
წიგწიკებს,  
წიგწიკებს,  
წიპ...  
დრო  
მიდის,  
მიიწევს,  
მიიწევს  
წინ...  
გული კი  
სხეულში  
დგაფუნობს,  
დგაფ...  
ფაფუ  
სიყვარული,  
ფაფუ,  
ფაფ...  
ფა...

დროშები  
ფრიალებს,  
ფრიალებს,  
ფრი...  
ქარი  
სულ არ არის  
და მაინც  
ქრის...  
გრძელდება  
ოოქ—შოუ



პაპარაცოა  
და  
გადის  
ცხოვრება,  
პა—  
რა—  
რა—  
მპა...

2004.



## ჭრანსუა ვითონ!

ფრანსუა ვითონ,  
 შენსავით ვყაჩალობ,  
 მაგრამ, ო,  
 ფულს და ვერცხლს არავის არ ვძალავ,  
 გრძნობებზე ვნადირობ,  
 პოეტო მმაკაცო,  
 ვალმერთებ სიყვარულს —  
 შავთვალა ლამაზმანს.

აქ მაინც ერთნი ვართ,  
 ქურდების წესია,  
 ზოგს გზაში ვუხვდები,  
 ზოგს სახლის კარებთან,  
 ლმერთმა  
 დამიფაროს მაცდური ვნებისგან,  
 მე მათი მსურს გულის  
 სხეულით ტარება.

მე მათგან  
 ამ გულის გასაღებს მოვითხოვ,  
 ხან მოვრალი და ხანაც  
 ქარივით ავშარი,  
 შენსავით, ვითონ,  
 მოწყალეც რომ ვიყო,  
 ამდენ ქალს ტრფიალით  
 ასე არ ვტანჯავდო.



არა ღირს, ძმობილო,  
შევეშვათ ქურდობას,  
ლექსები გწეროთ და  
უფალზე ვიფიქროთ,  
შენ ჩემთვის  
ყოველთვის პოეტი უფრო ხარ,  
ვიიონ ფრანსუა,  
ფრანსუა ვიიონ!

2004.



\* \* \*

განისვენებს ოთახში,  
დამის ცივი სიჩუმე,  
ტკივილები ცოტახნით,  
როგორ ვერ გამიყუჩე.

შენი ნაზი სამყარო,  
მოვრთე ყვავილწნულებით,  
მწერდი, — როგორ მყავხარო,  
მერე დამივიწყებდი...

ანათებდა უკუნეთს,  
მთვარის თეთრი სპეკალი,  
მძაგდა ეს საუკუნე —  
ღვთის როსკიპი მხევალი.

1999.



## მ ე ძ ი ვ ლ

დგახარ ქუჩაში  
შიშველ სხეულით,  
ვით მოფარფატე დამის ფარვანა  
და ნაზ სიყვარულს გადაჩვეული,  
მოვარის როსკიპი ხდები  
თანდათან.

შენ დაგაკისრა  
ყოფის სიმძიმემ,  
სხვისი ჟინისთვის მსხვერპლი გაგეღო,  
სადმე დაღლილი ჩამოიძინებ...  
ხან “მოდერატო”, ხანაც  
„ალეგრო”.

ცოდვა ხარ,  
რადგან ქალურ ცხოვრების,  
დღეს ყველა წესი ძლიერ გამკაცრდა,  
ულიმი ყალბი სიამოვნებით,  
ვნებაატეხილ უცხო  
მამაკაცს.

მან უნდა  
გძოცნოს და შენც იმავეს,  
გინდა თუ არა, უნდა ეფერო,  
როგორ გვამცირებ ადამიანებს,  
ო, ტკბილო სიძვავ,  
ძაღლო ბებერო!

.....



დგახარ ქუჩაში  
შიშველ სხეულით,  
ვით მოფარფატე დამის ფარგანა  
და წრფელ სიყვარულს გადაჩვეული,  
სარეცელს უყოფ  
ყველას თანაბრად.

2005



მიუგანდას, ადამიან!

რაა იების სადარი,  
ველზე რო ამოდიანო,  
ვიცი, რაცა ხარ და მაინც,  
მიყვარხარ,  
ადამიანო!

არა ყავთ ჯიხვებს ბადალი,  
ქარაფებს გადადიანო,  
ვიცი, რაცა ხარ და მაინც,  
მიყვარხარ,  
ადამიანო!

ქარს ვუხმობ ქალის დალალით  
გადაშლილს ყველა მხრიდანო...  
ვიცი, რაცა ხარ და მაინც  
მიყვარხარ,  
ადამიანო!

წვიმა წამოვა მაღლა ცით,  
ძირს ჩანჩქერები დიანო,  
ვიცი, ვინცა ხარ და მაინც,  
მიყვარხარ,  
ადამიანო!

არც სიყვარულით გადაგდლი,  
შენთან რა უნდა ვიდაო,



ვიცი, ვინცა ხარ და მაინც,  
მიყვარხარ,  
ადამიანო!

განა სიყვარულს გამადლი,  
განა იმისთვინ ვხმიანობ,  
ვიცი ვინცა ხარ და მაინც,  
მიყვარხარ,  
ადამიანო!

არა არის ქვეყნად არცა ვინ,  
გულისოთქმა კაცმა მიანდოს,  
ცუდი ხარ, ცუდი და მაინც,  
მიყვარხარ,  
ადამიანო!

2005.



## ის მეცოლება

გაუტანლობის,  
უზნეობის მოდის დრო—ჟამი,  
რჯულძალლი ვიყო,  
თუ ამ დროში დირდეს ცხოვრება,  
ახლა ამ ბნელში,  
ამ ყინვაში, ქარის ქროლვაში,  
ძალლი რომ დაძრწის დამშეული —

ის მეცოლება...

როგორც რამ ნივთზე,  
სიყვარულზე ჩადიან ფსონებს,  
არც რამ გრძნობა აქვთ,  
პაპაჩემის სულის ცხონებამ,  
ამ ავაზაკთა, მამაძალლთა,  
მაძლართა ფონზე,  
ბაგშვი რომ დაძრწის ხელგაწვდილი —

ის მეცოლება...

ვხედავ, მეცლება ნელა—ნელა,  
რითიც ვამაყობ,  
კარგ მომავალზე ჩემი ფიქრი  
დარჩა ოცნებად,  
მეორედ მოსვლის წინაშე დგას  
მთელი სამყარო,  
სვალ რომ იქნება  
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო,  
ის მეცოლება.



## ანაკორნცი

მარტის რტებზე  
და ლოტოსის ნაზ ღეროებზე,  
ისე ვით ლირას პოეზის კენტი ტენორი,  
უყოფდა მუზას უგვირგვინო ანაკრეონტებს,  
ვარდის ფურცლებით თავშემკული ანაკრეონტი.

უმდევრდა ბახუსს,  
ვაზის ლერწებს და სილამაზეს,  
მისთვის ჭადარა იყო დროთა უდვოთ დინება,  
„სიყვარულითო“, – მოგიგებდათ ყოველ სალამზე  
და ეძლეოდა ბერიკაცულ თავდავიწყებას.

ზეთისხილის და  
დაბურული დაფნის მწვანეში,  
იხდიდნენ ქიტონს დორიელი ქალიშვილები  
და ქსოვდა რითმას პოეზის ფოლიანტებში,  
ანაკრეონტი სისხლიანი ძველი სიმებით.

მოპქონდათ ჰორებს  
მისი შუბლის შესამკობელად,  
ვარდები ნორჩი და შროშანი ნაზი სამკერდედ,  
უმდევრა ბახუსს და სიყვარულს დიდმა პოეტმა  
და მიიძინა ყურძნის მტევნით ხელში ვარდებზე.

დიან მას შემდეგ  
ლეთეოსის მდინარეები  
და დააქვთ სევდა – ელინური სულის დიდების,  
სილამაზეზე უფრო მეტად გვწვავენ ლექსები,  
ოქროზე მეტად სიყვარულზე ჟღერენ სიმები.



## წერძის წერთი და ფოთოლი

— წვეთი კი არა, დარდი ვარ,  
ცრემლად მოსული ციდანა,  
სულ ასე სველი დავდივარ,  
ვერ მამჩნევ,  
ისე ციდა ვარ.

ზამთარში ყინვა მომიგა  
რომ ფანტელებად მომთოვს,  
შენთანაც სუსხით მოვდივარ,  
ხომ არ გაწუხებ  
ფოთოლო!

წვეთო და ცრემლო, ცის ნამო,  
ჩემო ცქრიალა დაია,  
მზემ თუ არ შემომცინაო,  
მეც ცარიელა  
დარდი ვარ.

მზეს დამიჩრდილავს ღრუბელი,  
ქარს ველი, ქარი მოვა და  
ღრუბელთან ერთად სულელი,  
მეც დამაშორებს  
მოდგმასთან.

წამილებს, წამანიავებს,  
ყლორტიდან მომგლეჯს სრულებით,



შენ აორთქლდები მიწაზე,  
ისევ ცას  
დაუბრუნდები...

გუსმენდი წვეთსაც, ფოთოლსაც,  
გული მიცემდა სიამით,  
ამ წმინდებს, ნეტა, ოდონდაც,  
რითა სჯობს  
ადამიანი!.

2004

\* \* \*

ყავაში ნალექი  
კაიფში ვარდნის,  
ლამაზად გალექსილ  
სიყვარულს გავდი,  
ქალაქში მოთოვა,  
არ გიყვარს თეთრი,  
მოდაში “ბორდოა”  
საცვალის ფერი.

უხდებათ საყურე  
ნიკაპზე, ცხვირზე,  
ჩემთვის კო გრძნობა კვლავ  
წვაა და ციხე,  
შენ გშვენის პირბადე,  
ლოყაზე ხალი,  
შენ ჩემი დღე ხარ და  
იმედიც ხვალის.



ბოგინობს ბოგანო,  
როსკიპობს ბოზი,  
მე ყანწს ვსვამ,  
ყავას კი – ბომჟები ზონდით,  
აფრქვევენ “სვეტები”  
კაიფში ლექსებს,  
მე ვფიქრობ ტრფიალზე  
და არა სექსზე.

იწილო-ბიწილო,  
სიქვდილო, გიხმობ,  
დედაც მაუკვლია  
მეველე მიხოს...  
კაცურად ანათებს  
ღამეში მთვარე,  
მოდი, ამ სიცოცხლით  
დავითროთ ბარემ.

არ უყვართ განაბებს  
წითელი, თეთრი  
და მაინც “ბორდოა”  
საცვალის ფერი,  
გკოცნიდი თვალებზე  
და მკერდზე- ვარდში,  
ლამაზად გალექსილ  
სიყვარულს ჰგავდი.



## ჩემი მკითხველი

მე ახლა უკვე  
ორმოცს გადავცდი,  
რას იზამ,  
წლებსაც თავისი მიაქვს,  
ხან გული მტკივა,  
ხან თავი,  
ხან რა...  
თუმც ჩემს სხეულში  
ხორცის ტკივილზე,  
სულის ტკივილი  
წლებთან ერთად უფრო მძაფრდება.

მაგალითს გეტყვით:  
წინა დღეებში ავად შევიქმენ,  
ძალიან ავად,  
ორი-სამი დღე დადიოდა  
სახლში სასწრაფო  
(უფალს შევთხოვე  
მიტევება (ცოდვათა ჩემთა),  
მაგრამ როგორც კი მოვჯობინდი,  
დუქანს ვეწვიე...  
პოლა იქიდან გამოსულმა ნასვამ-მაძლარმა,  
საწყალ მათხოვარს,  
შაჰ-ვეზირივით ჩავუყარე ხურდა ფული  
და მივხედი,  
ეს მას პურის ფულად არ ეყოფოდა...

ჩემო მკითხველო,  
დამიჯერე, შეგრცხვი სინდისთან,  
სული მეტკინა...



მერე ის იყო:  
ერთ საღამოს ეკლესიასთან,  
შვილის ტოლმა ერთმა ბიჭმა  
მთხოვა წყალობა.  
მეც ვუწყალობე...  
კიდევ მთხოვა და გაგუბრაზდი...

ჩემო მკითხველო,  
დამიჯერე, შემძულდა თავი,  
სული მეტკინა...

ჰო, ერთხელ კიდევ,  
ერთ-ერთი ბაზრის შესასვლელში  
ქალს ჩავუარე,  
გოგონა ახლდა, პატარა გოგო,  
ქოლგა ეჭირა,  
ხალხისგან თუ მზის დასაფარად...  
თიხის გოჭების ყულაბები  
ეწყოთ ფეხებთან  
და მორცხვად ყიდდნენ...  
მერე მივიდა ვიღაც ახმახი  
(ალბად დაცვიდან)  
და შეუბახა, — მოშორდითო აქაურობას,  
წიხლი აუკრა...  
ერთი მომესმა გოგონას ხმა —  
“ბებო, რა ვქნათო”  
და დამიჯერე, მკითხველო, რომ  
გულში ავტირდი,  
მეტკინა სული...

რამდენი მოვყვე —  
გუშინდამდელი,  
გუშინდელი,  
თუ წუხანდელი...



ჩემი მეგობრის  
 შვილისა და შვილის მეგობრის  
 თავს დატეხილმა უბედურებამ  
 მომსრა ერთიან...  
 თექვსმეტი წლის ბიჭს ლავად ქცეული  
 ცხელი რკინა შეესო ფეხში  
 და მუხლებიდან ბარძაყამდე  
 ხორცში იარა.

რკინასთან ერთად მიათრევდნენ  
 და ჭრიდნენ რკინას...  
 გადარჩა ბავშვი,  
 მაგრამ ის ფეხი მე მტკიფა თითქოს,  
 ის რკინაც თითქოს მე მაქვს გაჩრილი  
 და ხორცი მტკიფა...

ეს წუხელ იყო,  
 უფალმა უწყის,  
 რას გვიმზადებს საწუთო ხვალ-ზეგ,

ამიტომ მენდე,  
 დამიჯერე,  
 ჩემო მკითხველო,  
 რომ მტკიფა სული  
 და მოგიწოდებ,  
 იცხოვო რწმენით,  
 სიკეთე თესო,  
 იზრუნო სხვაზე...



## სოცა კაცი ჰერლეჩი

შენ სახლში ხარ, გარეთ წვიმს,  
სველდებიან კედლები,  
სულ ოდნავი რამე  
გწყინს,  
კაცი როცა ბერდები.

ავდარია, დარია,  
თვალში გიდგას ცრემლები,  
ცოტა რამ  
გიხარია,  
როცა კაცი ბერდები.

2005.



\* \* \*

შორს დარჩა ზღვა და  
ამ ზღვაზე თითქოს,  
დაგტოვე ჩემი  
ნამდვილი სახე,  
ქალაქი სულ სხვა  
რაღაცას ითხოვს,  
ხმაური ჰქვია  
ქალაქის სახელს.

ზღვას კი სახელად  
სიმშვიდე ჰქვია,  
მე ამ სიმშვიდის  
მაღელვებს გზებიც...  
რა მალე, და რა  
ძალიან გვიან,  
გარბიან ჩვენგან  
ძვირფასი წლები.

2005.



\* \* \*

„ჩუმა... რაც გერა თქმა,  
 რაც უთქმებდი დარჩა ტატონს,  
 სულ მე მეთქვას,  
 მე მიძღვნოს მათი მინა...”  
 ა. ბერიაშვილი

### რასაც

ვერ მიაგნო ტატომ,  
 რასაც ვერ მიაგნო ვაჟამ...  
 შენ არ დაიჯერო მართლა,  
 რამე მისაგნები დარჩა...”

### სამი

დამწერლობის პატრონს,  
 სადაც პოეზია შფოთავს,  
 სიტყვის მეფეთ—მეფე შოთას,  
 დიდხანს მიგნებული პქონდა.

განიბნევა  
 ანი, ბანი,  
 ლექსში სიყვარულის ნატვრად,  
 დღემდე ნიკო ფიროსმანი,  
 პოეზიას ფუნჯით ხატავს.

2005.



## მე ნუ მასწავლი

მე ნუ მასწავლი,  
 რომ ყოველმხრივ  
 მომელის საფრთხე,  
 რომ მეგობარიც  
 ადარ არის  
 დღეს უკვე სანდო,  
 რომ დრო მოვიდა —  
 ქონება სჯობს  
 სიკეთეს, სახელს  
 და მოყვასისთვის  
 თავგაანწირვა  
 არა დირს ამ დროს.

ნუ დამარიგებ,  
 რომ სიყვარულს  
 ნადველი მოაქვს,  
 რომ სატრუო ჩემი,  
 ნებისმიერ  
 შემხვედრში გამცვლის,  
 რომ გაუგიდა  
 ყავლი გრძნობას,  
 ისეთი დროა, —  
 დაიჩაგრება  
 ამ ყოფაში  
 ყოველი კაცი.



\* \* \*

რამდენი ახლა  
ამ ქალაქში დამეს ათენებს,  
რამდენი კვდება  
და ცრემლი სდის,  
რამდენს, თვალებზე,  
რამდენგან არის  
საქორწილო სუფრა გაშლილი,  
ქალობა ელის ამ დამეში  
რამდენ ქალიშვილს.

მე კი ვინატრებ  
ლექსით თრობას ჩემს ძველ ქალაქში,  
მაგრამ ცხოვრების  
წიგნის ბოლო გვერდებს გადაშლის  
მიქელ გაბრიელ...  
და თავისკენ ჩუმად მომიხმობს,  
უნდა წავიდე  
და სიკვდილით უნდა მოგხიბლო.

2001.



ს თ ე ც ი

პოეტი  
ლამაზ ლექსს ვერ დაწერს,  
თუ  
რამე არ სტკიგა ძალიან,  
პოეტი  
ლამაზ ლექსს ვერ დაწერს,  
თუ  
არ უხარია ძალიან,  
ცხოვრების  
უცნობ გრადაციით,  
პოეტი  
ნახევრად მთვრალია,  
თუმც დღეს

პ თ ე ტ ე ბ ი ლ ა რ ი ბ ნ ი,

მრავალრიცხოვანნი არიან.

პოეტის  
ტკივილი რა არის, —  
სამშობლო,  
თავისი მამული,  
პოეტის  
ოცნება რა არის, —  
სატრფო,  
სიყვარულით დაგული,  
პოეტის  
სხვა რა უნდა საგზალად —



ლექსებში  
ლამე გაათიოს,  
სახლში  
ხეტიალ-ხეტიალით,  
თავი  
როგორმე მიათრიოს.

1994.



\* \* \*

## უ ც ნ ა უ რ ი ა...

ადამიანები  
ახლოვდებიან და შორდებიან,  
თითქოს  
ერთმანეთს არც შეხვედრიან,  
თითქოს  
ერთხელაც არ ყოფილან  
ერთად სადმე,  
განმარტოებით  
და გულის დარდი  
არ გადუშლიათ...  
თითქოს  
ერთხელაც არ შეუფიცავთ  
სიყვარული  
პირველ კოცნამდე  
და დამეები  
ერთ სულ-ხორც არ უთენებიათ.

## უ ც ნ ა უ რ ი ა...

ახლოვდებიან და შორდებიან,  
უყვართ  
და მაინც შორდებიან,  
სტკიგათ  
და მაინც შორდებიან,  
უჭირთ  
და მაინც შორდებიან,  
ბოლო გზა მაინც



შორეთია...  
უცნაურია...  
რატომ!

ადამიანთა ცხოვრება,  
მარტო ჭაობი და მორეგია?

2003.

ზ ა გ ი შ ი ლ

ჰე,  
ძმაო,  
შენთვის  
როცა  
დღე არის,  
სხვისთვის  
დამეა  
ბნელი,  
უპუნი,  
სხვა  
სტუმარია,  
შენ კი,  
ღმერთმანი,  
მასპინძელი  
ხარ  
ამ საუკუნის!  
1992.



## სახალნლო

მე მოგიყვები  
 ზღაპარს, ფერია,  
 მდიდარ უფლისწულს  
 როგორ უყვარდა,  
 ზღაპრიდან  
 როგორ გამოფრენილან,  
 ჩვენი ნიშა და  
 ჩვენი წიქარა.

მე მოგიყვები  
 გამოქვაბულში,  
 ცხრა დევს  
 ერთი და როგორ უგლიდა,  
 ან ამირანი  
 მთას მიჯაჭვული,  
 როგორ მოვიდა  
 სასწაულიდან.

გმტყვი —  
 კეთილის არის მთა-ბარი,  
 ბოროტს  
 დიდი დრო არ უწერია,  
 უნდა გიამბო  
 ყველა ზღაპარი,  
 რაც კი  
 ოდესმე დაუწერიათ.



## სუსინი

საუკუნე სრულდება,  
მიზანაუსრულებლად  
ვხვდები ოცდამეერთეს,  
დრო დის დაუსრულებლად,  
ეგ თვალები სულ ბედად,  
ერთხელ  
შემომეფეონენ.

მზაფრავს მოგონებები  
და შლეგივით ვენოები,  
გაგიხსენებ როდესაც,  
გოგმან-გოგმან-გორებით,  
მიმაქვს წუთისოფელი  
და ეს ყოფა  
მომბეზრდა.

მე ყველაფრის მნახველი,  
აღარაფერს არ ველი,  
ან რას უნდა ველოდე,  
მაქვს სახლი და სახელი,  
მღვდელთან ცოდვებს გამხელილს,  
ვერ გაიგებო  
ვეროდეს.

ჭაბუკ მხრებით მიზიდავს,  
მძიმე ლოდი სიზიფის,  
არ მქონია ბავშვობა,  
ერთი არ ამხდენია,



დასახული მიზნიდან,  
მაინც გმდერდი  
“რაშოვდას...”

ბოლმას ცრემლში ვახრჩობდი,  
მოდერნისტებს ჩამოვრჩი,  
ვერ ვურევდი ლექსში სექსს,  
გულს სანთელად ჩამოქნილს,  
ვწვავდი, ზოგჯერ ვჩქარობდი  
და სხვებს  
გამოვეთიშე.

ასწლეულის დასასრულს,  
ჩხუბია და დაგა სულ,  
ღმერთო, ავს ნუ მოგვასწრებ,  
ნუ მოგვითხრი დამარხულს,  
ნუ წაგვიწყმედ ცოცხლად სულს,  
შენ ხარ ჩვენი  
მოწამე.

საუკუნე სრულდება,  
მიზანაუსრულებლად,  
ვხვდები ოცდამეერთეს,  
ორიათასს უქლებლად  
უნდა შევხვდეთ სუსველა,  
ღმერთო,  
შენ შეგვახვედრე!



## წინაქმებები

სადა ხართ,  
ანდა რა ძილით გძინავთ,  
არსაით  
ისმის თქვენი ამბავი,  
დაგეძებთ ცხადში,  
დაგეძებთ სიზმრად,  
ვაჟას ხარივით  
მიწას ჩაფიქრავი...

მშურს თქვენი,  
თქვენი მკლავის და მუხლის,  
მსურს სადმე  
ახლოს თქვენთან სამარე,  
თქვენს ხსოვნას  
გეღარც ბეგარას გუხდი,  
გეღარც ანგარიშს  
რამეს გაბარებ...

გაჩერდა დრო და  
მიდიან წლები,  
მოგდევთ და მოგდევთ  
კუბოს კარამდე.



## ერთადებითი სიცყვა

სულერთია,  
აქაც,  
იქაც,  
ყველგან  
ერთი არის  
ლმერთი,  
ჩემი  
ერთადერთი  
სიტყვა,  
ჩემი  
მხსნელი  
ერთადერთი...  
მიმაქვს,  
ჩემი  
დარდი  
მიმაქვს,  
გპვდები,  
მხოლოდ  
ჩემთვის  
გპვდები.



## მე ჩოცა ჭიბალებილი

მე როცა  
ვიბადებოდი,  
მდგრიე  
რიონი დიოდა,  
იქ ათიოდე  
ნაბიჯზე,  
იმ ლურჯი  
სანაპიროდან,  
ოთხედელშუა  
ძ ე შ ო ბ ი ლ ს,  
ცა და  
ჰაერი მშიოდა.

მე როცა  
ვიბადებოდი,  
ჩემს უნებურად  
ვითომდა,  
ანგელოზები  
მობრძანდნენ,  
მშობლიურ  
საიქიოდან...  
მიმისვეს დედის კალთას,  
თქვეს:  
„აქაც იცხოვორე,  
შვილოსა“.

მე როცა  
ვიბადებოდი,



ფერი არ ედო  
რიონსა,  
ჩალუსკუმებულ  
სოფელში,  
ხალხს არ ეძინა  
იმ დროსა,  
საბმელის თავზე  
მამალი,  
გათენებამდე  
ყიოდა.

მე როცა ვიბადებოდი...

2000



## ჩემო კალამო. ნაწერი

ჩემო კალამო,  
ნაწერეტო,  
შოთაის  
ბატის ფრთისაო,  
ხრმალივით  
უნდა დასწერო,  
თითქოს ლექსს  
სისხლი სდისაო.

დაბურძგლოს  
შენმა ნაწერმა,  
მკითხველი  
კარგის ხმისაო,  
სდიოდეს  
მის ბრწყინვალებას,  
მირონი  
სიწმინდისაო.

კაცს  
ლოცვასავით შველოდეს,  
ნათელი ედგეს  
მზისაო,  
ჩემო კალამო,  
მედროშევ,  
შოთაის  
ბატის ფრთისაო.



## თუ ეს ნიმდიღობრივი გოქმის

ეს  
არის  
ჩემი  
სიმდიდრე,  
თუ  
პი  
სიმდიდრე  
ეთქმის,  
სტრიქონებს –  
სულის  
გვირილებს,  
უფლის  
წალკოტში  
გპრეფდი...  
მოსევდისფერო  
ლექსები,  
მომირთმევია  
თქვენთვის.

2006.



\* \* \*

ერთი წუთი  
არ ყოფილა,  
გული  
არა გტკიოდეს,  
განწირული  
აქ ყოფნისად,  
თავისად ზღავ  
სხვის ცოდვებს,  
სტრიქონებად  
დაყოფილა  
მთელი შენი  
სიცოცხლე.

2005



\* \* \*

როცა  
კარგად ვარ,  
გულის გულში  
არც მიხარია,  
რაღგანაც  
გიცი,  
სიხარულიც  
წარმავალია.

უფალ ღმერთს  
ნებავს,  
სიყვარული იყოს  
მიწაზე,  
ბედნიერებას  
ლოცვითა და  
მარხვით  
იწამებ.

2006.



\* \* \*

მზე რომ ჭიუხებს ჩასცდება,  
ხეობა ნისლში ბანაობს,  
სიო ჩაივლის მთაზედა —  
ხევსური ქალის  
კაბაო.

ღამის წევარამში სინათლე,  
სალ-ქლდეთა ექოს ხმა არის,  
მტრის გულში ბევრჯერ ინათებს,  
ხევსური კაცის  
ხანჭარი.

ქეიფს მოჰყვება ღრეობა,  
შაირ-ქაფია საჯარო,  
ორი არაგვის ხეობა,  
თუშ-ფშავ—ხევსურეთს  
სდარაჯობს.

2008



## ამ მამაძალლებს

ამ მამაძალლებს  
არ ეშინიათ,  
დვოთისმშობლის  
წილხვედრ მიწას ჰყიდიან...

ამ მამაძალლებს  
სულ არ აღელვებთ,  
ეკლესიას რომ  
წიხლით აღებენ...

მათაც იციან,  
დადგება ჟამი,  
განიკითხვიან  
და არ ანაღვლებთ -  
ხალხსაც,  
ლმერთსაც  
მაინც ჰყიდიან!

მაინც ჰყიდიან,  
მაინც ქლავენ,  
არცრა ადარდებთ,  
მოვლენ,  
მოგსვრიან,  
დაგესლილნი  
გამოგლანძლავენ.

ლმერთს  
არ სწირავენ  
არც სამსხვერპლოს,



არც რამ  
ადსავლენს,  
ამ მამაძალლებს  
არაფერი სულ  
არ ადარდებოთ...

სულ  
არ  
ადარდებოთ  
არაფერი,  
ამ  
მამაძალლებს!

2004



\* \* \*

შემოვახტები  
ბელზებელს,  
ღედაც ვაცხონე  
სულთანის,  
მივიჭენ-  
მოვიჭენავებ  
(გამიგებს აბო სულმნათი),  
წიხლსა ვკრავ  
ეშმას მოციქულს,  
მივუგდებ  
ცხენს და უნაგირს,  
გავერევ-  
გამოვერევი,  
ჰარამსანაში,  
დუქანში,  
სულ ვაზლვევინებ,  
რაც ოდეს  
დაუქადნია  
რუქნადინს.

2009



\* \* \*

ვიცი,  
დროებითია,  
ახლა რაც მიხარია,  
ცვლის  
მოცარტის რექვიემს  
სალიერის არია,  
როკვა  
ეშმასეული,  
მზის ჩასვლამდე გრძელდება,  
სევდაა და  
დარდია,  
კაცის ბედნიერება.

ღმერთს  
რა უნდა შევჩივლო,  
უფულომ და უპურომ,  
როცა ძალმიძს  
თვალებით,  
მზეს და მთვარეს ვუყურო,  
როცა  
ფეხზე დავდივარ,  
ორივ ხელი მიპყრია,  
რაღა  
საყვედურები  
ამოვუშვა პირიდან.

როცა  
თვითონ უფალი,  
სამჯერ გავყიდ-გავეცი,



ავაზაკში  
გავცვალე,  
ჩემივ ხელით ნაცემი,  
ჯვარზე  
გაცვი იესო  
და ამ ცოდვით დავდიგარ,  
კაცის  
ბედნიერება,  
სევდაა და დარდია.

2008



### Կռմէնսպրելո

Թմզօֆռնօնտ,  
Իշմօ Տավար-կալամօ,  
Ռոցոռու Սուլույրոտ,  
Մշմօցլալալեծոտ,  
Թմզօֆռնօնտ  
Իշմօ մշլան-մալամօ,  
Արեմլաճ ճալցրոլնօ,  
Ճեւրչէր, յալալճնիյ.

ՅՆԵՐԾՈ, ՅԱԵԾԱՎԾՈ  
Ճա Իշմօ նայոյէրալնս,  
Ջացաբարյեծո  
Շծու չուծուու,  
Ելայէթրոնշլմա  
Ճնոմացուամ,  
ՅԵՐ մոցոյոլատ  
Ճմ Տացոյշետմո.

Իշմուցու յալալճո  
Ոյու Տեյշլո  
Ճա Արեմլու ոյու  
Իշմուցու մշլանո,  
Իշմո ըշլուցան  
Ճմուցոյշլո,  
ՈՆԵՐԵծուու լոյշսաճ  
Յնեծանո.

Ճելա յու առ ՅՆԵՐ,  
Եյրանս Իացոյէր ճա



კლავიატურას  
დავდევ თითებით,  
გამიჭირდება  
თქვენი შელევა,  
მტკიგა, ერთად ოომ  
აღარ ვიქნებით.

მშვიდობით,  
ჩემო საწერ-კალამო,  
როგორც სულიერთ,  
შემოგდალადებთ,  
მშვიდობით,  
ჩემო მელან-მალამო,  
ბევრჯერ დაღვრილნო  
ცრემლად ქაღალდზე.



\* \* \*

ზოგი

მიურინავს ლალად მთვარეზე,

ზოგი

სარეცელს იყოფს შეიხთან,

შენ ერთი — ორი

ლექსი დაწერე

და თითქმის უპე

ბედნიერი სარ.

ზოგს

პალატები სახლად არ ჰყოფნის,

ეცოტავება

თვალში სამყაროც,

ეს მიწა არის

შენი სამყოფი,

შენი ჯვარი და

შენი სამთავრო.

დიდებულ წარსულს

ფიქრში აღიდგენ

და იცი, მხოლოდ

რწმენა გიშველის,

ასე იმედით ელი

ხვალის დღეს,

მუდამ დარიბი და

ტანშიშველი.

შენთვის სიკეთე

ცოტაოდენი



და სიყვარული  
არის საკმაო,  
შენ ისე პქმნიდი,  
როგორც როდენი  
ქსოვდა ხელებით  
ზეცის ქაბადონს.

2004



## ქორცხველი

თქვენთვის  
სატირალი  
ცრემლით,  
თქვენთვის  
დასაღვრელი  
სისხლით,  
მოდის  
და სიყვარულს  
ელის,  
მიდის  
და თავის გალს  
იხდის.

როგორც  
მარადიულ  
შვებას,  
ლექსებს  
იმედებად  
ტოვებს,  
ისეც  
უგულობით  
კვდება,  
გული  
არ ატკინოთ  
პოეტს.



\* \* \*

ერთმა ქალმა ჩამიარა,  
ანგელოზსა გავდა,  
მომაგონდა აჩიგვარა,  
კელასურთან ზღვა და...

მომენატრა აფხაზეთი,  
სატკივარი გულის,  
სოხუმელი ლამაზები,  
თრიმლის თაიგული.

სიყვარულის მწველი განცდა,  
სალოცავი წმინდა,  
ჩემი იისფერი ცა და  
ერთი გოჯი მიწა.

ის წუთები მისახსოვრე,  
მისი ცეცხლით ვენთო,  
ის ქალი და ის სამოთხე,  
კვლავ მანახე, დმერთო!



\* \* \*

ეს საღამოც მიიღია,  
როგორც მკრთალი შუქი დღისა,  
კიდევ ერთი იდიღია,  
ჟამბა  
ჩემგან მიითვისა.

წყალს წყაროსებრ მორაკრაკეს,  
მწყურვალივით მივაწყდები,  
მოსაგონრად მოვარპალე  
ჩემი  
დარდიანი წლები.

მომავალზე გულში ვფიქრობ,  
დაუწერელ ლექსებს ვფურცლავ,  
რაც დავწერე დღემდე, თითქოს  
წაუღია  
ცაში უფალს.

2005.



\* \* \*

დაბრუნდნენ  
 მერცხლები შორიდან,  
 მერცხლები –  
 მაცნენი სიცოცხლის,  
 დღეს ჩემი  
 ოცნებაც მოვიდა,  
 გელოდი,  
 მჯეროდა,  
 გიცოდი...

1990.

## *ლუსი*

თითქოს  
 სულ რაღაც  
 ერთი წამია,  
 ისევ მოვიდა  
 წუხილი  
 შორი....  
 და არის  
 დიდი  
 გაწამაწია  
 ჩემს ფიქრებსა  
 და სტრიქონებს  
 შორის.

1992.

კუნძული. ლამებითო. ყველა



„როგორც  
ყლებისაუკი. ისე მიიღოს ჩემი ნიკოს  
ლამებითო! შენის დაკარგება  
„შენის აღვანყან ჩემი თვალები. ზეცაში მუხვა“.

ფსალტინილა



\* \* \*

შენამდე,  
ღმერთო, უფალო,  
რა შორი არის  
აქედან,  
ნეტავ,  
ამ ცოდვილ მიწაზე,  
ხანდახან  
გადმოგახედა.

დაილოცვნიან  
მიწანი,  
გავქრებით  
ყველა უკვალოდ,  
შენამდე მოსვლა  
აქედან,  
რა შორი არის,  
უ ფ ა ლ ო !

2000.



\* \* \*

დმტკრთო,  
ალალად მაცხოვრე,  
სიყვარულით და  
შიშით,  
შენი კურთხევით  
გსამხრობდე,  
შენზე გფიქრობდე  
ძილშიც.

გულში  
რითმებად დავაწყო,  
შენი  
ათივე მცნება,  
ეს იყოს  
ჩემი საწყაო,  
ხორცის და  
სულის ნება.

2004



## მამა კახან!

შენ „მეუფეო ზეცათაო“-ს  
ისე წარმოოქვამ,  
თითქოს უფალ დმერთს  
შესცექრი და ესაუბრები,  
მოუბრუნდებათ მაგ დაღადზე  
გული წარმართებს,  
დაადგებიან მართალთა გზას  
ავი სულები.

შენ შემაყვარე  
ეკლესია, ლოცვა საამო,  
ხან ისე მინდა,  
ჩემს ცოდვილ გულს გადაგიშლიდე,  
არ შეიძლება,  
იყოს ქვეყნად კაცი, მამაო,  
შენთან მოვიდეს და არ ჰპოვოს  
სულის სიმშვიდე.

იცი, მამაო,  
გარ ცოდვილი, ერთი მოკვდავი,  
ო, მომიტევე ყველა ჩემი  
ნაკლოვანება.  
დღეს მწამს, მოძღვარი  
ხიდი არის უფლის სავალზე  
და ვგრძნობ, სიმცირე  
შენი ხილვის სულს რად აკლდება  
და არ არსებობს ქვეყანაზე  
სხვა სილამაზე,  
ვიდრე ლოცვის დროს დანახული  
უფლის ხატება.



\* \* \*

არ არსებობს  
უფრო ლამაზი  
რამ სასახლე,  
ციხე—დარბაზით,  
გიდრე ნაგებით შემკობილი  
ე პ ლ ე ს ი ა  
გუმბათოვანი (თუნდ ბაზილიკა)...

არ არსებობს  
უფრო შთამაგონებელი  
რამ სიმღერა  
ჰაეროვანი,  
გიდრე  
გ ა ლ ო ბ ა...

და არაფერს  
ისეთი დვთაებრივი  
სუნი არა სდის,  
როგორც  
ს ა პ მ ე გ ე ლ ს...

არაფერია უფრო წმინდა  
გიდრე  
ე მ ბ ა ზ ი  
და გემრიელი, ვიდრე უფლის  
ს ე ფ ი ს პ გ ე რ ი ა.



\* \* \*

სიკვდილის შემდეგ,  
უფალო,  
შენთან მოვიდე,  
ის მინდა,  
კაცთა ცხოვრება,  
უბრალო  
წყლის ნაყვაა და  
ქვიშისა...  
კაცობრიობის  
გვამები,  
სულს,  
როგორც ჭურჭელს პყიდიან.

სიკვდილის შემდეგ,  
მამაო,  
გედგე მარჯვენით,  
ის მინდა...  
ვხარჯე სიცოცხლე  
ამაღდ,  
შევრცხვი საკუთარ  
სინდისთან...  
სიცოცხლე  
ადამიანთა,  
შენზე  
შექმნილი პიმნია.

საუბედუროდ  
ჩვენს შორის,  
კვლავ



ჩატეხილი ხიდია,  
ცოდვილ  
ნაშობთა მეფობის,  
გზანი  
ჯოჯოხეთს იზიდავს...  
შენთან  
მოვიდე, უფალო,  
ყველაზე  
მეტად ის მინდა.

2004



\* \* \*

„ო Հայո և Յոշագոյան երինան  
այտուլ ჩըշշշծ” –  
աչճշդ Ի յորոնույլուս

Սամպարուս Սառցրշենու ցակցուցեծունելս,  
Կռնցուլու ցակուցենա ցամուետիւն ցունելս,  
Վշշրշի շոյալն և, Սաբանաստան ցարոցեծունելս,  
Ե՛միստան դամարցեցեծունել  
Ըմերուս.

Մօնօդարն ամա յշայնու, մոնօդեյնեն,  
Մորթմունք լոռուցու ուղու մոնօսցենենու,  
յիւս ցաշցերու ցասարմպմելուադ մուսուսելու մըյրս,  
ուսուց ցցուրաեշնենու դա  
Ցայլուցու.

Ֆագրովու ծորուցեն օմոնօդու,  
Ջնունդենու, Սառնանաւ ժլուց մոցեդու,  
Ֆասչաս դա Սաշցնու մուլս մոցելու,  
Աֆրուան ցցուրամունու  
Ընդ.

Շոյալու, մոցցուցու ցուրու յ՛մամ  
Դա Սանամ ատասցարու Տենու Շեցցշամս,  
Դա Սանամ Տշլս ցացուցու Տամ ուման ցերուցելուադ,  
Մոնու դա ցցուաբրունու  
Շյն.

Եռորշմ դացուլալցու Շըշլունու,  
Եռորշմ դացմատեռուրդու Շըշրունու,  
Եռորշմ ցացլաբակցու Շրթմունունու,  
Սապցելուրս Շյմոցծեցլացու  
Երուս.

1999.



### ლ თ ს წ ი ა

ყოველთვის,  
დმერთო,  
ფიქრში, დოცვის დროს,  
გთხოვ, მიმყოფო ოჯახი კარგად,  
ოჯახთან ერთად,  
ყველა ჩემი ახლო მოპეთე  
და ყველაზე წინ,  
ერთიანი სამშობლო ჩემი.

მერე სამყაროს გადავწვდები,  
სადაც ამდენი,  
გაჭირვებული,  
დატაკი და  
დარიბი ცხოვრობს  
და გთხოვ, უფალო,  
შენი კალთა გადააფარო  
ამქვეყნად ყველას.

ამ ლოცვით თითქოს გალმოხდილი  
გავძედავ, დმერთო  
და მოკრძალებით  
ახლა ჩემთვის გთხოვ ცოტაოდენს –  
მინდა მანქანა,  
კარგი სახლი და ფულიც ზოგჯერ,  
რომ მეც ვიგემო  
ამა სოფლის სიამოვნება.

გამოგიტყდები,  
შენ ეს თხოვნა რომც შემისრულო,  
ყოფა-ცხოვრება,  
ჩემს ირგვლივ  
მყოფ გაჭირვებულთა,



იმდენად მზაფრავს,  
რომ არც კი ვიცი,  
შენს ნაბოძებს როგორ მოვიხმარ.

შუქს ვერ ავანთებ,  
როცა სხვები სხედან უშუქოდ,  
ხორცს ვერ მოვხარშავ,  
როცა სხვები სხედან უპუროდ  
და ვერ გავივლი  
თვალის მომჭრელ ავტომანქანით,  
როცა ფეხმოჭრილ  
ჩემს მეზობელს ხელჯოხიც არ აქვს.

დამტანჯავს, ვიცი,  
საკუთარი სინდისის ქეჯნა  
(თუმცა მე ბრალი  
არ მექნება ამაში, იცი),  
ამიტომ, ღმერთო,  
კი არ ვმკრეხელობ...  
ვამბობ –  
მამყოფო, როგორც სხვა ყველა,  
რომ მათი ჭირი  
და ტკივილი გავიზიარო.

მე ამისთვისაც  
მადლობელი ვიქნები შენი,  
ღმერთო,  
უფალო!



## ლუთისმშობელო მარიამ!

დაუკრავენ რექვიემს,  
სასიკვდილო არიას,  
შენ ხომ ჩემთვის იმდერებ,  
ლუთისმშობელო  
მარიამ?

ილოცებენ, ცოდვილნი  
დღესაც მრავლად არიან,  
შენ ხომ ჩემზე ილოცებ,  
ლუთისმშობელო  
მარიამ?

უყვართ სერენადები  
დამით სხივებს მთვარიანს...  
მეც ხომ შეგიყვარდები,  
ლუთისმშობელო  
მარიამ?

შენს ხატს დავეკონები,  
მინდა გულში ჩავიკრა,  
ნეტავ ხომ არ მოვპვდები,  
ლუთისმშობელო  
მარიამ?

ძველ გზას ხომ არ გშორდები,  
საიქიოს ქარია,



იქნებ გიახლოვდები,  
ლვთისმშობელო  
მარიამ?

დაუკრავენ რექვიემს,  
სასიკვდილო არიას,  
ყოველივე შემინდე,  
ლვთისმშობელო  
მარიამ!

2000



\* \* \*

ყოველი ქაცის  
მიზანი,  
წუთისოფელში  
ყოფნისა,  
რწმენით ცხოვრება,  
ლოცვა და  
უფალთან  
მისვლა ყოფილა.

ყოველი ქაცის  
მიზანი,  
ამ ქვეყანაზე  
ყოფნისა,  
შრომა, სიკეთე,  
სიმდაბლე  
და სიყვარული  
ყოფილა.

ყოველი ქაცის  
მიზანი,  
ამ საწუთოში  
ყოფნისა,  
ერთი ლამაზი  
სიცოცხლე,  
მერე სიკვდილი  
ყოფილა.

კვლავ განვიცადო  
ის მინდა,



სიამე ამა  
სოფლისა,  
როს ბარად მტკვარი  
დუდუნებს,  
მთაში არაგვი  
მორბისა.

როს ჯვარი  
თავის გუმბათით,  
ღრუბლებში  
ამოფოფრილა,  
ზარზმა და  
სვეტიცხოველი,  
ცის სიახლოვეს  
შობილან.

ელიას მთაზე  
სამება  
ღვთის ნებით  
გამოყოფილა...  
ყოველი ქაცის  
მიზანი,  
უფალთან  
მისვლა ყოფილა.



\* \* \*

გავსებ  
ლევოის ცოდვილ მონაგარს,  
ჩემს ცოდვათაგან  
გთრთი,  
ორი მსახურის  
მონა გარ,  
მამონისა და  
ლმრთის.

უფალს  
გადიდებ დიდებით,  
ვიყრი  
ტაძარში მუხლს,  
მაგრამ გულით და  
ფიქრებით,  
ეშმაკთანა  
გარ სულ.

შენ შემეწიე,  
უფალო,  
თრთოლვით,  
კანკალით გწერ,  
არ გავილიო  
უპალოდ,  
არ ჩამოვშორდე  
ლმერთს.

გული  
გერ გამიტიალებს,



სულს  
საწყალსა და მწირს,  
ხან  
ელვასავით გიალებ,  
ხანაც  
ცრემლებად გწვიმ...

ორი  
მსახურის მონა ვარ,  
მამონისა და  
ლმრთის.

2009



## თუ ამაღ შემქმნე

მე დავუბრუნდი სევდიან ლექსებს,  
თუ თვითონ სევდა მოვიდა ჩემთან,  
უფალო, ლმერთო, თუ ამაღ შემქმნე,  
თუ ქვეყნად მხოლოდ  
ეს უნდა მეთქვა...

თუ მხოლოდ ისე მეწერა უნდა,  
რომ შეება ეგრძნო ლარიბს და ობოლს,  
თუ უნდა მეთქვა კარგად თუ ცუდად,  
რომ სიკვდილია  
სიცოცხლის ბოლო...

რომ ვერ იმარჯვებს სიკეთე ბევრჯერ,  
არც ბოროტებას აქვს გზები სსნილი,  
რომ სამოთხისკენ შორია ჯერეთ  
და ჯოჯოხეთი  
წვაა და სისხლი...

და მაინც, მაინც ამ ქვეყნად კაცთა  
რომა ლირს ყოფა ნუგეშით, რწმენით,  
რომ იმედია ყოველი განცდაც  
და რომ სიმღერა  
ოხერაა მწველი...

უფალო, ლმერთო, თუ ამაღ შემქმნე,  
თუ ქვეყნად მხოლოდ ეს უნდა მეთქვა...  
მე ჩამოვშორდი სევდიან ლექსებს,  
დღეს თვითონ სევდა  
მოვიდა ჩემთან.



## უგლან

გონზე  
მოვიდეთ,  
ვიდრე  
დრო  
არის,  
ვიდრე  
იუდამ  
სული  
წაბილწა,  
პვერთხს  
სცემს  
კაენი,  
კარზე  
მომდგარი,  
ქრისტეს  
შებმია,  
ხროვა  
მაცილთა.

1998.



## იუსტი

წლეულს ბევრი შემოსულა,  
გვრიფოთ, ჩვენი რა მიდის,  
ზეთისხილი,  
ზეთისხილი,  
ბაღში სემირამიდის...  
სვალ იესოს ჯვარს აცვამენ,  
სვალე,  
სვალე,  
სვალემდე . . .  
ჩვენც მიგვყრიან საყურებლად,  
დიდ ცოდვაში გაგვხევენ.

ვინ ბარაბა, ვინ პილატე,  
ვინ, ვინ იცის შენსავით,  
ხარ ამ ცის და დედამიწის,  
ამ სამყაროს მძევალი...  
ამზადებენ ურწმუნონი  
ჯვარს, შენს ბოლო სარეცელს,  
შინაურნი,  
შინაურნი,  
შინაურნი  
გაგცემენ.

მოაქვთ ბზა და  
ფენენ გზადა,  
უნდა შეხვდნენ მაცხოვარს,  
ეს დარჩებათ,  
ეს დარჩებათ  
საუკუნო სახსოვრად,



წლეულს ბევრი შემოსულა,  
გპრიფოთ, ჩვენი რა მიდის,  
ზეთისხილი,  
ზეთისხილი,  
ბაღში  
სემირამიდის.

2001.

### ალილია

ო,  
ღმერთო ჩემო,  
ყველაფერი გაყიდულია,  
ეს ჩემი სულიც დაკოდილი,  
და ჯვარცმულია...  
მე ვარ პოეტი,  
ჩემი მიწის  
ვარ ლელთდუნია,  
ვისაც შენი გზით  
სურდა, ეგლო  
და ვერ უვლია...  
ათასწლეულთა  
ქარიშხლები გარდასულია,  
ალილუია,  
ალილუია...

2002



## ჩვენთან ასე ლმერთი!

„ერიც იქვეხნის,  
დაიკეხხოს უფლისთ” –  
აკაკი, II კორინთელთა

„ელეგანტური” ცბიერება –  
ალური ეშმის,  
„ელიტარული” უზნეობა  
მანჭვით და გრეხვით,  
დასცექერის გლასაკო,  
უპოვართა,  
დროთაგან შეცვლილთ,  
რომ არ ანალვლებთ,  
არცა ჩემი და არცა შენი.

გადიდებაცებულთ,  
უეცარი სიმდიდრით შეშლილთ,  
ვეღარც კაცი  
და ვერც უფალი  
ვეღარას შეელის...  
ჩვენთან არს ლმერთი,  
მე კი ვიცი,  
ჩვენთან არს ლმერთი.



## მაჩვენა

არავითარი ქალი,  
არავითარი ვნება ლეშის,  
სიკვდილს უჭირავს ოვალი,  
იყავ, უფალო, ნება  
შენი.

არავითარი ბაგე,  
არავითარი ტკბობა ხორცის,  
შენს წინარე ვარ, აგერ,  
შენს სხეულს, ხატად ქცეულს,  
გპოცნი.

არავითარი ლხენა,  
უნდა დავძლიო ლტოლვა თმენით,  
ჩემი უფალი შენ ხარ,  
მე ვარ, უფალო, მონა  
შენი.



\* \* \*

არ ვიცი, დმერთო,  
როგორი ხარ,  
რა ხნის, რა ფერი,  
მუდამ ჩემთან ხარ,  
უშენოდ ვგრძნობ  
თავს თუმც ხანდისხან,  
ხან კაცს მაგონებ  
თეთრწვეროსანს,  
ცას რომ ავცქერი,  
ხან მოხუცებულს,  
ლიმილიან პირისახისას.

იყოს გამოცდა,  
რისთვისაც მე  
ქვეყნად მოვედი,  
ოდონდ სიკვდილით  
მოვიპოვო  
სულის სიმშვიდე,  
დრო ყველა პასკვილს,  
როგორც ქარი,  
მიდენ-მოდენის,  
მოდი, უფალო,  
ცოდვებისგან  
გამოგვისყიდე.



## სან ლავიგინწყებ. უფალო

„როდის ყოფილა, ქალწულს თავისი სამჯაული  
ღაეფიწყებინოს, ან პატარძალს – თავისი მორ  
თულობანი? ჩემთა ერთსა კი რახანია, ღამიერწყა  
მე?“

იურემია წინასწარმეტყველი

დღე არ ჩაივლის  
უპვალოდ,  
ჩემს სულში  
გამოპრწყინდები,  
სან დაგივიწყებ,  
უფალო,  
როცა  
აღარა მჭირდები...  
მაგრამ შენ, ღმერთო,  
სულა ხარ,  
ჩემს ქვეცნობიერ  
ფიქრებში.

არ არის ის დრო,  
ის წამი,  
ჩემთან, ჩემს სულში  
არ იყო,  
რას მიზამს ჩასვლა  
მიწაში,  
ცა მინდა, სული ცას  
ითხოვს,  
ყვავილის დედაც  
მიწაა  
და ისიც მზეზე  
ყვავილობს.



## უფალო. ძეო კაცისა

სარ თეორ ზვარაკად მიგვრილი,  
უფალ დმერთს, სჯილი ისედაც,  
დღეს შენი დაფნის გვირგვინი,  
ეპლისად  
გადაიქცევა.

გზა გოლგოთისა ძნელია,  
ჭმუნვით გმზერ დასალიერსო,  
ორი ათასი წელია,  
გიხმობ,  
უფალო, იესო!

ატირდებიან მოგვები,  
შენი წყლულების ნახვისას,  
მიყვარხარ, გეამბორები,  
უფალო,  
ძეო კაცისა.

2006.



\* \* \*

აღარც გსტირ და არც თმას  
გიგლეჭ,  
შენს აღდგომას გხარობ,  
ღმერთო,  
მსურს ბრწყინავდე მუდამ  
მზისებრ,  
მამალმერთის მარჯვნივ  
იჯდე,  
სულიწმიდის  
მაღლით ენთო.

ჩვენთან იყო,  
ჩვენთან იყო  
ჩვენთან იყო,  
ქრისტე ღმერთო!

2006.



## იქნა!

სიცოცხლის  
ბოლო წუთამდე,  
ვინც გცემა,  
ისიც გიყვარდა,  
შენდობით  
გადაუხადე,  
სუყველას  
განუკითხავად.

ჰგაბადრეს:  
ძმრად ეღოთ  
წყარონი,  
სხეული ჯვარზე  
მიესოთ,  
„მწყურისო!“ –  
მაინც წარმოთქვი,  
რა კეთილი ხარ  
იქსო!



\* \* \*

ქაცობრიობა  
ჭეშმარიტი უფლის მრევლია,  
გადარჩენისკენ  
იესოს გზა ერთადერთია,  
წარმავალია,  
წამიერი ჩვენი ცხოვრება,  
ადამიანთა მოდგმა მხოლოდ  
ღმერთში ცხონდება.

სიყვარულია ამა ქვეყნად ყოფნის  
გვირგვინი,  
როგორც სიცოცხლე სიკვდილისთვის,  
ანდა პირიქით.  
პოდა, გავლიოთ ისე უნდა  
წუთისოფელი,  
გვიყვარდეს, გვწამდეს, გვიხაროდეს  
გულით ყოველი.

2006



## უფალო!

ხანდახან  
ისე მინდება,  
რომ შენთან ვიყო,  
უფალო,  
ან ჩემში იყო  
იმდენად,  
წამი-წამს იგრძნოს  
სულმაო...

ხანდახან ისე  
მჭირდები,  
ისე მაკლიხარ,  
უფალო!

2008



## პე. უფალო. მონა შენი

ცოდვებს ჩემსას  
ვერსა ვშველი,  
ჩემს ცოდვებთან  
შეშლილ ვარ,  
მე, უფალო,  
მონა შენი,  
ძე, მხევლისა  
შენისა...

ზოგი კაცი  
გვირგვინს შვენის,  
ზოგს  
გვირგვინი შვენისა,  
მე. უფალო,  
მონა შენი,  
ძე, მხევლისა  
შენისა...

ვერ ვარ  
ვერც რის დამამშვენი,  
როგორც მინდორს-შველითა,  
სიყვარული  
დამაქვს შენი,  
თუ რამ მშვენის,  
შენითა.

Նամակներու պահովութեան



© Worldprints.com

„մայուս առ օքյուլունատցուն եալեն, առամշը  
եալենատցուն յամունիս պայառմա օքյուլո” -

մշտի մակաժշղուա



## ჩემო სამშობლო

ჩემო სამშობლო,  
ასეთი რა ხარ,  
ყოველი გოჯი რაღაცით გამკობს,  
მიდის და გიდი ვერ ასწრებს ახსნას,  
ადიდებს დიდგორს, ბასიანს, შამქორს.

ჩემო სამშობლო,  
ასეთი რა ხარ,  
ყოველ ნაბიჯზე უფლის მადლს ვხედავ,  
მიდის და გიდი ვერ ასწრებს ახსნას,  
დიღომი, ჯვარი, სამთავრო, მცხეთა...

ჩემო სამშობლო,  
ასეთი რა ხარ,  
ჟამთასვლის რამდენ უტყვ მოწმეს შევხვდით,  
სვეტიცხოველი, მტკვარი და გაღმა  
ორი არაგვი — შავი და თეთრი.

ყოფილან ძმები  
ცხრა ძმაზე მეტნიც,  
არაგველებიც სამასზე მეტნი,  
ამ მიწას სისხლში ღებავდა მტერი,  
ამ მიწას, დღეს რომ გულგრილად გტპეპნით.

ათასზე მეტი  
ყოფილა ნოსტე,  
ათასზე მეტი გუბაზი, ქუჯი,  
ათასზე მეტი პაატა, ცოტნე,  
ივანე, შალვა, ხათუნი გურჯი.



მთები და მთები, და მთები კიდევ,  
ო, რა ამაყად საუბრობს გიდი,  
კაცი ცხოვრების ათას გზას მისდევს,  
მე ვიცი, ღვთისკენ ერთი გზა მიდის —

გზა უფლისა და გზა სამშობლოსი,  
გზა უცდომელი და ჭეშმარიტი.

2005



## სამპობლოს ყსალიყობა

სძინავთ ყრუდ კარდელიერებს  
კავკასიონზე უგრძნობლად,  
მარადიულად იელვებს  
სამშობლოს  
უსასრულობა.

მკლავს სიყვარული, რასაც რომ  
დღემდე ვერაფრით დავჯერდი,  
განმიზომია სამყარო,  
ამ მიწის ერთი  
ნაგლეჯით.

ყომრალ ღრუბლებმა ქედებზე,  
ყორნისფერ გადაიარეს,  
სამშობლოს უნდა ვეძებდეთ  
მუდამ და,  
ადამიანებს.

2004



\* \* \*

ეჰ,  
ჩემო ტატო,  
საქართვლოს ბჭე ჩამოენგრა,  
თუმც ჯვარიც ჯვარობს,  
მცხეთაც მცხეთობს,  
მტკვარიც დუდუნებს,  
მიწად აქცევენ  
ნაამაგარს წინამორბედთა,  
საშინელებებს  
გადაჟყვება ეს საუკუნე.

ეჰ,  
დიდო ვაუა,  
აღარც წესი, აღარც ადათი,  
ჩვენს დროში ახლა  
ქალი კაცობს,  
კაცი დიაცობს,  
დგას აფხაზეთში მტერი,  
როგორც ქართლის ბადრაგი  
და სასაცილოდ არა ჰყოფნის  
საციციანო.

ეჰ,  
დიდო ვახტანგ,  
დიდო დავით,  
დიდო ერეკლე,  
ვით სძლევდით ლაშქარს  
თურქ-სელჯუკთა,  
სპარსთა,



ყივჩაღთა?  
გვერეკებიან სამშობლოდან,  
როგორც ერკემლებს  
და მამლუქებად  
უცხოეთის  
ცის ქვეშ მივყავართ.

2002



\* \* \*

ჩამოლვენთილა  
ცრემლებივით  
სანთლის  
ნამცვრევი,  
არ ვიცი რატომ და  
მე მაინც ბედს არ ვემდური,  
ვნატრობ  
მხოლოდ ერთს,  
ამ მთა-გორებს  
როცა გავცქერი,  
გადამირჩინე  
ლმერთო, ჩემო,  
მამულ  
-დედული.

გაყიდულია,  
ყველაფერი  
გაყიდულია,  
ჩემი სამშობლოს  
ლოცვით მინდა  
ვიწვა,  
ვიდაგო,  
ლამაზია დღეს  
საქართველო,  
ვით დულსინეა  
და ჩემი ერი  
გონიერი,  
როგორც  
იდალგო.

1995.



## „სოსუმში ლაპტევნიკა“

გურამ ოდიშარიას

დმერთო,  
ახალი  
სხვა რა ჭირი  
უნდა მაუწყო,  
საუკუნეთა  
გრიგალში და  
ცეცხლში  
ნაწრთობ ქაცს,  
„ქართლის ცხოვრება“  
დამავიწყოს  
ლამის საწუთოომ,  
ახლა  
„ს ო ხ უ მ შ ი დ ა ბ რ უ ნ ე ბ ა“  
მიდევს  
საწოლთან.

1998.



## თოხი წელი

„ოთხი წელიწადი!... იცი, მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადი! პირველი, რომ მთელი საუკუნეა მისთვის, გინც თავის ქვეყანას მოშორებია. მეორე, ეგ ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა, ბეწვის ხიდია სიბნელისა და სინათლის შუა გადგბული. მაგრამ ყველასთვის კი არა, მარტო იმათოვის, ვინც რუსეთში წასულა, რათა ჭკუა ავარჯიშოს, ტვინსა და გულს მოძრაობა მისცეს, ფეხი ააღგმევინოს...”

ილია ჭავჭავაძე

ოთხი წელი არ მინახავს, ოთხი ზამთარ-ზაფხული, საქართველოვ, შენი მწვანე და ამაყი ქედები, დრო მოვიდა, მოვისწრაფი შენსკენ სულგანაბული, ისე, როგორც გამაცილე, ნულარ მომეგებები.

გადაშლილა გზატკეცილი კავკასიის ველებზე, დაკლაკნილი დარიალის ხეობაში იჭრება, მძღოლო, იქნებ ცისფერ თერგთან ცოტას შეანელებდე, ნუ იჩქარებ, აქაურ გზებს დაკვირვება სჭირდება.

ნელა... ნელა... არ უყვარდათ ხევისბერებს სიჩქარე, შეაჩერე... შეაჩერე... რა ჯანდაბა გახელებს, მერე რა რომ წვიმა მოდის, ისევ გამოიდარებს, კარგ სტუმართან თავს იდებენ, ლხინი უყვართ ქართველებს.

შეაჩერე... თერგიც შეცბა თითქოს ჩვენი დანახვით, ახლა ის რომ კაცი იყოს,



სადღეგრძელოს გვეტყოდა,  
ადრე, ქართლში ბრუნდებოდნენ როცა ვაჟა, აკაკი,  
მათაც ასე დიდებული  
მოწიწებით ხვდებოდა.

ახლა წადი, გამაქანე, წინ სამშობლოს მთებია,  
მსურს ვუმდერო ახლებურად  
საქართველოს მთას და ბარს,  
განა მართლა პოეტები ასე უცებ კვდებიან,  
არა, მათი არსებობაც  
თერგის ბორგვას წააგავს.

მიმიყვანე, მიმიყვანე ჩემს დედულში, მამულში,  
ჩქარა, მძღოლო, შუა გზაში  
გთხოვ ნუ... ნუ დამაღამებ,  
უნდა გნახო დღესვე ჯვარი, ცამდე ზეალმართული,  
მერე? —  
მერე ამ სიცოცხლეს თუნდაც გამომასალმეთ...



\* \* \*

ՍԵՎԸՆ  
ՅՈՒԺՆԵՅՑ  
ՍՅԱԼ ՇՈՇՈ  
ԾԱ ՇՊՈՄՑ  
ՇՈՄԵԴ  
ՔՐՈԼՈՅԱ  
ՇԱՌԵՄԼԵՅՑ  
ԹՐԵՅՄԱ  
ԹՐՈՅՄԱ  
ՇՅՐՈ  
ՔԱՐՏՎԵԼԵՅՑ  
ԹՐՈՅՄԱ  
ԹՐՈՅՄԱ  
ԹՐՈՅՄԱ... ԹՏ.

1992



## დღის მოვა ლა

დრო მოვა და მოცილდება სადარდელი,  
დრო მოვა და დამივიწყებს სევდაც,  
მარად გელი,  
მარად გელი,  
მარად გელი, —  
მეცხრე ცამდე აღზევებულს, დედაგ!

განა მართლა დაღლასა და შიშს ვიგრძნობდი,  
ამ მიწაზე სულ ფორთხვით რომ მევლო...  
სიზმრად გნახე:  
თავდახსნილი  
მოდიოდი,  
სისხლდაღვრილო, ჩემო საქართველო!



## გაზილილე, ლელაო!..

ო, დმერთო, აწ მაინც  
რად გინდა, არ შობო,  
კაცი, ვინც ჩვენს სატებს  
გათელავს, გადუვლის,  
გაზრდიდე, თავს ვინაც  
შესწირავს სამშობლოს,  
გაზრდიდე, ვისთვისაც  
ტკბილია მამული.

გაზრდიდე, რომელიც  
ალგეთის ლეპვივით,  
ომში და ბრძოლაში  
იქცევა ქარიშხლად,  
გაზრდიდე ისეთებს,  
გული რომ შეჰკივით...  
ტარიელს, ავთანდილს,  
თამარს და ამირანს!

გაზრდიდე, დედაო,  
ქეთევანს, გიორგის,  
რომ გვყავდნენ მრავალნი  
საოვლელად, საჩინოდ,  
რომ ახალ შამქორში,  
რომ ახალ დიდგორში,  
ჩვენი საქართველო  
კვლავ გადაარჩინონ!



## სიონი

მოდისარ, ბორგავ, შენ საქართველოს  
ცრემლადნოს უძადლო პირმშოვ,  
გვტკივა და ტირი, გვიღხინს და მღერი,  
ჩვენ გვეშინია, შენ კი არ შიშობ.  
ყველაზე წმინდა, ყველაზე ღვიძლი  
და მოტრფიალე მშობელი მიწის,  
შენა ხარ ერთი, შენა ხარ მხოლოდ,  
სხვა მე ამ ქვეყნად არავინ ვიცი.

დროთაგან უდრეკს, დაუდლელს წლებით,  
ვერ შემოგავლეს უძრავი ჩარჩო,  
ადიდდები და განა ზვირთები,  
მაგ სულის სწრაფვა და თრთოლვა გვახრჩობს,  
რამდენ დაცინვას გაუძლო უნდა,  
შეგეძლოს მაინც რაიმე მოყვე,  
ცხოვრების მეფევ, დროების მონავ  
და საქართველოს გულწრფელო მოყმევ!

1990.



## მცირები

მეც ახლა ვდგევარ შენს წინ მოწყენით,  
როგორც ბესიკი, ტატო, ილია,  
ირგვლივ იგივე არის ყოველი,  
ცაც იმნაირად მოწმენდილია...

არც თავადური სიდარბაისლე,  
არ ხმალი – მტრების სისხლით ნაფერი,  
არც შენს ზეირთებთან უხმო ბაასი –  
წარუტანია, დროს, ყველაფერი.

მე კი ისევე ვდგევარ, დაგყურებ,  
როგორც გუბაზი ან ფარნავაზი,  
დღეს მამაკაცებს მოსწონთ საყურე  
და ქალიშვილებს დარტყმა ნაფაზის.

ძველი კოლხეთი მტერმა წაიღო,  
აფხაზეთისთვის აღარც იბრძვიან,  
შენ კი, ტკივილით ასე დაღლილო,  
მოსმენის მეტი რა შეგიძლია.



## ჩა შუაშია

რა შუაშია  
არტურ რემბო,  
ბოდლერი,  
ლორკა,  
მყავს რუსთაველი,  
უმთავრესი ოლიმპოს მთაზე,  
ნეტავ,  
სამშობლოს სიყვარულში  
წამებით მომკლან  
და ჯვარზე გაქრულ  
ქრისტესავით მატარონ  
გზაზე!

2000



\* \* \*

ო, ქართულო მიწავ,  
დიდებულო მიწავ,  
წილხვდომილო მხარევ  
დედა მარიამის,  
დღემდე ჩვენი სისხლით  
და სიცოცხლით გიცავთ,  
ფრთხილად მტრებო, —  
ესე საქართველო არის.

ამ მიწაზე მოსვლა  
ნუ მოგიგათ აზრად,  
ოქვენთან ომს და ბრძოლას  
ნულარ მომანატრებოთ,  
კვლავ მოაპობს ტალღებს  
დახეთქილს და დამზრალს,  
ქართველების სისხლში  
ამღვრეული მტკვარი.

საქართველოს მზეო,  
მოწყენილო მზეო,  
გიცი, მჯერა მალე  
გამოიმაისებ,  
დრუბლიანო ცაო  
კალთა დაგელოცოს,  
წუთი ჩვენი ხსნისა  
ისევ მოვა, ისევ.



დგანან გრემი, ზარზმა,  
ჯგარი, დედაღვთისა,  
იშუშებენ სხეულს  
დროით ნაჭრილობევს,  
ქართვლის დედას ქართლში  
თავისივე ხმლით და  
თავისივე ხელით  
ძუძუები მოჭრეს.

ახალი წლის დამე  
პანაშვიდად იქცა,  
დაღალულო სულო  
სანთლად დაენთეო,  
ო, ქართულო მიწა,  
დ ი დ ე ბ უ ლ ო მ ი წ ა,  
საქართველოს მზეო,  
მ ო წ ყ ე ნ ი ლ ო მ ზ ე ო!



### თეონიული

თეონიული,  
ოი,  
დალის მწუხარებავ,  
თეონიული,  
ოი,  
“ლილეს” სიმღერაო,  
დარდმა  
ამაღელვა წუხანდელმა,  
შენი  
სიყვარულის იმედმაო.

2000



## მუცელის სილთან

აქ, ამ ადგილზე,  
შეყვარებულ წყვილებს რომ ხედავ,  
დღეს მაყრიონი რომ ჩაუვლის  
ამ ქუჩას,  
მაშინ,  
ძუძუზე მიკრულ შვილს მოუპლეს  
ათასი დედა,  
მტკვარში ჩაჟყარეს დედის თვალწინ  
ათასი ბავშვი.

ათას ორასი წელიწადი  
გვაშორებს იმ დროს,  
სხვაც ბევრი იყო სატანჯველი  
შემდეგ და შემდეგ,  
აქ, ამ ადგილზე  
თავი უნდა ამაყად იგრძნო  
და ერთხელ მაინც  
წამიერი დუმილით  
შესდგე.



\* \* \*

ქართლის  
მიწავ,  
ცაო  
ქართლის,  
გადაჲყრიდე  
მალე  
დრუბლებს,  
ჩემს  
ტანჯულ ხალხს  
ახლა მაინც,  
მზე  
და სითბო  
დაუბრუნე.

შვების ჟამად  
იქცეს მათოვის,  
ეს ახალი  
საუკუნე.

2000



## ლოცვა

დღემდე  
რისთვისაც მე ცრემლი ვღვარე,  
დმერთო,  
ის ოცნება ამისრულე,  
ჩემი ძმა და მორდუ  
შემაყვარე,  
ჩემი აფხაზეთი  
დამიბრუნე.  
თორემ  
მივეჩვევი ამ ობლობას,  
ბედი სულის მოთქმას  
არ დამაცლის,  
ერთი პაწაწინა  
სამშობლო მაქვს,  
ავი თვალისაგან  
დასაცავი.



## ჩაც მამალია

ვერ გავექეცი მიწას,  
რაზეც დარღით დავდივარ,  
ვერ გავექეცი  
ამ საფლავებს მამა-პაპისას,  
არმაზს,  
ზედაზენს,  
კრწანისს,  
დიდგორს,  
მარტყოფს,  
ასპინძას,  
მტკვარს მოდუდუნეს,  
მღვრიე არაგვს,  
რიონს, დარღი-მანდს,  
სისხლით და ცრემლით  
მოტანილ რჯულს  
დასაბამიდან,  
ვერ გავექეცი,  
ვერ წავედი ასე ადვილად...



\* \* \*

როგორც  
ეპლესის ნანგრევებს,  
ქვა-ღორღზე  
ამოსულ ბალახს,  
სამშობლოს  
სამშობლოში დავეძებ  
და ვიცი,  
უსათუოდ გნახავ.

როგორც  
ფერმიხდილი ფრესკები,  
თვალზე  
ცრემლმდინარი ხატი,  
დევს ამ  
ჩამორღვეულ კედლებში,  
მთელი  
საქართველოს დარდი.

და მკლავს  
მე იმისი წარსული,  
და მკლავს  
მე იმისი აწმყო,  
სისხლი  
გაყიდული მამულის,  
ყელში  
მაწვება და მახრჩობს.



\* \* \*

შორს დარჩა ჩემგან სიონი,  
ახლო სამგორის არხი,  
დგას ჭყვიშში გალაკტიონის  
მამისეული  
სახლი.

შორიდან ისმის „ჩაკრულო“,  
სადღაც მდერიან „ლილეს“,  
მიწადამც ვიქცე, მამულო,  
სხვაში გაგცვალო  
გინემ.

ისევ მოშხუის არაგვი,  
ისევ დუდუნებს მტკვარი,  
რაღაცა სევდისმაგვარი,  
ყველა მათგანში  
არის.

2003



## მომენაციება ეგა

დრუბლებს გაპობს ელვა,  
ცეცხლის ალებით მოვრალი,  
მომენატრება ევა, —  
მარადიული ქალი.

მოთმენილია მარცხი,  
ამოყრილია ჯავრი,  
საქართველოა მარცხნივ,  
საქართველოა მარჯვნივ.

საქართველოა ყველგან,  
მე კი ძველებურ ვნებით,  
მომენატრება ევა,  
ჩემი სევდა და ნეკნი.

2003



## უაზბეგის მყინვალე

თოვლი კი არა,  
ეგ შენი  
კაბაა  
საპატარძალო,  
თეთრ ტაძარივით  
შეჲშვენი,  
ხევის პატარა  
სამყაროს.

შენ უნდა  
მხოლოდ მზე გწვავდეს,  
შუქი დაგცემდეს  
მთვარისა,  
ამაღლებულო  
ზეცამდე,  
სატრფო ხარ  
შუალამისა.



\* \* \*

წვიმაა, ავდოით გადაღლილ  
მთებზე ღრუბლები წვებიან,  
ყველაზე უფრო მაღალი,  
ჩემი სამშობლო  
მთებია.

ამ მთების წვერზე შემდგარი,  
ღრუბლებსაც მაღლით დავუურებ,  
ხელში მიჭირავს შემქრთალი  
ნისლი —

ცის თეთრი საყურე.

მე აქ ვგრძნობ, ადამიანთა  
შური — მტრობაა უბრალო,  
როცა აქა ვარ, ცისკართან,  
შენთან ახლოს ვარ,  
უფალო.

2005



ლავით VI

დგახარ თბილისში ცივ შუბლით,  
ომი რომ გქონდა დიდგორს,  
ეტრატზე ამოტვიფრული,  
ხომ არა სჯობდა ის დრო?

ხომ არა სჯობდა, მეფეო,  
ამათ ნაქსოვს და ნართავს,  
ქართლი რომ გადმოეკვეთოს,  
ისევ თურქსა და თათარს?

ამათ ლხინს, იმათ შებმოდი,  
ხომ არ გერჩია, დავით?  
იმ შენს დიდ საქართველოში,  
ბერძენი ხალხი დადის!

და შენც, მშვიდი და მწუხარე,  
დიდომ-ქალაქში დგახარ,  
ერს ერთი შემოუძახე,  
მამულს სჭირდები ახლა!



## ჩა კაცი სამ მაშინ?

შენს  
სამშობლოს უნდა მოვლა,  
ახლა  
უნდა შენთან ყოფნა,  
გასხვისებულს  
ასე ყოვლად,  
დაწიწენილს  
და დაშლილს...

თუ  
გული არ აგითრთოლდა,  
თუ  
სისხლი არ აგიჩქროლდა,  
თუ  
ნერვი არ აგიტოკდა,  
რა  
კაცი სარ,  
მაშინ!



## ლორთქო ჰალახზე

ლორთქო ბალახზე  
გასხვეპილი  
სხეულით ვწევარ,  
საკმეველივით  
მაზარხოშებს  
სურნელი მიწის,  
მკლავს  
საქართველოს  
უიდბლობა  
და  
ბედისწერა  
და ნაჯაფარი,  
მოტანილი  
ოფლით და სიმწრით.


1998.

# ლაშჩია სოფელში

## ჩუმი ჰავაშვილი

... თუ ჩინებელი ნაცოვი ნძირაა. მაგ ცოდიც: და თუ ფრენი  
ნძირაა. მაგ. ლეონქ. ხოლო თუ ზოგი მწვ გაღატყდა და  
შენ. გამოყოფილი ზეთისხილი, დაეძებ მათ აღვილას და გან-  
ლი ზეთისხილის ფეხისა და ზეგნის თანაზიარი. ნუ იამპარ-  
ცავნებჭ ლეონთა ნიხაძე. ხოლო თუ იამპარცავნებჭ. იცოლე. შენ  
კი ამ გირავია ფრენი. ამამერ ფრენი უკავიხაო შენ —

ჩავლე მოცისყვა





## ლაშქრია სოფელში ჩემი ჰავავა... ლაშქრია სოფელში ჩემი ჰავავა...

დარჩა

სოფელში ჩემი ბავშვობა,  
ჩემი ცხოვრების მთელი სიმდიდრე...

მუხამეშურის ცივი ქარები,  
ჩემი რიონის მღვრიე ტალღები,  
ჭალები, ჩემი სოფლის ჭალები  
და საფლავები...  
ფასის მთა, გონა, ბუბა და შოდა,  
რასაც ვერასდროს ვერ დავივიწყებ...

დარჩა

სოფელში ჩემი ბავშვობა,  
ჩემი ცხოვრების მთელი სიმდიდრე.

მთით დაშვებული ცეცხლი – ჩვეშური,  
ზოგჯერ შოდურიც გადარეული, –  
ჩემი ბავშვობის თეთრი რვეული...  
ვერ მიჩვეული  
მე ამ ყველაფერს, უიმათობას,  
მიპყრობს და მბოჭავს სევდა დღითი-დღე...

დარჩა

სოფელში ჩემი ბავშვობა,  
ჩემი ცხოვრების მთელი სიმდიდრე...

ბეგითავი და ბერთა სანახშო  
და პაპაჩემის სკამი სამახვშო,



ერდო, საბძელი, ბეჭელი, ხარო,  
ტკიფილით მახსოვს...  
ვხვდები, მე მათგან უპვე რა შორს ვარ  
და მეძალება ფიქრი სიკვდილზე...

#### **დარჩა**

სოფელში ჩემი ბავშვობა,  
ჩემი ცხოვრების მთელი სიმდიდრე.

ლათქიშორაზე ხიდი პატარა,  
ნაფეტვარა და ნაკალავარა,  
ჭალუკეები, მინდვრის შარაგზა  
დაპატარავდა,  
ველი გადახმა, სიყრმე დამშორდა,  
გულში კი ქარი ქრის და ქირქილებს...

#### **დარჩა**

სოფელში ჩემი ბავშვობა,  
ჩემი ცხოვრების მთელი სიმდიდრე.

ანწლი, კუნელი, არყის ხეები,  
მწარე ბლები და ღოღნაშოები,  
სადათვეები, საჯიხვეები,  
ტყე და ღრეები...  
როგორც ჩვილისთვის დედის საშო და  
როგორც ყვავილი მტვერში, გზის პირზე...

#### **დარჩა**

სოფელში ჩემი ბავშვობა,  
ჩემი ცხოვრების მთელი სიმდიდრე.



ზეხენიერი და დედალვოსა,  
ქერის კვერები რძით და შაქრითა,  
მოწოდებული ბებოს კალთიდან,  
გაქრა, წავიდა...  
ციფი ბინულა კლდეზე ჩამოშრა,  
ხვალ ნასახლარიც ხავს მოიკიდებს...

ვერ მივეჩვევი უიმათობას,  
და მეძალება

ფიქრი  
სიპედილზე.

2001.



## მონაცემება

ყოველ დამეს ფიქრში ვათევ,  
ფიქრი მიზის საწოლთან,  
მდუმარება მენატრება,  
სოფლის  
სასაფლაოთა.

მენატრება ძველი თონე,  
ბეღელი და საბძელი,  
ამ ქაოსში თუ როგორმე,  
სიბერემდე  
გავძელი...

პეპლების გუნდს ავიყოლებ,  
მინდვრის ფრთიან ყვავილებს,  
წვიმა უნდა დამტიროდეს,  
ქარი მიწას  
მაყრიდეს.

ყოველ დამეს ფიქრში ვათევ,  
ფიქრი მიზის საწოლთან,  
მდუმარება მენატრება,  
სოფლის  
სასაფლაოთა.



\* \* \*

მე მიყვარს სოფლად  
ზამთარი,  
ცივი მდინარე  
გვალვისას,  
მიტოვებული სახლ-კარი,  
ბაბუაჩემის მამისა.

მივიწყებული საფლავი,  
გლეხი, მცხოვრები  
ლარიბად,  
საჭაპურები პატარძლის,  
ბლავილი  
უღელ-სარისა.

მოვარე და  
წერილნი ვარსკვლავნი –  
მაყრები შუაღამისა,  
სიმღერა მიჯნურ  
ქალ-გაუის,  
ხმა მთათა, ექო–ბანისა...

უჟამო  
ჟამში  
ლაჟვარდი,  
მბრწყინავი  
ეღელვაისად.

2005.



## ლექი

მწვერვალებზე ვდგავარ,  
თეთრ ნისლებით ვთვრები,  
ჭიუხების გაღმა,  
დგას სოფელი  
დები.

ჭიორაა ქვევით,  
უწერა და შოვი,  
ვეტრფი ამ ხალხს, ღმერთის  
მოყვარულთ და  
მოშიშთ.

ღმერთო ჩემო, ამ ხალხს,  
ნუ მოაკლებ ლხენას,  
ჭიუხების გაღმა,  
სამოთხეში  
შეხვალ.

1998.



## ლექისტონი

გზა  
საგლოლოდან მძიმდება,  
გადმოვიარე  
შხიროლზეც,  
ჭალას  
ჩამოსულ ფიჭვებთან,  
ჭიორას  
დავემშვიდობე.

წინ კიდევ რჩება  
„ორბედი“,  
უღელტეხილი  
პატარა,  
მთა—რაჭის  
თავში მოვედი,  
კავკასიონის  
თავთანა...

დარჩენილია  
სოფელი,  
უფლის  
და  
მთების ამარა.

2006.



\* \* \*

ამ დიდ სოფელს  
ახლა სევდა დამჩნევია,  
ამ დიდ სოფელს  
ახლა ჩრდილი დაკურავს,  
ამ სოფელში  
მე ბავშვობა დამრჩენია,  
დღემდე ჩემივ  
გულივით რომ დამაქვს.

ეს ქუჩაა  
ჩემი ყრმობის რელიქვია,  
შემოჭრილი  
ულამაზეს სიზმრად,  
პო, ამ სოფელს  
ჩემი აკვნის დედა ჰქვია,  
პო, ეს ხალხი  
მივლიდა და მზრდიდა.

არ ვიცოცხლო მაშინ,  
როცა არ მახსოვდეს,  
ვისი გორის,  
ანდა ვისი ძე ვარ,  
მუდამ ვეძებ ახალს,  
მაგრამ არასოდეს  
მინატრია  
განშორება ძველთან.

1990.



\* \* \*

ახლა რომ დებში  
თოვსა და ბარდნის  
და თივა მოაქვთ  
მარხილით ხარებს,  
მე მახსენდება  
მოხუცი სანდრო  
და გამოთლილი  
თხილისგან სახრე.

ეს არის ჩემი  
წინაპრის მოდგმა,  
ასე რომ ჩუმად,  
ჩრდილივით დადის,  
ამ მარხილს ჩემთან  
წარსულიც მოაქვს,  
ამ ხარებს – სევდა  
და ცოტა დარდიც.

2004



## გლოლა. ლეზი და ჭიორია

რიონის პირას ჩამოვსხდეთ,  
ერთმანეთს ხელი მოვხვიოთ,  
აქედან მოჩანს სამოთხე,  
ბუბა,

შოდა

და ზოფხითო.

ვიმღეროთ, ექოს მოგვძახებს,  
აქ სივრცე უნაპიროა,  
ფარად უდგანან ბოძალხევს,  
გლოლა,  
ლები  
და ჭიორა.

ცას სიამაყით გაჰქედავ,  
მოებს ჩაკირვიან რქასავით,  
სამივე ადგილის დედა,  
სამივე

ციხე -

ქალაქი.



\* \* \*

მხვდება სოფელში  
რკინის საწოლი,  
დაუნთებელი  
წლობით ბუხარი,  
ბაბუაჩემის  
ტანისამოსი,  
ძველი და ისეგ  
გაუხუნარი.

ვტირი და გულში  
მაინც ვამაყობ  
(დმერთს ვებრალებით  
გასაწირავად)...  
ჩირად არ მიღირს  
მთელი სამყარო,  
ამ ჩემს მშობლიურ  
კუთხის მიწასთან.

2005



## სხავების მოგზაურობა

საგლოლოს ვარ,  
ბოძალხევთან,  
შშობლიურ გზას  
დავეხარბე,  
ნისლია და მოვარეს  
ვხედავ,  
სხვაგვარია  
მთებში დამე.

პირს იქუფრავს  
ცაზე ნისლი,  
ცის საცქერად  
სარკმელს ვაღებ,  
გეფიცებით  
კაცის სინდისს,  
სხვაგვარია  
მთებში დამე.



\* \* \*

დებელ ქაცს  
უთქვამს:  
„ცივ ზამთარს,  
ვინც ვერ გაუძლებს  
მთაშიო,  
ბალანდა ჭამოს  
იმ კაცმა,  
ზედ წვიმის წყალი  
დალიოს,  
დილა  
საღამოდ ექცეს და  
დამე უქალოდ  
ათიოს“.

2005



\* \* \*

ჩემო ბებია, მოვედი,  
დებში, შენს სახლში გეძებე,  
ქე რო იცოდი, “ორბედში”  
რატომ არ გამომეგებე?

აქ ყველაფერი ისეა  
მოვლილი, ნასათუთარი,  
მაგრამ შენ სიგრცის იქედან,  
მომჩერებისარ სურათით.

ღიმილი გიჩანს სახეზე,  
აფრქვევ სიპეთეს, სინაზეს,  
ვათვალიერებ კედლებს შენს  
ნაფერებ-ნალოლიავებს.

სუყველაფერი ბედია,  
უშენოდ აქ ვარ მოსული,  
შენ რომ გიყვარდა, ბებია,  
ყველაფერს ისე მოგუვლი.



\* \* \*

ამ მოქმედი  
მდინარეები,  
„რაეო, დედას“  
მდერიან,  
ნისლებში რომ სჩანს,  
ბებერი,  
კავკასიონის  
წვერია.

უფლად არიან  
შებმულნი,  
ამ კლდეებს,  
როგორც ქვისლები:  
ჯიჯიშორი და  
წვეშური, —  
რიონის  
ძმადნაფიცები.

2006



\* \* \*

აქ ნელა უნდა  
იარო,  
დასტაბე  
ბუნების ცქერითა,  
მთა—ჭიუხებში  
ნისლებიც,  
მშვიდად დადიან,  
ზეცისა.

მიაყურადე  
მიდამოს,  
რა იდუმალი  
ხმებია,  
ნეტა,  
ეს გრძნობა მარადის,  
სულ გულით  
მატარებინა.

ნელა იარე,  
ძმობილო,  
ღვთით  
გურთხეული გზებია!

2006



\* \* \*

თ-ს.

აქ ჩემს სახლში ვარ, ჩემს სოფელში, ჩემს საძვალეში,  
ჩემს ჭიუხებში, ზვიად მოებში, ახლოს ზეცასთან,  
ჩემთან არიან ფიქრიანი შუაღამენი,  
ჩემთან არს ღმერთი, „დედაღვთისა”,  
და შენც ჩემთან ხარ.

აქ კავკასიონს, ვით უფროს ძმას ისე გავყურებ  
და რიონს, როგორც ამ მთათა  
ცის ნაღვენთ ცრემლთაგანს,  
ჩემია ნისლი, რომ პეიდია შოდას საყურედ,  
ჩემია ჩვეშო, მუხამეში,  
და შენც ჩემთან ხარ.

იმდენ სითბოს გვრძნობ, რამდენ სახლსაც  
კვამლი ამოსდის,  
რამდენ ნასახლარს ხავსი ახრჩობს,  
იმდენ ცრემლსა ვნოქავ,  
ჩემთან არიან სალი კლდენი, ჯიხვთა სადგომნი,  
ჩემთან არს ღმერთი, “დედაღვთისა”,  
და შენც ჩემთან ხარ.

მიაჰრიალებს გზას მეურმე და ეს მახარებს,  
მახარებს, მარხილს რომ მოჰყვება ხარი გლეხთანა,  
ჩემია ეს გზა, ეს ორდობე, ყორე, ქვა და ხე,  
და „მაცხოვარი”, რომ შენდება,  
და შენც ჩემთან ხარ.



მე მიხარია, რომ აქა ვარ, ჩემს საძვალეში,  
ჩემს ქარაფებში, ზვიად მთებში, ახლოს ზეცასთან,  
ჩემთან არიან წინაპართა წმინდა ლანდები,  
ჩემთან არს ღმერთი, „დედალვოისა”,  
და შენც ჩემთან ხარ.

მე ვწუხ, რომ ვტოვებ, ჩემს ეზო კარს,  
მთასა და მთის კორდს,  
ვტოვებ ჩემს სოფელს, მივდიგარ და  
ცრემლად ვიღვრები,  
თან მიმაცილებს „დედალვოისას” მადლი და სიობო,  
ვიცი, რომ ყველგან, სადაც წავალ,  
თქვენთან ვიქნები.



## ზამთარი

ციყვი  
გასკუპდა  
მდელოზე,  
მზემ თვალი  
თოვლით  
მოლულა...  
ცეცხლი  
უნთია  
მეზობელს,  
ყავარს  
ჰქიდია  
ლოლუა.

2008



## „ლექის მაცხოვნის ცაძალი”

დასცეკერის რიონს,  
როგორც მტკვარს,  
სვეტიცხოველი და ჯვარი,  
ცით ჩამოქანილი მშვენება,  
„დების მაცხოვრის ტაძარი”.

ხალხი შემოდის  
დვოის სახლში,  
რომ დმერთს პატივი მიაგონ,  
დმერთმა დალოცოს ამ ხალხთან,  
გოგრიჭიანი იაგო.

დმერთმა  
დალოცოს ამ საქმის,  
სუყველა ჯურის მოკეთე,  
„დების მაცხოვრის ტაძარში”,  
სანთელი ენთოს ყოველდღე.




## ელოლა-ჭიორია-ლეპში

მთებს  
უყვართ ამ წყლის ხმაური,  
რიონს –  
დუმილი მთების,  
ჭალებს  
ჭრიალი სარ-ურმის,  
ყანებს –  
ზვინები, ზვრები.

მიყვარს  
“რაეო” რაჭული,  
დამით  
ყმუილი მგლების,  
აქა ვარ  
დედულ-მამულში,  
გლოლა –  
ჭიორა –  
ლებში.

# ଫର୍ମିଟା ଫର୍ମା ନିଲାନିଶ୍ଚଳ



ପରିବହନ କରିବାକୁ ପରିବହନ କରିବାକୁ  
କରିବାକୁ କରିବାକୁ କରିବାକୁ  
କରିବାକୁ



## ქრისტო ქრისტა სილაპიტე

...გაშა დარიბებს, გაშა დარიბებს,  
გინც უკანასენელ ღუჟებს არიგებს,  
გინც მშეურ აღმართს მაინც აირძებს,  
და სიყვარულსაც უხვად წაიღებს...  
გაშა დარიბებს...

ძერანულ (თარგმნა მ. ხეთავურმა)

შენ რომ არ იყო, სიღარიბევ,  
შენ რომ არ იყო,  
წარმოიდგინე ქვეყანაზე რა იქნებოდა?..

ფასს დაკარგავდა თვითონ სიმდიდრეც...

გაიზრდებოდა  
მოხელეთა ფარისევლობა,  
შური და ქიშპი. . .  
ამ აგაზაებს,  
კუჭის მძღოლელ ინტელიგენტებს,  
პროვინციალის ყოვოჩობა „დაპშენდებოდათ”,  
დასჩემდებოდათ ერისკაცობის პრეტენზია  
და ხშირად აერეოდათ სიძვა  
სიყვარულში...

შენ რომ არ იყო, სიღარიბევ,  
შენ რომ არ იყო. . .

ადამიანებში დაიკარგებდა სული,  
გაქრებოდა ყოველგვარი ღირსება  
და კაცის ცხოვრებას  
არ ექნებოდა სხვა რამ მიზანი,  
გარდა ბოროტებისა,  
მომხვეჭელობისა,



უფრო და უფრო  
მეტის დაგროვებისა და  
ადამიანები გადაიქცეოდნენ  
გაზულუქებულ ხორცმეტებად,  
ტახტზე წამოგორებულ  
ტომრებად,—  
ჭამაც და ფეხის ალაგში  
გასვლაც ომ დაეზარებოდათ.

ო, სიღარიბეებ!

მომავლის უდაბნო, უნიკუმი,  
დანტე ალიგიერის  
ჯოჯოხეთურ კიბეს მოგვაგონებდა  
და იქნებოდა ნაღვლიანი  
ყოველი დღე...  
აღარავინ გაიხსენებდა  
საწყალ მონათა ბედს,  
სვეტიცხოველი და არმაზი  
რომ ააშენეს...  
საკუთარი სიწმინდეების უარყოფა  
დამკვიდრდებოდა  
(მაგ.: “ჩემი დედა”, “ბოზიშვილი გიყო”  
თუ სხვა მრავალი, —  
ნუგზარ შატაიძის  
“ელიქარიც” დამემოწმება)  
და ქვეყნის ზნეშენარჩუნებულ ნაწილს  
ჩაუკვდებოდა გმირული სული,  
ბრძოლის ჟინი და  
გამარჯვების რწმენა.

განვაქიქებდით  
მართლმადიდებელ წმინდანთა  
თავდადებას



და მარადისობაში გარდასულ  
მხარგრძელებს,  
ოძელაშვილებს,  
ხერხეულიძეებს,

ამ დაუდგრომელ სულებს,  
მივივიწყებდით...

შენ რომ არ იყო, სიღარიბევ,  
ამ ქვეყანაზე...

არ იქნებოდა ის  
გამაწვრილებელი გულის სიმღერა,  
ყანაში, ხნულში  
ჩამდგარი გლეხისა,  
“კვნესას რომ უფრო პგავს და  
მაინც სიმღერას ვეძახით”,  
არ გვექნებოდა :  
“ჭ ო ნ ა” და “უ რ მ უ ლ ი”,  
“ლ ი ლ ე” და “ჩ ა კ რ უ ლ ო”!  
წალეკავდა კომპიუტერი  
მხატვრულ სიტყვას,  
ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად  
ქცეულ წიგნებს,  
სასიყვარულო ბარათებს  
და დედა ენას.

რაც შეეხება ქველმოქმედებას,  
დღეს რომ მდიდრები  
ვითომ შენთვის (სიღარიბისთვის)  
და ჩვენთვის (დარიბთათვის) სჩადიან,



სინამდვილეში დაბეგვრის  
ასარიდებლად,

ესეც საქმეა!..

არ იქნებოდა და  
არავინ არ მოგვიგდებდა  
დასამადლებლად  
თითო კილო ფქვილს,  
თითო ლიტრ ზეთს,  
ნახმარ ტანსაცმელს,  
იმავე დასაბეგრი ფულიდან,  
ჩვენთვის მოსაცემი  
გროშების სანაცვლოდ.

სიყვარული კი...  
სიყვარული მოგეხსენებათ –  
“შენგან ბრძენი ხელად რებდეს”,  
“შენგან მეფე მონას ეყმოს”...  
(და არა მდიდარი დარიბსო),  
დიახ,  
სიყვარულს  
მთელი ლაზათი წაუხდებოდა,

შენ რომ არ იყო, სიღარიბევ,  
ამ ქვეყანაზე!

აბა, წარმოიდგინე,  
ეს ჯიბესქელი,  
მუცელტიალი “ელიტარები”,  
სიყვარულისთვის  
სად მოიცლიდნენ...  
ვისი გულისთვის, რისი გულისთვის  
ან სადღა აქვთ გული...



ქონდა შეუჭამათ,  
ქონამდე – ქონებამ,  
ქონებამდე – შურმა,  
შურამდე – ეჭვმა,  
ეჭვამდე – შიშმა

და  
არ დარჩათ გული!

აბა, გაიხედეთ,  
რა ლამაზმანები დადიან ირგვლივ,  
რამდენი “ხანუმ-კაფე”  
და “საროს კიბოა”  
(კიბოა, მა რა?),  
თავი რაღად უნდა აიტკივო,  
სული რაღად უნდა გაიწვალო,  
ფული და მორჩა, –  
(ამასაც ვერ იმეტებენ ეს “დონ-უუანები”)

შენია ყველა ქალის სიყვარული,  
თუ მდიდარი ხარ!

ოლონდ, თუ მანდ სადმე  
სიღარიბეც არის,  
ცოტა შეჩერდი შენ,  
ს ი მ დ ი დ რ ე ვ,  
ბოდიში მოიხადე,

თავი დაუხარე,  
გულში უთანაგრძვნე და  
ისე გაიარე,  
იმიტომ, რომ

ს ი დ ა რ ი ბ ე ბ, ა,

რომელმაც იცის  
შრომის ფასი,  
ნიჭის ფასი,

ძმობის ფასი და  
სიყვარულიც,  
რომლის ხარჯზეც გახდი შენ,  
ბოლოს და ბოლოს,  
ასე ამაყი და ამპარტავანი...  
ხოლო ჩვენგან,  
ანუ ჩემგან,  
ანუ ჩემნაირებისგან

ქ ე ბ ა თ ა ქ ე ბ ა ,  
ს ი ღ ა რ ი ბ ე ვ , შ ე ნ !

რადგან,  
შენ რომ არ იყო ამ ქვეყანაზე,  
მე არ მეცოდინებოდა,  
რას ნიშნავს სითბო  
(უფრო სწორად - სიცივე),  
რას ნიშნავს სიმაძლე,  
უფრო სწორად – შიმშილი  
და ასე შემდეგ და ასე შემდეგ...

ვერ გავიგებდი  
იოდიანი მარილით  
ვიტამინების შეგსების საშუალებას,  
ნიორწყალში ამოწებული პურის გემოს  
და ღიეტად მონათლული შიმშილით  
ჯანმრთელობის უფასო რეცეპტის  
არსებობას.

ვერ გავიგებდი,  
რას ნიშნავს მეგობარი და  
რაც მთავარია,  
ვერ ჩავწვდებოდი სიყვარულის არსეს,  
გრძნობისას,  
რომელიც თუ ჩემთან არის,



აღარაფერს ვდარდობ –  
აღარც სიცივეს,  
აღარც შიმშილს,  
აღარც უსახლ-კარობას,  
სულიერად ამაღლებული და  
ყველა მდიდარზე გაცილებით  
ბედნიერი ვარ.

ამიტომ,

ქ ე ბ ა თ ა ქ ე ბ ა შ ე ნ ,

ს ი დ ა რ ი ბ ე ვ ,

ქ ე ბ ა თ ა ქ ე ბ ა !!!

2002



## მეორადი ხალხი

ნუ მკითხავ, არ მკითხო,  
სად ვიყავი,  
უხერხულია პასუხის გაცემა,  
რომ შვილებისთვის,  
ძონძების მაღაზიაში შეძენილი  
სამოსი მიმაქვს.

ნუ მკითხავ, არ მკითხო,  
რით ვიკვებებით,  
იმიტომ, რომ უცხოეთში  
ხმარებიდან ამოღებული პროდუქტებით,  
ჩემს ცოლს ჩიყვი სჭამს,  
ჩემს შვილებს კი ფერი აქვთ მკრთალი.

ნუ მკითხავ, არ მკითხო,  
ვინ ვარ, რა ვარ, ან საიდან,  
რადგან იმ პასუხს, შენ რომ გინდა,  
მაინც ვერ გაგცემ...  
თუმცა გეტყვი, რომ დაუდგენელი  
სტატუსის მქონე —  
„მეორადი ხალხის“ შვილი ვარ.

მეორადი მოხმარების  
მომხმარებელი ხალხიდან,  
პირდაპირ მეორადი  
მოხმარების ხალხად ვიქეცით,  
რადგან საზღვარგარეთ  
სამუშაოდ წასულ ჩვენს შვილებს,  
დებს და დედებს,



უცხო ბატონი,  
როგორც მეორადი მოხმარების ნივთს,  
ისე უყურებს...  
თუმცა მერე რა,  
ჩვენც ხომ იმათ ნახმარ  
საგნებს ვიყენებთ,  
მათი ნახმარი ავეჯით და  
მანქანებით  
ვიწონებთ თავებს...

ეჱ, მეორადს კიდევ რა უშაგს,  
მე ვიკითხო, რომ ამ ახალ წელსაც  
უტელევიზოროდ უნდა შევხვდე,  
ცოლ – შვილი კი, რა თქმა უნდა,  
ისევ გამიგებს,  
როგორც შარშან,  
შარშანწინ და კიდევ იმის წინ:  
შარშანწინ  
ახალი სამსახური ვიშოვე და ამითაც  
ბედნიერები ვიყავით,  
შარშან  
ხელფასის მომატებას შემპირდნენ და  
იმედით ველოდეთ,  
წელს კი...  
ახალი მთავრობა მოვიდა და ...

იმედი ცოცხლობს.



## მათხოვანი ჰაგტვი

მეტროში  
მათხოვრობდა  
ბავშვი,  
ბავშვს  
პქონდა  
მათხოვრობის  
ს ა შ გ ი,  
თან შიში  
და შიმშილი  
სდევდა,  
დასდევდა  
მატარებლებს  
სეგდად.

2003



\* \* \*

ბავშვები ქუჩაში  
ხურდა ფულს ითხოვენ,  
სულ ცოტა მადლსა და  
უბრალოდ სიცოცხლეს,  
დაღლილი თვალები  
და სუსტი ხმები აქვთ,  
ქუჩაში წვებიან,  
ქუჩაში დგებიან.

ავადმყოფ დედებს და  
ბებიებს არჩენენ,  
სითბოს და ლუქმა-პურს  
შესთხოვენ გამჩენ ღმერთს,  
ცხოვრებას პატარა  
ხელებით შებმიან,  
თავისთვის უხმოდ და  
უცრემლოდ კვდებიან.

ქუჩაში  
ბავშვები  
დედაზე მღერიან. . .



\* \* \*

„დარიძ-დაუბაკი გეორგიით ლაპარაკობს,  
მდიდარი კი უძუხად აასუხობს“ –  
ივაზნი

ჩემი „მერთალი“ სიღარიბე,  
მაგ შენს მდიდრულ “ლვთაებას”  
(არ შევნატრი ვიღაცის ბედს),  
როგორ შეედარება.

ჩემი წრფელი სიყვარული,  
შენი სიძვის მკირთავებს,  
ვით მოუვათ თვალში, გულში,  
კვლავ მე განმიკითხავენ.

მე ლექსების პატრონი ვარ,  
ლექსმა სენი შემყარა,  
ლმერთთან გავდი-გამოვდივარ,  
ფეხეჭვეშ მიძვეს ქვეყანა.

გინდა განზე დატოვილი,  
სული სხეულს გაჰყარო,  
დაბრძანდები ბატონივით,  
შენი არის სამყარო.

ნეტავ ჩემს ტბილ სიღარიბეს,  
ჰქონდეს ბინა შენთანაც,  
არ შევნატრი არავის ბედს,  
მაღლა ვიყო,  
ლმერთთანა.



\* \* \*

ბედნიერებავ, ხელი არ მახლო,  
თუ ეშმასეულ სიმდიდრით დამდლი,  
მე აქ ღარიბის ფიცრულში გსახლობ,  
რა უნდა მქონდეს  
პოეტს და დარიბს.

კუთხეში ჩემი ლექსები ყრია  
და ასდის ალი სულივით სანთელს,  
ბედნიერი ვარ, რომ ვიღაც მიყვარს  
და მთელ ღამეებს  
ფიქრებში ვათევ.

უბედურებაც არ არის შორი,  
შენც ბედისწერის ლოდინში ბრაზობ,  
მე კი დავდივარ და ჩემი შრომით,  
ვპოულობ შვებას და  
სულის საზრდოს.

2003



\* \* \*

დუბახში სასუზმოდ შესულ მე და მამაწმი  
დარიძ- ლატაკი ძიჭუნა შემოგვყენა, ზამთარი  
იყო და ხალვათად ჩცვა. ძეღუძნებვათბო,  
დაანუყრა და გაისტუმრა.

იცოცხლე  
ზრუნვისთვის,  
დარიბთა,  
ობოლთა,  
სამშობლოს  
ლვთისკაცი  
შენებრი  
უმრავლოს...  
და გზა ეს  
თუ არის,  
ახალი  
გოლგოთა,  
ამ გზაზე,  
ბავშვებს  
ნუ ატარებ,  
უფალო!

1994



\* \* \*

მდიდარმა  
ავტომფლობელებმა,  
თავიანთი ავტოებისთვის,  
(ხალხში თავი  
უხერხულად ოომ არ ეგრძნოთ),  
მინების დამუქების ტექნოლოგია  
შეიმუშავეს.  
დასრიალებენ  
ასფალტის ქუჩებში,  
თვალზე ბინდგადაკრულები  
და შენიდბული  
შუშების მიღმა,  
ვერც სამათხოეროდ  
გამოსულ ხალხს,  
ვერც  
გაპარტახებულ ქალაქს  
და ვერც  
უწამლობით მომაკვდავ კაცს  
ვერა ხედავენ.  
მეძავებთან, საუნებში კი —  
იცოცხლე!

გლახაკი  
კაცის  
ცხოვრება კი,  
მათ მიღმა  
გადის.



\* \* \*

ქუჩაში  
ხელგამოწვდილ პატარებს,  
ოღონდაც  
ნუ მანახებ, დმერთო,  
მე ჩემთვის  
აღარა გთხოვ არაფერს,  
ამ ბავშვებს  
სანთელივით გენთო.

ამ ბავშვებს,  
სიცოცხლის ლამაზ ყლორტებს,  
ეშველოთ,  
დღენიადაგ ვნატრობ,  
დმერთო,  
მათ ნურასდროს მიატოვებ  
და ჩემთვის  
სულ არაფერს არ გთხოვ.

1998.



## ნუ გაეიკინოდება ნუმაფული

ნუ გაგიძვირდება  
ნურაფერი,  
ნურც ის,  
რომ ჰალსტუხიანი მამაკაცი  
ნაგავში იქექება,  
ანდა ახოვანი,  
ლამაზი ჭაბუქი,  
“ბიუსპალტერებით”  
დახლში რომ დადის,  
ან პოეტი,  
ჯიხურში რომ დგას და  
პაპიროსს ყიდის.  
ნუ გაგიძვირდება,  
ან რა არის აქ  
გასაკვირი.

სამაგიეროდ,  
ყველა ქურდი  
და მამაძალლი,  
ზუთხიოთ და  
ხიზილალით იკვებება,  
ყველა ნარკომანი  
და ნაციხარი,  
მთავრობაშია  
უვადო ვადიოთ  
და ქვეყანას  
მართავს  
ყველა



ყრუი,  
ცრუი  
და ფლიდი...

ნუ გაგიძვირდება  
ნურაფერი,  
ან რა არის  
დღეს გასაპვირი.

1994



## ჩას გაუმარჯოს

რას

გაუმარჯოს? —  
სიღარიბეს,  
ნაღველს რომ  
ფარავს,  
ლუკმას,  
რომელიც  
არავისთვის  
არ მოგვიპარავს,  
ლვინოს,  
ზედაშეს,  
ქვევრიდან  
რომ  
წამოიღვრება  
და  
ტებილ  
ტაბლასთან,  
ლოცვასავით  
ნათქვამ  
სიმღერას.



\* \* \*

უფულო  
პაცის ქეიფი,  
ცალმხრივი  
სიყვარულივითაა,  
მიდი,  
დაასხი  
მერიქიფე,  
რა დროს დარდია.

დაასხი,  
სამშობლო ხომ  
სიმთვრალეში  
უფრო გვიყვარს,  
დაგლიოთ და  
ბახუსით  
გულები გავიმაგროთ,  
ამ ქვეყნაზე  
ხომ აღარ მოვალთ  
და ერთმანეთს  
არ შევხვდებით.

უფულო  
პაცის ქეიფი,  
ცალხმრივი  
სიყვარულივითაა,  
დაასხი,  
ჩემო მერიქიფე...



## პ ე ც ი ს პ ი

„რაյი სწორადადე არ ისჯება ძოროვი საქშე,  
ამიტომ ძეგლავს კაცი ძოროტების ჩაღენას” –  
ქალებიანტე

მეტროში ქალი,  
რომელსაც სამშობლო წაართვეს,  
მდეროდა:  
“ჩემი სამშობლო,  
თვალხატულა საქართველოა”.  
მეტროში ბავშვი,  
რომელსაც ბავშვობა წაართვეს,  
ფლერთს სთხოვდა,  
რომ მის ავადმყოფ  
დას და დედას რამე შეელოდა.  
მეტროში ხალხი,  
ფიქრის უფლება რომ წაართვეს,  
გენი რომ შეუგინეს,  
ჯიში გაულანდეს,  
წყალი რომ შეუწყვიტეს,  
პაერი გაუმწარეს,  
ხედებოდა, –  
ხალხი უფლისა,  
ხელისუფალს არ სჭირდებოდა.

სახეზე აჩნდა  
ყველას ქვალი,  
დარდის და სევდის,  
არავის სურდა ამ მიწიდან  
ამოსვლა ზევით.



## მწილისი მწყებარი სოფლის

„მესაფედაცვე, შენ ამბობ,  
რომ ქვეყანა ზე გინც ეს ძვრება,  
იმ წუთშიც მისი ჩრდილი  
ჯვალა ჩვენებას აირწყოება?...“  
გალაქტიონი

ქალი შავებში ჩაცმული,  
ანგელოზივით ქალი,  
ნამტირალევი ასული,  
ოქრო მზისა  
და მთვარის.

დადონებული შემომხვდა,  
ეშხი ათრობდა ნაღველს,  
თავშესაფარი დემონთა,  
იზლაზნებოდა  
ლამე.

ტამიშისკართან მოკლული,  
ელანდებოდა ქმარი,  
მიწა, ცრემლებით მორწყული,  
იზილებოდა  
ქარით.

შვილები — სკოლა-ინტერნატის,  
სასძლო ბეჭედი — ლომბარდის,  
ნეტავი ვინ დაიდებდა,  
ამ ანგელოზის  
ცოდვას.



საშველად მივუახლოვდი,  
ჩამოიშალა თმები:  
“მე დაგიღალე ამ ყოფით,  
მუდამ სიკედილის  
ძებნით.

იქნება მართლა შენა ხარ,  
სხვა არც მომიგა არვინ”... —  
მითხრა და მთელი ქვეყანა,  
გადამეშალა  
თვალწინ.

თითქოს დაგსახლდით კლდის ქიმზე,  
სამარადუამოდ იმ წამს,  
ცისძენ გვიწვევდა პირიმზე,  
ფეხშეშ გვეწვოდა  
მიწა...

გაფფრინდით, გავინავარდეთ,  
სააქაოსთვის მოვკვდით...  
ან თქვენ ოოგორ სძლებთ აქამდე,  
მკვიდრნი მწუხარი  
სოფლის!



\* \* \*

რაც არაფერი მაქვს,  
რა შემოგთავაზო,  
რით გიყელყელაო, რაცა ვარ, ესა ვარ,  
შენ უნდა ასეთი გიყვარდე, ლამაზო,  
რადგანაც განგებამ ერთმანეთს შეგვყარა.

კამათობ,  
ხანდახან გაბუტვაც დაიწყე,  
ბევრ რამეს არ ამბობ, გგონია, დამალავ,  
ეს ჩემი სხეული მძორია სამიწე,  
სული თან დაგყვება, ძვირფასო, ქვალდაქვალ.

ცხოვრებას  
დავიწყებო სულ მალე თავიდან,  
ძვირფასო, ოდესმე ჩვენთვისაც ინათებს,  
შენს უკან სიცოცხლე წუთითაც არ მინდა,  
შენ ჩემი ბედი ხარ და ჩემი სიმართლე.

1996

ရှုန် နေဂါ လာ ဖုမာက္ခာ!

၂၀၁၅ ခုနှစ်၊ ဧပြီလ၊ ၃၀ ရက်နေ့၊ နတ်နက္ခတ်၊ ၁၁:၃၀ နာရီ၊  
နတ်နက္ခတ် ၁၁၁၆ မီတာ၊ နတ်နက္ခတ် ၁၁၁၇ မီတာ၊ နတ်နက္ခတ် ၁၁၁၈ မီတာ  
နတ်နက္ခတ် ၁၁၁၉ မီတာ၊ နတ်နက္ခတ် ၁၁၁၁ မီတာ၊ နတ်နက္ခတ် ၁၁၁၂ မီတာ  
နတ်နက္ခတ် ၁၁၁၃ မီတာ၊ နတ်နက္ခတ် ၁၁၁၄ မီတာ၊ နတ်နက္ခတ် ၁၁၁၅ မီတာ  
နတ်နက္ခတ် ၁၁၁၆ မီတာ၊ နတ်နက္ခတ် ၁၁၁၇ မီတာ၊ နတ်နက္ခတ် ၁၁၁၈ မီတာ  
နတ်နက္ခတ် ၁၁၁၉ မီတာ၊ နတ်နက္ခတ် ၁၁၁၁ မီတာ၊ နတ်နက္ခတ် ၁၁၁၂ မီတာ  
နတ်နက္ခတ် ၁၁၁၃ မီတာ၊ နတ်နက္ခတ် ၁၁၁၄ မီတာ၊ နတ်နက္ခတ် ၁၁၁၅ မီတာ





\* \* \*

ზეშთა  
სამყაროს  
იდუმალის,  
ვხვდები,  
შეგრძნებით,  
აქ, ამ მიწაზე  
სული ჩემი  
აღარ დაფრინავს,  
დაიწერება  
სიყვარულზე  
თეთრი  
ლექსები —  
ჩემი ცხოვრების  
შავგვრემანი  
ეპიტაფია.

2005



## პერ ხარ და კმარა!

სნეულ

ქალაქში სიყვარული გაპიკად ფასობს,  
შეშლილ

ქუჩებში აღარავინ დაეძებს სატრფოს,  
ხოლო ვისაც ჰყავს

და ვინცა ჰყავს, იმასაც კარგავს,  
მე ჰარამხანის

მსახურთაგან არავის ვნატრობ...

შენ ხარ და კმარა!

მზაკვრულ

თვალებში გამოსჭვივის ბოროტი ცეცხლი,  
ოდესმე

მხოლოდ მე საკუთარ სინდისთან შევრცხევი,  
ყველაფერს

შურის და სიყალბის ელფერი დაჲკრავს,  
არ მდომებია

ოდენ ოქრო, არამცოუ ვერცხლი...

შენ ხარ და კმარა!

ნესტიან

ჭაობს მომაკვდავი გავურბი ცისქენ,  
გზაჯვარედინზე

ჩახერგილა ნოტიო სივრცე,  
ჩემი სხეული

გაჲყოლია ბობოქარ ქართა,



არაფერს არ ვთხოვ  
არსოგამრიგეს, ვალში ვარ ისეც...

შენ ხარ და კმარა!

მე დავიბენი,  
დავიბენი და ვრჩები მარტოდ,  
დავეძებ წვიმას,  
ხან ქარს და ხან ვნებიან სატრფოს,  
სნეულ ქალაქში  
წავალგები როსკიპთა კარავს...  
მე ჰარამხანის  
მსასურთაგან არავის ვნატრობ...

შენ ხარ და კმარა!

2001



## ჩა ყნდა მინღოღეს

რა უნდა  
მინდოდეს,  
როდესაც  
შენ  
მყავხარ, —  
ყველა  
ქალღმერთის  
სადარები,  
ოდონდაც  
შენ  
მყავდე,  
მეტი  
სხვა,  
გეოაყვა,  
რა უნდა  
მინდოდეს...

არაფერი.



\* \* \*

მე დავიგიწყებ, როგორ ვეწამე,  
როგორ მტკიოდა დია ჭრილობა,  
შენ იყავ ჩემი დარდის მეწამლე,  
შენა შველოდი  
ამ დაღლილობას.

მაგრამ გაგრიყა ჩემგან დროებამ,  
მკაცრ სინამდვილედ იქცა ზღაპარი  
და გახდა ისევ განმარტოება  
ობოლი სულის  
თავშესაფარი.

ახალ გზას მივდევ, სხვა გზას გოდებით,  
ძველ იმედების დაუკარგავად  
და თუმცა არვის არ ველოდები,  
მაინც მჯერა, რომ  
მარტო არა ვარ.

1991.



\* \* \*

ფიფქი პატარა ბინას იძენდა,  
თოვლით დახუნძლულ ბებერ რტოებზე,  
ო, როგორ მინდა ახლაც, ვით ძველად,  
წახვიდოდე  
და მიმატოვებდე.

დგას ქანდაკება ცივი, უგულო,  
შემოყინვია ქალაქს ქუჩები,  
თითქოს მთა ვიყო, თითქოს ვუშგულობ  
და ღრუბლებივით  
ქარს ვეურჩები.

მიქრის ცხოვრება, როგორც სიო და  
ვარ უსულდგმულო ქვა და რობოტი,  
მუდამ მიყვარდა და მეშინოდა  
დამის, წყვდიადის  
და მარტოობის.

1989



\* \* \*

ვეღარ ვიძინებ,  
თუ არ ხმაურობ,  
შენი ნაზი ხმა  
თუ არ ჩამესმის,  
ჩემი ლექსები  
უსათაურო,  
ვით სონეტები  
შუალამესი,  
შენ გიმლერიან,  
დარდს გიყვებიან,  
ამ ქვეყნად მხოლოდ  
ჩემთვის გაჩენილს.

1996



\* \* \*

შენ რომ ტიროდი,  
მე ის ცრემლები,  
მამშვიდებდნენ  
და მახალისებდნენ,  
მე დაგემებდი  
თვალებცეცებით,  
თუმც შენ შორს იყავ  
ჩემგან ისევე.

შენ ტიროდი და  
მაინც მოხვედი,  
იყავ მიმნდობიც  
და უკარებაც,  
მე შენ გელოდი  
ყველგან, ყოველთვის,  
თუმცა შეხვედრა  
მსურდა ნაკლებად.

შენ ტიროდი და  
მეც დამამწუხერე,  
ფრთებჩამოგლეჯილ  
ქარს მივკიოდი,  
მე დამესიზმრა  
სიკვდილი წუხელ  
და ლურჯი მიწა  
საიქიოსი.

შენ ახლაც სტირი  
და ეგ ცრემლები,



აღარც სევდაა,  
აღარც დვარძლია,  
მე კვლავ დაგეძებ  
თვალებცეცებით,  
თუმც შენ შორსა ხარ,  
უპე, ძალიან.

1993

\* \* \*

როცა შენს თმაზე  
დარდიანი სიბერე  
დათოვს,  
როცა ნაბიჯი  
გაგიხდება მოკლე  
და მძიმე,  
გაგახსენდება  
შენგან ერთ დროს  
მოკლული სატრფო,  
მოიწმენდ ცრემლს  
და სინანულით გახედავ  
წვიმებს.

2000



\* \* \*

„ძლიერია სიკვდილიური  
სიყვარული” –  
ქაბათაშვილია სოლომონისა

არ ჩამიქრე, სიყვარულო...  
ამ ბრბოში,  
ამ უსულოთა გარემოცვაში  
არ დამტოვო,  
შენით უნდა ვიწვოდე,  
ისე რა აზრი აქვს ცხოვრებას,  
რა აზრი აქვს სევდიან ლექსებს,  
შენს გამო რომ გწერ.

არ ჩამიქრე, სიყვარულო...  
ფრთები არ დამიპეცო,  
მიწაზე არ დამიშვა,  
კიდევ ერთხელ მაუწყე  
არსი არსობისა,  
აზრი ამ ყოფისა,  
ყოფნა—არყოფნისა,  
ჩემის კაცობისაც.

არ ჩამიქრე, სიყვარულო...  
მე ხომ შენი წიაღიდან მოვდივარ,  
შენს წიაღშივე უნდა ჩავესვენო.  
მრუშობა იქნებოდა  
ალერსი უშენოდ,  
ზეობა იქნებოდა,  
უშენოდ, ორგულთა,



გაორებული ვიქნებოდი  
თვითონაც, უშენოდ,

უსულო ვიქნებოდი,  
მკვდარი ვიქნებოდი,  
პოეტი არ ვიქნებოდი,  
არც ადამიანი და, არც...

არ ჩამიქრე, სიყვარულო!..

2000

\* \* \*

ივსება ლოთებით კაბარე,  
აქ სიძვის დიაცოა დალალებს,  
არჩევენ ყანწებს და ალავერდს  
და არად აგდებენ  
ჭორს.

ლანდებთან მოკითხვას გაბარებოთ,  
არ ვითხოვ ამ ქვეყნად არაფერს,  
ლალატი სიკვდილის კარამდე,  
შორს ჩემგან,  
შორს ჩემგან,  
შორს!

2000



\* \* \*

ლოცვასავით  
შვებას მომგორის,  
შენი  
ნაზი დიმილი,  
სჩანს მწვერვალზე  
ლაქა თოვლის,  
გულზე  
შეხსნილ დილივით.

აძოვებდი  
ირმებს ტყეში,  
ქოქით  
წყალი დაგქონდა,  
იქ დამხვდები,  
სამოთხეში,  
მოსულს  
სააქაოდან.

2000



\* \* \*

მოგედი  
შენთან  
და უნდა  
გითხრა,  
ჩემთვის  
ძვირფასს  
და ასე  
ახლობელს,  
სიტყვა,  
რომელიც  
არასდროს  
მითქვამს,  
რომელსაც  
ასე  
ხშირად  
ხმარობენ...  
მიყვარსარ!

2000



## პუნქტი

შენ  
თვალები  
განმიბანე  
დილის  
ცვარით,  
მე  
შენეულ  
ნაფეხურებს  
ვეტრფი,  
შენ ხარ, —  
ვინ მყავს  
უპეთესი  
საფიცარი,  
შენ ხარ, —  
ვინ მყავს  
უპეთესი  
მეტი.



\* \* \*

როცა ზამთარი  
იისფრად მოთოვს  
და მოაცხრება  
შენს სარგმელს ქარი,  
მე შენ უეცრად  
სიყვარულს მოგთხოვ,  
მე შენ სიყვარულს  
აგიხსნი კრძალვით.

ვიცი, რა სტკივა  
სევდიან აპრილს,  
ვიცი, რა ელის  
მოწყვეტილ ფოთოლს,  
მე შენ სიყვარულს  
აგიხსნი კრძალვით,  
მე შენ უეცრად  
სიყვარულს მოგთხოვ.

2000



## მაღლოძელი ჭარ

მაღლობელი ვარ,  
რომ ქვეყანაზე  
შენთვის ერთადერთ  
კაცად მიწამე,  
კიდევ იმიტომ,  
ჩემი გულისთვის,  
რომ სიარული  
გილირს მიწაზე...  
რომ გაიმეტე  
შენი გრძნობები  
ჩემს საამებლად  
და საალერსოდ,  
კიდევ იმისთვის,  
კიდევ იმისთვის,  
ამ ქვეყანაზე  
მზედ რომ არსებობ.

2000



## ქავი სოიალი

შემფრთხად ქალიშვილის  
ვარდის მკერდს აშიშვლებ,  
ალდება ალერსში  
ხავერდის პალტერი,  
ვივალდის სევდა დლის  
გიშრისფერ კლავიშებს,  
იზიდავს მაჟორი  
გრძნობათა ქარტეხილს.

რექვიემს არ ძალუძს  
ერთმანეთს გაგვყაროს,  
ძვირფასო, სიშორე  
სიკვდილზეც რთულია,  
იების სურნელით  
გაჟღენთილ სამყაროს,  
არც დასაწყისი აქვს,  
არც დასასრული აქვს.

შორსა ხარ, მიყვარხარ,  
უდმერთოდ, უშენოდ,  
იცოდე, სიცოცხლე,  
აღარ შემიძლია.



### ო. მშვენიერო!

„ვამამავრეთ დუინით, ვამავრილეთ  
კაშლებით, რაღვან დაგხსნეულდა  
სიყვარულისცან“ –  
ქაბათა-ქება სოლომონისა

#### ო, მშვენიერო,

შენ ყვავილის აგლის სურნელი,  
შენ მზესავით ხარ, უკარება და მიუსვლელი,  
ასე ბუნებრივს, ასე ფაქიზს, თუმცა ამაყსაც,  
საკვირველია, რომ არავინ ქვეყნად არა გყავს.

#### ო, მშვენიერო,

გამოგყვები საიქიომდე,  
შენ ერთი კოცნა და ალერსიც არ მიწყალობე,  
სად არს სწორფერი, სად შენფერი, შენ რომ შეგფერის,  
კი არ სტაქნ, მიწას დააბიჯებ ფერებ-ფერებით.

#### ო მშვენიერო,

მოვარეს ეტრფი, ჩემთან თამაშობ,  
სიყვარულისთვის, ჩემო გულო, უდეთოდ დამაშვრალო,  
სულ ერთი არის, სუყველა გზა ბოლოს იქ მიდის,  
შენც უმიჯნუროდ გიწერია ალბათ სიკვდილი.

#### ო, მშვენიერო,

შენ აუხელ თვალებს წარმართებს,  
შენ მათ სიყვარულს და ცეცხლოვან სურვილს დაჰმართებ,  
შენ ამ ქვეყანას მოევლინე ჩემს დასასჯელად,  
თან გათვლილი გაქვს წინასწარ, რომ გაგიმარჯვდება.



ო, მშვენიერო,  
 მაინც მიღირს ასე ცხოვრება,  
 სიყვარულისთვის ვერ დადგომა, ვერ დაოკება,  
 ნეტავ იცოდეს შედედება ცრემლმაც სისხლივით,  
 მარტოობისგან სამუდამოდ გამოგიხსნიდი.

ო, მშვენიერო...

2001

### *მე ლაზარი*

მე დავიჯერე,  
 რომ შენ დამტოვე  
 და ვნებააშლილ  
 ქარებს გაჲყევი,  
 გულს, უარყოფილს,  
 დარჩა მარტოდენ  
 მიუსაფრობის  
 მწარე ნაღველი.

ერთად არყოფნის  
 ხანგრძლივ შუალედს,  
 ნათევ დამეებს  
 სევდის სიზმრებად,  
 მარადიული  
 მზის სიმწუხარე  
 და სიყვარული  
 პქონდა მიზეზად.

2002



\* \* \*

შენ მიდიოდი  
ქარვისფერ გზაზე  
და მიგყვებოდა  
ჩრდილივით სევდა,  
ტილოზე ფუნჯით  
დაფენილ ზამთრებს  
იდუმალება შვენოდა  
ხეთა...  
ქუჩაში თოვდა  
და თრთოდა მთვარე,  
და თოვლი დამეს  
ქარგავდა თეთრად.

2002



## ჩოგორ მიყვარდით...

როგორ მიყვარდით...  
რა ოცნებებით  
დამეს ვუთვევდი ცისფერ მირაჟებს,  
როგორ მიყვარდით...  
თქვენ კი დამშორდით  
და ამ გულიდან გადაიკარგეთ...  
როგორ მიყვარდით...  
დასალიერზეც  
მე მამშვიდებდა თქვენი სუფევა,  
როგორ მიყვარდით...  
ახლა ჩემს გრძნობებს  
უდაბნოს ცეცხლი დაეუფლება.

როგორ მიყვარდით...  
თქვენთვის მინდოდა  
ოქროცურვილი ფიანდაზები,  
როგორ მიყვარდით...  
ვმუსაიფობდი თქვენთან  
ზარნიშის ზმებით, აზმებით...  
როგორ მიყვარდით...  
ვეურჩებოდი  
ჯიუტ ქარებს და  
ლექსის სტრიქონებს,  
როგორ მიყვარდით...  
მიდის ცხოვრება,  
მიდის და მხოლოდ ნაღველს მიტოვებს.

ყრია ფურცლები, —  
ჩემი ცხოვრების



ობმოდებული რუხი სქოლიო,  
მოვლენ წვიმები,  
რომ ჩემს საფლავზე  
თქვენი ცრემლებიც მოიყოლიონ,

ჯერ კი დავდიგარ  
მთვარეულივით,  
მოოქროვილი მთვარის ვარაყით...  
მოვა სიკვდილი, თეთრად მოსილი  
და ყვავილების  
მიწას დამაყრის.

2002

### იღილია

ცრიდეს წვიმა, ქარი ქროდეს,  
გქონდეს ქოლგა გაშლილი,  
იმ ქოლგის ქვეშ მივდიოდეთ,  
მკლავი მკლავში  
გაყრილი.

მივყვებოდეთ დამის ქუჩებს,  
ჩუმი სევდის ბინადრებს,  
გრძელდებოდეს სიჭაბუკე,  
ერთმანეთი  
გვიყვარდეს.

2002



\* \* \*

ვინ იცის,  
იქნება კვლავ შეგხვდეთ,  
ან იქნებ  
ბოლოთქმაც ეს იყოს,  
ან ძილში  
წამომცდარ სახელებს,  
მიხვდნენ  
და მიზეზი შეიტყონ...

ამდენი  
დარდის და დუმილის,  
განდობა  
ვარდისფერ სიზმართა,  
იცი,  
რომ მკლავს შენი სურვილი,  
ვიცი,  
რომ შეფარვით  
გიყვარვარ.

2003



\* \* \*

ახლა

შორსა ხარ და მენატრები,  
დეპემბრის ბოლო დღეც მიიღია,  
ოთახში ჩემი სადა ხატები,  
ქმნიან სიმშვიდეს და  
იდიღიას.

გარეთ კი

ბარდნის და ბარდნის ისე,  
უნდა დათოვოს ჩემს გულზე თითქოს  
და მოხატული ფიფქებით სივრცე,  
იდუმალია, ვით  
საიქო.

ჩვენ დავრჩით მხოლოდ,  
მე და შენ ორნი,  
წელიწადები ქარივით ქრიან  
და უკვდავება თანდათან მოდის,  
ამ გარინდებულ საფლავთა  
მიღმა.

დიდიხანია

დათოვა უკვე,  
აბრიალებენ ჭინკები კოცონს,  
დიდებულია ეს საუკუნე,  
მაგრამ მე იგი სულაც არ  
მომწონს.



\* \* \*

სარ ამორბალი, ჩემი ტკივილი  
ვიცი, ჩემშივე რომ უნდა ჩაკვდეს  
და უფრთხის გული,  
ნეფერტიტივით,  
მაგ ცივ და მკაცრად არქაულ ნაკვთებს.

ქურუმების და კერპების დროა,  
თუმცა გულს ჩემი ტკივილიც ახლავს,  
შენ დასაპყრობლად მე დავძრავ  
ტროას  
და დავცემ კერპებს ძველსა და ახალს.

აღარ გატარებ უსოვარ გზაზე,  
ძველი დვთავების დიდებით მოსილს,  
მე მოვალ კვერთხით, მოვუხმობ  
რამზესს,  
წარმართთა სისხლით სიყვარულს მოვსვრი.

2003



## მე ოქუნი ეპოლებით

მე ოქვენ გშორდებით,  
ვერ ჩაგითრევთ  
სასტიკ თამაშში,  
თავს მოხვეული გრძნობებისაც  
არა მჯერა რა,  
განწირულია ბოლოს მაინც  
ყველა თარაში,  
ოქვენ ვერ მიხედეთ,  
ვისი გულიც ასე გებარათ...

მე ოქვენ გშორდებით!

2004

\* \* \*

ჩვენს შორის  
დარჩეს  
ის ერთი კოცნა  
და სიყვარული  
გულს თუ მოედო,  
გთხოვ,  
ნუ ჩააქრობ  
ანთებულ კოცონს,  
რომ ვწერო შენზე,  
და ვიპოვეტო...

2004



## შენ მაგონებ . . .

ნ. ჩ—ს

შენ მაგონებ ლორქას სატრფოს,  
ასულს ანდალუზიელს,  
არ გიცნობ და უპვე გნატრობ,  
არ გიცნობ და ვარ, შენს გამო  
მზად, მივენდო ლუციფერს.

არ გამკიცხო, თუ კი ეშმამ  
ამიჯანყა სხეული,  
დღეს მჟირდება შენი შველა,  
დღეს მჟირდება შენი შველა,  
მე ვარ გადარეული.

იქნებ როგორ შეგიყვარო,  
ვიცი, მაინც გავბედავ,  
გინდ ქვეყანა შემიყარო,  
გინდ ქვეყანა შემიყარო,  
გპოცნი გაუთავებლად.

შენ მაგონებ ლორქას სატრფოს,  
ასულს ანდალუზიელს,  
არ გიცნობ და უპვე გნატრობ  
და მინდა რომ შემიყვარო,  
„მარად შენი მუსიე!“

2005



\* \* \*

შენ ხარ ჩემი  
კლეოპატრა,  
დედოფალი  
ეგვიპტის,  
მიუვარხარ და  
ჩუმად მყავხარ  
გულში  
გამოკეტილი.

შენ ხარ ჩემი  
ნეფერტიტი,  
ფიქრში  
გამოისახე,  
შენთვის გავხდი  
მეც ეგვიპტეს  
ფარაონი  
მრისხანე.

2005



\* \* \*

შენით წვა და ტრფიალი  
მქონდა მე სარჩოსავით,  
სუნთქვას მიადგილებდა  
ნისლი, მთებზე მხრჩოლავი.  
ვიცი, საღმე შეგხვდები  
და კელავ დარდი დამათრობს,  
ისე დაპატარავდა  
ჩემს ოვალებში სამყარო...

პოდა, რომ არ გაგრძელდეს  
ეს უაზრო ლოდინი,  
უნდა დავთმო ოცნება  
ჩემივ გამოგონილი.  
შევღალადებ შხარადან  
კასლედილის გარსკვლავებს,  
პოეზიის იდუმალ  
სივრცეს რომ მიკვალავენ.

2005



## ვან - ლეიკის მაღონების

ვან—დეიკის მაღონებს,  
ბოტიჩელის მაღონებს,  
მე რომ წარსულს მაგონებს,  
ვეტრფი!  
მათზე მაბოდებს...

თითქოს ცაში მდერიან,  
მე მათ უპევ დღეიდან  
ვეღარ დავეხსნები და  
ვეღარ  
დამეხსნებიან!

უცოდველი კრავები,  
გვანან გაშლილ მიმოზებს,  
ხელის აკანკალებით,  
გადასულან  
ტილოზე.

დგანან ასე შიშველა —  
მშვენებანი ბუნების,  
ხაზ და ფერ — წაუშლელად,  
მთელი  
საუპუნენი.



## მხოლოდ ამ ლაძენ

დაწნულ დალალებს ქარი დაგიშლის  
ბროლის მთებიდან მოსულ ქალიშვილს...  
ქამარს შეიხსნი ყალამქარიშის  
და სხივით სავსეს  
გახედავ მოვარეს...

მოვალ, აგიყვან ხელში ბავშვივით,  
მე შენს სიყვარულს ვერვინ დამიშლის,  
თორემ გავხდები მერე საშიში...  
დე, ჩემი გერქვას მხოლოდ  
ამ დამეს.

2005



\* \* \*

„ახლა შევდივართ წიფის გვირაბში...”  
გალაქტიონი

ეს ყველაფერი  
არის მირაჟი,  
თქვენ ქალბატონო,  
რა გსურთ, მითხარით,  
მატარებელი  
შედის გვირაბში,  
თქვენგან კი სიტყვა —  
არავითარი...  
ან მე ვარ ლექსის  
უშნო მჩხიბავი,  
ან თქვენ ხართ  
ყოვლად  
გაურითმავი.

2005



## იმ ქალს...

გარდის ფერი ჰქონდა  
იმ ქალს,  
ნეტავ,  
მე რით მოვხიბლეო?  
როცა ვინმე ძლიერ  
გიყვარს,  
რა კარგი ხარ,  
სიცოცხლეო!

2005

\* \* \*

გაქვს  
ცრემლიანი  
თვალები,  
მოსევდისფერო  
სახე,  
შენთან როცა ვარ,  
ვმაღლდები,  
როგორც  
შხარა ან  
ხალდე!

2005



\* \* \*

მე შენი ხილვა არ მინდა მხოლოდ,  
არც შენი ნაზი სხეულის კოცნა,  
მე ვარ ცოდვილი, რამეთუ ვცოცხლობ  
და ვარ ცოცხალი,  
რამეთუ ვცოდავ.

მე მინდა სულ თან, სულ მყავდე გვერდით,  
მე მერქას შენი სატრფოოც, მხედარიც,  
შენ იყო ჩემი პირველი მდედრი,  
ჯერ სიყვარულში  
გაუხედნავი.

რომ ჩემთან ყოფნა, მოსული ციდან  
ჩაუმქრალ ვნების ალებად წაგვვეს,  
შენი თვალების ცრემლივით წმინდა,  
ეპიდოს სხივი  
საწოლის თავზე.

2005



\* \* \*

ვიცი,  
სიცოცხლეს  
აზრი არა აქვს,  
თუ დავყოფთ  
ასე  
ნაწილ—ნაწილად,  
მოდი,  
ჩვენს ფიქრებს  
მითი დავარქვათ  
და  
სიყვარულის  
ალით  
დავიწვათ.

2005



\* \* \*

კვლავ მენატრები ტკივილამდე  
და მედარდები,  
ეს მონატრება მირჩევნია  
მაინც ყველაფერს,  
ზღვის ზურმუხტ ზოლებს  
გასდევს ფერი შენი თვალების,  
მზის სხივთა ხაზებს  
შენი თმები ააელვარებს.

უსიცოცხლოა უშენობით  
ჩემთვის სამყარო,  
გაყინულია ვნება ჩემი  
ქედლის სურათად,  
უფალს არ უნდა  
სამუდამოდ ერთურთს გაგვყაროს,  
ეს იმას ნიშნავს, რომ ორივე  
უფალს ვუყვარვართ.

ო, ბედო, ჩემო, სხვათა მძლავრთა  
ბედის შემყურევ,  
ყოფიერების სისასტიკით  
ნუ დაოსდები,  
უფალი შენთვის გამოიდებს  
ბარძიმ-ფეშუმებს,  
დაწყლულებულ სულს განკურნავენ  
ანგელოზები...

სხვა რაღა გინდა, სიყვარულით  
თუ კი მოგპდები.



\* \* \*

ხან გადარებდი  
სიქსტეს მაღონას,  
ხან ვან-დეიკის  
მუზას გეძახდი,  
შენც შეგიყვარდი,  
უფალს მაღლობა,  
მაგრამ სიყვარულს  
ვერა ბედავდი.

გატაცებული  
შელლით გაგნერი,  
გალაკტიონი —  
მერით ყოფილა,  
შენც იყავ ჩემთვის  
რაღაც ასეთი,  
მაგრამ სულ რაღაც  
არა გყოფნიდა.

მწყინს, არ ვიყავით  
ერთად ბოლომდე  
და არც დამეებს  
ერთად ვათევდით,  
ვასრულებ შენთვის  
მოძღვნილ ბოლო ლექსს,  
ქრება ნელ-ნელა  
ბოლო სანთელი.



## ძრე კო...

მიმაქანებს საითკენ,  
ბედი ჩემი, შეშლილს,  
მე შენ სანთლებს აგინთებ,  
თაფლის სანთლებს,  
შენ კი...

სხვას რასა გთხოვ – აქ იყო,  
შენთან ყოფნა მშველის,  
მე სიცოცხლეს დაგითმობ,  
მთელ სიცოცხლეს,  
შენ კი...

მაიმედებ მცირედით,  
მხოლოდ შენთვის შექმნილს,  
სისხლით ლექსებს გიწერდი,  
გულის სისხლით,  
შენ კი...



## მე ლავანიშვილი

მე დავასრულე...  
დღესვე გშორდები,  
დღესვე ვამთავრებ წერას ეტრატთა,  
ჩემს წრფელ სიყვარულს ვემშვიდობები,  
არ შეგაწუხებ ამის მეტადა.

მე დავასრულე...  
ჩემი ფიქრები,  
მაღლობა უფალს, სხვაგან მიქრიან,  
მთელ დედამიწას ფეხქვეშ გიფენდი,  
შენ ვერაფერი ვერ გაგიგია.

მე დავასრულე...  
შენ სხვა გიპოვის,  
ჩემს შემდეგ, ისე, როგორც ჩემამდე,  
ტყუისარ, მაგრამ ერთი პირობით,  
რომ მართალი ხარ, მაინც, ზეცამდე.

მე დავასრულე...  
ალარ შეგიქმნის  
უხერხულობას ჩემი კითხვები,  
ავლავ მდიდარი ვარ, როგორც შეიხი,  
გულით, რომელთან შენ ვერ მიხვედიო.



## ჩვენ დავშორდებით აუცილებლად

ჩვენ დავშორდებით აუცილებლად,  
თუმც სიყვარულის მაღლს ვეზიარეთ,  
ერთმანეთისთვის დავაგვიანეთ,  
ვნებები ჩვენი ზღვაში ინოქმება...

ჩვენ დავშორდებით აუცილებლად,  
წავლენ წამები ნაზი სიტყვების,  
ჩვენი ლოდინით გადაღლილები...  
და სიყვარული ხსოვნად იქცევა.

ჩვენ დავშორდებით აუცილებლად,  
ადარ იქნება ნაზი სადამო,  
სამყაროსავით დაუსაბამო,  
ვნებები ჩვენი ცად აიჭრება...

ჩვენ დავშორდებით აუცილებლად,  
აივსებიან სევდით გულები,  
ჩვენს გრძნობებს შორის გახიდულები  
და დაბრუნება გაგვიჭირდება.

ჩვენ დავშორდებით აუცილებლად,  
თუ კი ერთმანეთს დავღლით ფიქრებით  
და მეტს ვერაფერს ვერ შევპირდებით,  
გადაგვექცევა სახლი დილეგად.

ჩვენ დავშორდებით აუცილებლად...



## მწირებლობა

გავიხდი სამოსს  
სხეულის ნაშთს  
სკამზე დავკიდებ,  
საკუთარ თავთან  
გავშიშვლდები,  
როგორც სინდისთან,  
მერე შენ მოხვალ,  
შემოიხსნი  
კრძალვით საკინძეს,  
მეტყვი, რომ ძველი  
სიყვარული  
ისეგ გიზიდავს.

სული ტკბილია,  
მაგრამ ხორცი  
სულზე თამამობს,  
ლოცვის მაგიერ  
შენს ნაზ სხეულს  
დავეწაფები,  
ვიცი,  
ყოველი ამა ქვეყნად  
არის ამაო,  
საუძუნეებს  
მიჯობს შენთან  
ყოფნის წამები.



\* \* \*

შენ ჩემს სიგივეს ნუ გაიოცებ,  
მუზად მოსულო ჩემი ფიქრების,  
მე შენ დაგარქვი ჩემი სიცოცხლე  
და შენს სიყვარულს დმერთს  
ვეფიცები.

შენ მოღალატეს მე ვერ გიწოდებ,  
სულ რომ გართობდეს ფლირტი ათასთა,  
მაგრამ პოეტი, უნდა იცოდე,  
რომ გაეცლება მცირე  
დალატსაც.

დრო სასტიკია, ფლირტი გაქრება,  
გადაივლიან სიძვის ალებიც,  
მე სიყვარული დამენანება,  
როგორც ნამგალა მთვარის  
ნალევი.

დამენანება წლები, რომელთაც,  
ხანგრძლივ ჭაბუკურ უინით გავსებდი,  
დამეზარება უკან მოხედვა,  
სულის შეძვრამდე  
დამენანები.



\* \* \*

Յօշա Տօքածուն  
Ռուս,  
Կյանքի հյուրիշունոտ  
Ցեմպատ,  
Ռոգորու პորզելո  
Ճռպնա —  
Տագնե դասեմշուն  
Ռյու...  
Ռոգորու ամեռո  
Մըսորյ,  
Ռոգորու պորզելո  
Արշմուն,  
Օս Տօքարյունո  
Օսյօ,  
Միմոնդյեսօ  
Իյմունուն.

2004.



\* \* \*

მე მირჩევნია, მარტო ვიყო,  
შენზე ვიფიქრო,  
ჩემი ცხოვრების მწარე-ტკბილო,  
სულის ტკივილო.

მე მირჩევნია, შენზე ფიქრში  
დამეს ვათევდე,  
არ მიკარებდე კარის იქით,  
ბოლოს, დამნებდე.

შემოგეპარო სევდის ბაღში,  
ცივად მომდიმარს,  
რომ გრძელ დამეში ცხელი ბაგით  
გული მოგიძლვნა.

მერე ეს დამე შენს ალერსში  
ისე დავდალო,  
სიყვარულისგან ვარსკვლავები  
გამოაყაროს.

მე მირჩევნია, ვიყო მარტო,  
შენზე ვიფიქრო,  
ჩემი ცხოვრების ტკბილო დარდო,  
მაგრამ ტკივილო.



\* \* \*

როცა მოგელი,  
ვერ ვიძინებ,  
შენს ხმას ვდარაჯობ  
და შენზე ფიქრებს,  
ბალიშის ქვეშ  
გამომწყვდეულებს...  
თუ შეგიძლია,  
სიყვარული მოჰკალ,  
ჯალათო,  
რომ მაჯისცემა  
სხეულს ჩემსას,  
მალე  
შეუწყდეს.

2008.



\* \* \*

მომენატრა  
შენი წერილები —  
შენი ჩუმი ფიქრები,  
ჩემს თავს  
სამუდამოდ შეგპირდები,  
გპირდები...

მომენატრა  
შენი ჩუმი სევდა,  
იდუმალი დუმილი,  
სიყვარული  
დარდია და ფეთქავს  
ბულივით.

ყრია  
წაკითხული წერილები,  
გამოცლილი ჭიქები,  
ჩემი სულის  
ნაწილს გეჲიდები,  
მჭირდები...



\* \* \*

მოდი და ჩემი ცხოვრება  
გამილამაზე თავიდან,  
თორემ წვა ჯოჯონხეთური  
მისმობს და მიწვევს თავისთან...  
თორემ დამდალეს დღეებმა,  
გათრეულებმა უშენოდ,  
მოდი, ჩამეგირ-ჩამეგარ,  
ჩემო დარდო და ნუგეშო.

ელვარებს ტალღა მზის სხივზე,  
თუ სხივი ჩადის ტალღებში,  
ეს ჩემი სული ზღვასა გავს,  
ავდარში ნაპირდაგლეჯილს,  
დავწყნარდი, როგორც საღამოს  
სჩვევია ზღვასთან დაისზე,  
მოდი და ჩემი ცხოვრება  
თავიდან გამისალისე.

2008.



\* \* \*

ენეიდას ასულო,  
ლამაზდები, ქალდები,  
მაგრამ არ იავსულო,  
როცა შეგიყვარდები.

აყვავებულ ვარდებად,  
როცა შენი ტუჩები,  
მზეზე აელვარდება  
მწიფე ბროწეულებით.

როცა შენი მხარ-თეძო,  
ალვასავით იალებს,  
იმ ალისთვის გამეძლოს,  
მე რომ გამატიალებს.

დაჟინებულ სულსწრაფვით,  
მპერდი ვნებით გევსება,  
ჩემი სულთამხუთავი  
არის შენი მშვენება.

დამწიფდები, იქალებ,  
თმები ჩამოგეშლება,  
უპვე მაფორიაქებს,  
შენი შემოფეობა.



\* \* \*

ვერცხლით დაფარულ  
მტრედის ფრთებივით,  
იელვებს შენი  
სულის ხატება,  
რომელი რითმა  
ანდა ვერლიბრი,  
შეძლებს ჩვენ ორთა  
გულთა ტარებას.

შევცერი ვარსკვლავს,  
რომელიც ალბათ,  
დროდადრო შენთა  
თვალთა ციალშიც,  
იბრწყინებს ხოლმე  
და ვიხდი დალას  
სულის ტკიფილით,  
შენი ტრფიალის.

ეს მონაცრება  
სურვილს ვერ მალავს,  
ქალის –  
ძვირფასზე უფრო ძვირფასის.



\* \* \*

ქობულეთი, ნისლი მთებზე,  
თოლიები ქარის ფრთებზე,  
ზღვის ტალღებში შენ დაგეძებ,  
ტანზე ღრუბელს იმოსავ...

მზედ მბრწყინავი მინანქარი,  
მზე ზღვის ფსკერზე მიიჩქარის,  
თბილ ტალღებში დნება ქარი,—  
დაბნეული მიმოზა.

ქაშანურის წმინდა ქალებს,  
სიყვარული შევუთვალე,  
მე მოვავდები ალბათ მალე,  
მომეფერე ნისლო და...

დამთავრდება ყველაფერი,  
ქარი შენი ბაგით მდერის,  
ბალდახინი ძოწისფერი,  
მოაქვთ საიქიოდან.



\* \* \*

**შავ**

ჩოხა-შარვალს ჩავიცვამ,  
შავი შალითით დაქსოვილს,  
თავზე დამყურებს შავი ცა,  
შავი ღრუბლების სამოსით.

**შენ კი**

ცრემლი გდის თვალებზე,  
მიყვარხარ, თუმცა რაღა დროს...  
ნეტავ ერთ დამეს გათევდეთ,  
რომ ყველაფერი გაგანდო.

**მერე**

წავიდე აი იმ ცას,  
ნისლი რომ გადი—გამოდის...  
შავ ჩოხა-შარვალს ჩავიცვამ,  
შავეთის სასაფლაომდი.

2004



## მონ-მარტის ქუჩაზე

მონ-მარტის ქუჩაზე  
ორგიებს მართავენ,  
ათასი ავხორცი  
შებილწავს ორფეოსს,  
ჩვენ ორმა დავშალოთ  
ეს სიძვის კაბარე  
და სადმე  
მხატვრების ბუნაგი მოვძებნოთ...  
ვიცეპვოთ,  
ვიცეპვოთ,  
ვიცეპვოთ  
დალლამდე,  
შენ ჩემი სულის და  
სურვილის სწორფერო.

დავუვლი პარიზის  
სუყველა მხატვარს და  
ვეტყვი, რომ  
მაგ შენი თვალების ფერები  
დაქარგონ ტილოზე,  
რადგან შენ პატარა  
და ისე ნორჩი ხარ,  
ვერ მოგეფერები...

აგიგებ ფერდობზე  
ვარდისფერ ტაძარს და  
შენ ხატად დაგისვამ,  
მე ბერად შევდგები.



## ლამის პონევი

ლამის სიჩუმე  
გრძნობებს აღძრავდა  
და ბნელში  
მძაფრი სუნი ალერდის,  
ჩემში იწვევდა ვნებას,  
რაღგანაც  
ვიწვოდი  
წამთა გაელვარებით.

ცხელი  
სხეულის ბიოგამები,  
გადმოსულიყო შენს თეთრ  
პერანგზე  
და დედამიწის  
მთელი განედი,  
გავდა ცრემლებით ნაწერ  
პერგამენტს.



\* \* \*

ტკიფილად დავრჩები შენში,  
მაგ თვალთა ციალმა დამჭრა,  
თოვლია შატილის მთებში,  
თოვლია შოდაზე –  
რაჭას.

შემდგარი კავკასის ქედზე,  
გავყურებ შხარას და არხოტს,  
გაჟგაცი კაცი ვარ, მენდე,  
იყავი დაი ან  
სატრფო.

მაგიუებს სიმკაცრე მახვშის,  
თუშური სიმდერის ეშნი,  
წაგიყვან ცარიელ სახლში,  
მზესავით აყვანილს  
ხელში.

ექნება ქორწილი სოფელს,  
ცეკვა და თამაში უამთან,  
ცხენების ფლოქვების ფონზე,  
ხანჯრების ტრიალი  
ვაჟთა.

გავცქერი ნისლიან ქედებს,  
სამშობლოს სურნელი მათრობს,  
გაჟგაცი კაცი ვარ, მენდე,  
იყავი დაი ან  
სატრფო.



## ო. ისე. მიუწანსამ!

მატარებლის კუპე,  
მთვარე შენს უბეში,  
დანამული უპე,  
ალერსი, ნუგეში.

რელსების ღგაფუნი,  
ფოლადის იარა,  
აკლია ნამუსი  
ქაცს, ფული კი არა.

ნელ-ნელა შევთვრებით  
ამაღამ გზა და გზა,  
სიკვდილო, მე შენთვის  
ყოველთვის მზადა ვარ.

ვაგონის კუპეში  
ვართ ისევ მე და შენ,  
მთვარე შენს უბეში,  
არავინ მესამე.

ქარები ქრიან და  
ცას შავი სისხლი სდის,  
ო, ისე მიყვარხარ,  
რას მიზამს სიკვდილი.



\* \* \*

შენ  
გავხარ ლამაზ ფერიას,  
ახლად  
ამოსულ იასა,  
სიცოცხლე  
არაფერია,  
თუ გული  
არ ცემს სხვისადა...

არც სხვა რამ  
წასაღები აქვს,  
იმქვეყნად  
ადამიანსა.

2006

ლიცეუმი. სიკვდილი!..





ქუჩაში თოვლა . . .

ქუჩაში  
თოვლა  
და თოვლის  
მოსვლა,  
ლვთის  
მობრძანებას  
გავდა  
რაღაცით,  
ჩვენ  
სიყვარულშიც  
(შხამივით რომ ვსვამთ),  
თითქოს  
არქაულ  
ლმერთებს  
გბაძავდით.

ხოლო  
სიკვდილი  
სასჯელის  
ზომად,  
ათასჯერ იყო  
უკვე ნაცადი.



## საღა ხან სიკლილო

„ბრძენთა ფიქრები გლოვის სახლშია,  
უცუნურთა ფიქრები – მხიარულების  
სახლში” – გალესიასტე

სუსხია,  
ყინავს და ქარი ქრის,  
დამეა,  
მცივა და ვშიმშილობ,  
მომინდა  
ორსული ქალივით,  
მქამე  
და იწილო – ბიწილო.  
შენ არა,  
ის არა, მე რაღად,  
ნუ მოხვალ,  
ნუ მოხვალ,  
სიკვდილო!

რა მინდა,  
მეტს რაღას დავეძებ,  
ვტირი თუ,  
ვმდერი თუ ვქილიკობ,  
რაც დამრჩა,  
რაც დღემდე დაგწერე,  
უფალო,  
სულ შენით ქმნილიყო.  
ჯერ კიდევ  
ბევრი მაქვს სათქმელი,  
ჯერ არა,  
ჯერ არა,  
სიკვდილო!



ეჭ, სულო,  
ნატანჯო ამ დროში  
და გულო,  
სიცოცხლემისჯილო,  
უფალო,  
მიწაზე ჩამოდი,  
კალთაზე  
რომ ჩამომიჯინო.  
ხომ ხედავ  
არ არის საშველი,  
სადა ხარ,  
სადა ხარ,  
სიკვდილო!

მინდა,  
რომ ლამაზი მახსოვდე,  
ხელები  
მომხვიო ბაგშვივით,  
რომ ვუთხრა  
ყველა ჩემს ახლობელს,  
რომ ბედისწერა ხარ  
ნამდვილი...  
მიყვარხარ,  
თუმც შენთან შეხვედრა,  
არ არის,  
არ არის  
ადვილი.



## ლ ი ნ ე ლ ი

მე რომ  
 წყურვილს ვიქლავ პეშვით,  
 მზე რომ ნამავს დიღილოს,  
 აი, ამ სიცოცხლის ეშხი,  
 განგიცდია,  
 სიკვდილო?

სხვისი  
 ტრფობით მოქვდეს გული,  
 სულში ლექსმა იკივლოს,  
 ამნაირი სიყვარული,  
 განგიცდია,  
 სიკვდილო?

ქარიშხალი  
 მოვარდება,  
 უგზოდ და უბილიკოდ,  
 ერთი წამის მონატრება,  
 განგიცდია,  
 სიკვდილო?

ჩემთან  
 ღმერთი მოდის ხოლმე,  
 თუმცა ეშმა ქირქილებს,  
 თვით გარდაცვლის სიახლოეს,  
 განგიცდია,  
 სიკვდილო?

იდო ლოდი  
 ოლე ხესთან,  
 ქვა სიყვარულს ცდილიყო,



მარტოსული კაცის სევდა,  
განგიცდია,  
სიკვდილო?

ახლო-მახლო  
სახლებია,  
შიგ შესვლა არც იფიქრო,  
იმ სახლებში არ გელიან,  
არ შეხვიდე,  
სიკვდილო!

ზეთისხილის  
ბაღებიდან,  
ანგელოზი კისკისებს,  
რომ სიკვდილით მაღლდებიან,  
შენ თუ იცი,  
სიკვდილო?

რომ  
მიწაზე გაჩენილთა  
საუფლოა იქითო,  
რომ უყვარო და არ კვდებიან,  
შენ თუ იცი,  
სიკვდილო?

ამ ცხოვრებას  
კუდში ვსდევდი,  
არ მცნო და არ მიმიღო,  
რაა კაცის ავი ბედი,  
შენ რა იცი,  
სიკვდილო!

გავიარე  
ცუდიც, კარგიც,



ბევრი იწილ-ბიწილო,  
რაა კაცის ჩუმი დარდი,  
თუ გიგრძვნია,  
სიკვდილო?

სად მცალია,  
(წუთებს ვზომავ)  
თავი გამოვიტირო!  
მოვესწრები შენთან მოსვლას,  
დამაცადე,  
სიკვდილო!

აფს  
ნუ მეტყვი, თუქი მაინც,  
მართლა უნდა მიშვილო,  
სანამ მოხეალ, ცოტა კრძალვით  
გამაფრთხილე,  
სიკვდილო!

თეატრია  
ეს ცხოვრება,  
ცრემლს ვღვრით, მერე ვქილიკობთ,  
არაფერიც არ მოხდება,  
წამიყვანე,  
სიკვდილო!

2000



\* \* \*

Իցեն  
Ռուս  
გարდავიცვლեბոთ,  
დავტოვებო  
წუთուսօդված  
ջնաս,  
ջոտ  
մտցեბո –  
տյտրո  
ნուսլեბոთ,  
մովա –  
ծալախաց  
մոցցուսեամիս.

2008



\* \* \*

მიტოვებული  
საფლავის  
სააღდგომო  
პშერცხი  
წითელი  
ყაყაჩოა...  
ხოლო  
ამ საფლავზე  
დამტირებდლის  
ცრემლი  
ცვარია  
წვიმისა...  
სანთლის  
მაგიერი,  
ნელი  
სიო არის...  
მიხვალ  
სააღმობდლად  
და სული  
მბორგავი  
მიცვალებულისა,  
შეგაპროობს  
მიწიდან.



## ისე შემოვა ჩემში სიკლილი

„მწუხარება სჯობს სიცილოს,  
რადგან სახის დაღვრებისას  
აქთილია გული” – ეპლესიასტები

მე შევიყვარე სევდა ფარული,  
ვერ შევურიგდი მუხთალ ცხოვრებას,  
მორჩა, დაიწყო ნაცნობ სხეულში  
ობოლი სულის  
გაუცხოება.

ვიცი, სულ მალე თალხი ღრუბელი  
ლტოლვას ზეცისკენ გამიადვილებს  
და არასოდეს არ დავბრუნდები,  
ისე მკაცრია  
ეს სინამდვილე.

ვერ დავეპურე მათხოვარივით  
სხვათა ბოძებულ გრძნობის ნარჩენებს,  
მალე ვიღაცა საფლავს გამითხრის  
და კარზე მომდგარ  
წამს შეაჩერებს.

ისე შემოვა ჩემში სიკვდილი,  
როგორც ოთახში ცივი საღამო  
და გაგრძელდება სულთან ჭიდილი  
ვით, უკვდავება,  
დაუსაბამო.



## ჩემი განლაცვლილ ასლობლები

თქვენ არ იფიქროთ,  
სადღაც შორსა ხართ  
და მე ნელ-ნელა  
გადამავიწყდით,  
როცა იქნება,  
მოგალ, მოგნახავთ,  
მოიზომება ჩემი  
ადგილიც.

თქვენ არ იფიქროთ,  
რომ სიმს ვაკვნესებ  
და ჩემი ყოფა  
არის საამო,  
წამოვეგები  
სიკვდილს ანგესზე,  
როცა იქნება,  
მიწა დამათოვს.

თქვენ არ იფიქროთ...  
ისევ იმ გულით  
მიყვარხართ ძლიერ  
და მენატრებით,  
ვიქნები მუდამ  
თქვენით დიდგული,  
ოლონდაც თქვენ ნუ  
დამეფანტებით.



\* \* \*

გათავდა....

დროა, უნდა წავიდე,  
დღეს აღსასრულის ჟამი ჩამოდგა,  
იქნება ერთხელ კიდევ გაწვიმდეს  
ჯერ გაუთხრელი მიწის მახლობლად...

მერე აპყაროს ქარმა დრუბლები

და ჩემი სული ცაში წაიღოს,

ოღონდ....

ოღონდ ქვა არდაბრუნების

ციფრებით აღარ დაათარიღოთ!

1991



\* \* \*

სულის  
შვებაა  
სიკვდილი,  
სიცოცხლე —  
სულის  
გაება,  
გაჲ იმ დღეს,  
სხეულს  
სულის რო  
ტარება  
დაეზარება.

*1993*

\* \* \*

მომბეზრდა  
წერა და  
რითმების  
შერჩევა,  
პეტის  
წერაა  
სიკვდილთან  
შეჩვევა.

*1994*



\* \* \*

გერ შევიგუე  
ამაოების  
ყალბი სიმშვიდე  
და იდილია,  
მძაფრი სოცოცხლის  
ბოლო მწვერვალი,  
გარდაცვალება  
და სიკვდილია.

გწევარ ოთახში,  
მშვიდ სარკოფაგში  
და ღამენაოევ  
თვალებს ვასვენებ,  
და თავმოკვეთილს,  
ვით იოანეს,  
სისხლის ცრემლები  
დამდის სახეზე...

2001



\* \* \*

**დღეს**

ბედი ისე მწარედ მიცინის,

**ხვალ**

სიღუხვირის ბორკილს შემაბამს,

აწი მშვიდობით,

მიგალ...

ვინ იცის,

**იქნებ**

სიკვდილიც

ზოგჯერ შვებაა.

მიდი-მოდიან

ავი სულები,

გაორებულა

თალხი სამყარო,

ფიქრებო

ვეღარ ამისრულდებით,

თქვენც უნდა

მიწა

გულს

დაგაყარონ.

1992



## საფანა

რიურაჟი  
კი არა,  
საღამო  
შემოვა  
მამლების  
ყივილით,  
ნეტავ შენ  
როგორმე გაგაძლო  
სიკვდილით,  
სიკვდილით,  
სიკვდილით!

2000

\* \* \*

ნუ გეშინია, —  
სიკვდილი,  
ფიცხი კი არა,  
მშვიდია,  
სიცოცხლემ  
იცის  
ტპივილი,  
სიკვდილის  
ნუ  
გეშინია.

2003



\* \* \*

ქარი არღვევდა  
დამის სიმშეიდეს,  
მოვარის მუქ შუქზე  
თვლემდნენ ჩრდილები,  
მე თავის მოქვლას  
ვერ დამიშლიდნენ,  
მაგრამ ვიცოდი  
დანამდვილებით,  
რომ ეს ცდა იყო  
პოეზიასთან  
შესაბრძოლებლად  
თავარიდების.

1991



\* \* \*

მე რასაც ვწერდი,  
როცა ვწერდი,  
ვწერდი ვაებით,  
ვწერდი ტკივილით,  
ამ ქვეყნიდან  
რითაც წავედი,  
სხვა რაღა მინდა,  
ერთი კიდევ,  
ერთი — განგებამ,  
სიპვდილის მერეც  
ჩემს ტანჯულ  
სულს თუ დაანება...  
თუ იცოცხლებენ  
ეს ლექსები  
და ეს ფიქრები,  
მე ქვეყანაზე  
უმდიდრესი  
მკვდარი ვიქნები.

1991



\* \* \*

დასცინოდა ჩემს  
ყმაწვილურ ნაღველს,  
ვარ სკვლავებით  
გულგამთბარი ზეცა,  
იდგა თეთრი  
ტანშიშველი ლამე  
და მეც თითქოს  
არაფერი

მეცვა.

ახლა ვფხიზლობ,  
კვლავ უცნობ ხმებს ვისმენ,  
(ო, სიცოცხლის  
უნდობლობა კმარა)  
და გრძელდება  
დიალოგო ისევ:  
მოკვდი? — არა,  
ცოცხალი ხარ?  
— არა!

1990



\* \* \*

მორჩა,  
რაც მე შენ  
ასე გხათობდი,  
გულო,  
ცოდვილო,  
გეღარ გიშეველი,  
გდია  
სხეული —  
ძონდი მათხოვრის  
და დაპქრის  
ეშმა —  
სული  
შიშეველი.

1992

# მათი დასალოცი ზიციკა



„მყინვასულთა ნებაზე არაა ჰქობოლა. არც მამაცთა  
ნებაზეა ოძი. არც ჰქიძენთა ნებაზეა ჩყრი. არც  
ეხნიერთა ნებაზეა სიძლილი. არც მცოდნეოთა ნებაზეა  
მაღლი. საღეან დღი და შემთხვევა განაერებს  
უზრუნველის“

გილერეაზე



## იჩენ

უცნაურია  
პოეტი  
ქალი,  
საერთოდ  
ქალი  
უცნაურია,  
იმდენჯერ  
ვიწვი  
მე მათი  
ალით,  
რომ  
ზოგჯერ  
მინდა,  
გავქრე  
სრულიად...  
ეს სიყვარულის  
ზენიტი  
არის,  
თუ ღმერთო,  
მისი  
დასასრულია?



\* \* \*

*ირმა შიოლა შეილას*

ახლა,  
როცა გაზაფხული მოდის,  
როცა მთებზე  
თოვლმა იწყო დნობა,  
როცა თითქმის  
შევეჩვიე ლოდინს,  
როცა სჭარბობს  
მღელვარება გრძნობას...  
შენ მიდიხარ,  
თითქოს უხდი ბოდიშს,  
შენს სამშობლოს,  
მიტოვებულს ობლად.

შენ მიდიხარ  
და ცრემლიან თვალებს,  
გრილი სიოს  
მონაბერით აშრობ,  
ყველაფერი ისე  
დვიძლი არის,  
შენთვის ახლა,  
ვით მარადი სატრფო...  
შენ მიდიხარ,  
გზას გინათებს მოვარე,  
ქარს მიჰყავხარ,  
ქარს მიჰყავხარ,  
რა შორს.



სადაცაა,  
დასრულდება მარტი,  
ათრობს ვარდის  
სურნელება ნიავს,  
შენ ოცნებობ და  
სიყვარულს ნატრობ,  
შენ მიღიხარ,  
გულს ნაღველი მიაქვს...  
დამთავრდება  
ელეგია ზამთრის,  
არ იქნება  
დაბრუნება გვიან.

2003



## ნ ლ ე ბ ი

თამაზ ტყუბალაძეს

წლები,  
როგორც მდგმურები,  
გვშორდებიან წლები,  
ჩუმი საყვედურებით,  
ფრთხილი შენიშვნებით.

ღვთის  
სახელზე ვილოცებ,  
ჩემს მოსამარელს ვიმკი,  
ქრისტესავით სიცოცხლეს,  
ქრისტესავით სიკვდილს.

მწუხარის  
ეპითეტებით,  
ქუჩა-ქუჩა ვივლი,  
პშვენის სევდის ფერები,  
პოეტების თბილისს.



\* \* \*

ვაჟა ხორნაული მიყვარს,  
არაბული ბალათერი,  
მათი დასალოცი სიტყვა,  
მშველის ლექსის აღმართებში.

ზურაბ ჯაფარიძე მიყვარს,  
თავის “ოოვლის როიალით”,  
ჩავცქერ სასიკვდილე მიწას,  
უფალ ღმერთის მოშიშარი.

ვიცი, ხვალ-ზეგ მეც იქ წავალ,  
არ მსურს ცრემლი, არც დანდობა  
და ლექსს, ჩემს გულის წამალს  
დავლევ, როგორც შესანდობარს.

2000



## არაპყლები

„ყველა ხევსური ვიცი დანტეა“  
გ. ლეონიძე

ყველა ლექსი  
მთიდან მოდის,  
და ბროლივით  
მობრწყინვალებს,  
ყველა ხევსურს  
ვადრი პოეტს,  
მათ გვარშია  
მოწინავე —  
რქაწიოთელის  
მტევნებივით  
დაშაქრული,  
დახუნდლული,  
არაბულით,  
არაბულთა,  
არაბულზე  
არაბული.

როგორც  
ნისლის ოხშივარი,  
ფიქრებს  
ცისკენ მიირეკავს,  
როგორც სატრფოს  
მიჯნურისგან  
მირთმეული ძოწი ამკობს,  
ყველა ხევსურს  
შვენის ლექსი,



ლექსის ქარი,  
ლექსის დელგმა  
და სიმღერა, —  
სვამს თუ უყვარს,  
კაფიობს თუ  
ლაპარაკობს.

ყველა ლექსი  
მთიდან მოდის,  
ვით მდინარე  
დაკვანწული,  
ყველა ხევსურს  
უბის წიგნში,  
სხარტად სათქმელ  
ლექსს გაგულებ,  
ვიცი კობა,  
ამირანი  
და ბაღათერ არაბული,  
ლელა...  
ყველას რა ჩამოთვლის...

გაუმარჯოს არაბულებს!



\* \* \*

*ლალი გოგოჭურს*

განზე გადაკრული ფითრი,  
სიტყვა მოდენილი ცრემლად,  
ერთად ვიზრდებოდით თითქმის,  
მახსოვს ის კრიალა ზეცა...  
მე რომ ვიღლებოდი ფიქრით,  
შენ რომ სკოლის ფორმა გეცვა.

ქრიან სიჭაბუკის წლები,  
სიბერე აქვეა, ახლოს,  
მაინც იშვიათად ვხვდებით,  
თუმცა გვერდი-გვერდით ვსახლობთ...  
ახლაც შემოქმედის ხვედრი,  
მძიმე არის, ჩემო დაო...

როგორც სიყვარულის განცდა,  
როგორც სამშობლოზე ფიქრი,  
მახსოვს ის კრიალა ცა და  
კანზე გადაკრული ფითრი...  
ამ მიწაზე ფეხი დაგვცდა  
და მას შემდეგ მიდის, მიდის...

2000



## ნინიკო ცაჰამულს

აქსართომტაძ

მზის დასავალზე, სადაც მთებია  
და ვარსკვლავები მთვარით თბებიან,  
შენმა ფიქრებმაც მათთან იარონ,  
მშვენიერების თანაზიარო.

მზის დასავალზე, სადაც ზღვა არის,  
შენი ცხოვრება იყოს ზღაპარი,  
პქონდეთ ახდენა ბაგშვურ ოცნებებს,  
შენი სიკეთით გამაოცებდე.

გქონდეს იღბალი, როგორც ათინას  
და სიყვარული, როგორც ნეფერტიტის,  
ჩემო ნინიკო, რავი, საიდან,  
ეს ციდა ლექსი შენოვის შევქმენი.

(თუ მოახდინა, ნეტავ, ეფექტი?)

2008



## მარიამ

*ჩემს დისტანცია*

ჩემო პატარა მარიამ,  
ბროლის ცრემლები მოგდისო,  
შენი ტირილი –  
არია,  
ხმა არის ღვთისმშობელისო.

ისეთი ქალი იყავი,  
ვით ეგადრება ღვთისმშობელს,  
ანგელოზივით  
მბრწყინავი,  
ხან ცრემლებს თმებით იშრობდე...

ხან სხვისი დარდი გტკიოდეს,  
არ გშურდეს სხვისი სიკეთის,  
შენზე სულ კარგი  
ითქმოდეს,  
ქალი იყავი ისეთი!

2005

## ნათია

ეს ცეროდენა ნათია,  
სულ პაწაწინა ქალია,  
თმები ზღარბივით გაშლია,  
ტანზე “ბარბივით” აცვია,  
ხურდა ფულ უყვარს ძალიან,  
პქვია “კანფეტებჭამია”.

2009



## მარიამ—მარის

მარი ბალავაძეს

ჩემთან მეგობრობს  
გოგონა ერთი,  
გოგონა სათნო,  
მაყვლისთვალება,  
რომელიც უკვე  
შვიდის პრძანდება,  
რომელსაც უყვარს  
ძალიან ღმერთი,  
უყვარს ოცნება  
და წვიმის წვეთი  
და ლექსი,  
როცა მარტო დარჩება.

ჩემთან მეგობრობს  
პატარა გოგო,  
პატარა ქალი,  
მარიამ—მარი,  
რომელიც უკვე  
შვიდი წლის არის...  
მე რომ მზეს ვძერწავ,  
ის ღრუბელს მოქსოვს,  
ხან ჩამოვარდნილ  
ხის ფოთლებს ვგლოვობთ,  
გვიყვარს მზის ჩასვლა  
ზღვაზე და, ქარი...



მე შემიყვარდა  
გოგონა ციდა,  
ვით სისხლი ჩემი  
და სული მნათე,  
ღამეებს ხშირად  
ლრუბლებზე ვათევთ,  
გჩუქნით ერთმანეთს  
ვარსკვლავებს ცისას,  
შევევედრებით  
სალოცავს წმიდას,  
უფლის სახელზე  
დავანთებთ სანთლებს.

ეს ციდა გოგო  
გაზარდე, ღმერთო,  
რომელიც შპვე  
შვიდი წლის არის,  
ფართოდ გააღე  
მამულის კარი,  
რუსთველის ენით  
იგითხოს, წეროს,  
ვითარც თამარი,  
მზის სხივად ენოოს,  
დარჩეს მამულს  
მარიამ—მარი.



## ზურაბ ლომაზანიძეს

ჩემს ბავშვობაში  
რომ წამოვიდგენდი  
პოეტს,  
ისეთი ხარ...  
მისარია  
ჩემი სოფლელი კაცის  
კითხვისას თითქოს ჩემს  
სისხლს და ხორცს გხვდები,  
რაოდენ დიდია  
სამყარო და მაინც,  
ქართული მიწა—წყლის  
სუნი უდის  
შენს ლექსს.

2005



## თამაზ სმალაძე

გალაკტიონის ხიდთან,  
შეგხვდი, ბატონო თამაზ,  
სულიერებით მდიდარს,  
დღევანედელობის დიდკაცს,  
ქართულ მწერლობის თავადს.

„ლექსი რას იქმსო”? - თბილად,  
მკითხე, - გავსებ-თქო უჯრებს,  
- „არა უშავსო, სიტყვა,  
რაც უნდა იდოს დიდხანს,  
არ იხრწნებაო, ჯუმბერ!”

დაგემშვიდობე კრძალვით,  
მტკვრის მოაჯირზე ვიდექ,  
ბედნიერებით მოვრალი,  
მიქანაობდა ქარი,  
გალაკტიონის ხიდზე.



## ჩა ရამ ლოთისნიღი სიყვარულით

ლამარა კიკილაშვილის

რა ჟამს  
ლოთისნიერი სიყვარულით,  
უფლის  
სამყოფელში დავივანებთ,  
რა ჟამს  
შეითვისებს ჩვენი სული,  
ქრისტეს  
მარადიულ ნაიარევს...

მაშინ  
ადამის ძედ ნალეს თიხას  
სული  
მოშორდება სამუდამოდ,  
ყველა  
მივაშურებთ სამოთხის კარს,  
რომ დმერთს  
არსებობა დავუმადლოთ.

მაშინ  
ზეცისაკენ სიარულში,  
გრძელ გზას  
ანგელოზი გაგვინათებს,  
რა ჟამს  
ლოთისნიერი სიყვარულით,  
უფლის  
სამყოფელში დავივანებთ.



## გალაზიონი

პუბლ მიჰქონდათ,  
აქლემებს, ოკინის,  
უდაბნოს სევდა  
ცეცხლივით სწვავდა,  
ვარდისფერ გზაზე  
მიმავალ სიკვდილს,  
ჩირად უღირდა  
იმ ქვეყნად წასვლა.

ცრემლები ჰქონდა  
დამშრალი წყაროს,  
უმძიმდა მიწას,  
სისხლით გაპოხილს,  
პოეტთან ერთად  
პუბლში ფართოდ  
სიკვდილი იწვა,  
როგორც ამბოხი.

2003



### ციციანი

გულის ჯიბეზე  
მიხაკს დაიბნევ,  
ერთ დროს ლექსებით  
ქვეყნის ამკლები,  
ბაღჩის გელივით  
პშვენის აივნებს,  
მწვანე ხავერდის  
გავალაკები.

ხოლო შენ,  
სადაც არ უნდა იყო,  
სულის აჩრდილით  
ჩვენთან დარჩები,  
თქვენ, ყანწელებმა  
ხარკი გაიღეთ,  
წმინდა გრაალის  
გადასარჩენი.



## ჭომების! . .

მე უსტარს ვუძღვნი პოეტ პომეროსს,  
მაღელვებს დღემდე ეს ბრმა აედი,  
გაწეწილ ცეცხლში როკავს ბოლერო,  
თავშესაფარი ათას  
თავხედის.

ორ დროში არის რა განსხვავება,  
სწვავდა ტრფიალი ჩემებრ ოდისეგსს,  
ვერ გაექცევი ბედს და განგებას,  
ოოდესაც ვნების ალებს  
მოგისეგს.

თვით ილიადიც შუბალმართული,  
ამ ალებს ძალუმთ რომ დააწყნარონ  
და მეც მგონია, ამ სიყვარულით,  
კვლავ გადარჩება ჩვენი  
სამყარო.

2005



## სალგალო დალი

ხანდახან,  
გხვდები,  
გიურ ვარ,  
თავაწყვეტილი  
გიურ,  
სალვადორ დალი  
მიზიდავს,  
თავის  
შეშლილი ნიჭით,  
მისებრ  
შიშველი იზიდას  
მკლავს  
ცხოველური ჟინი...

2005



## მზია სეთაგული

„სიკდილის გზა არრა არის,  
ვარდისფერ გზის გარდა”.

გალაპტიონი

არ დაიჯერო, რომ საიქიო,  
მოფენილია მზით და ვარდებით,  
არ დაიჯერო და არ იფიქრო,  
რომ სადაც წახვალ და დასახლდები...

იქ ვინმე მოვა, ლუქმას მოგაწვდის,  
თუმც აქაც ბევრჯერ გულს მოგიქლავენ,  
მაინც გერჩიოს დაკვრა მოცარტის...  
ნუ აჩქარდები სამოთხისაკენ.

რადგან არ იცი, თუ იარსებებს,  
იქ სიყვარულის მძაფრი შეგრძნება,  
სჯობს აქ ელოდო ვინმეს კარებზე,  
ვინმეს უცაბედ შემოხეტებას...

აქ დაიღალო სხვაზე ფიქრებით,  
სხვისი ტკივილი აქ იტკივილო,  
ერთხელ წავალთ და აღარ ვიქნებით  
და მერე ვიტყვით: მოდი, სიკვდილო...

სააქაოში არის ცხოვრება,  
არის წამებაც და სიხარულიც,  
საიქიოში რა მელოდება,  
აქ გამაკვირვე კვლავ სასწაულით!



არ დაიჯერო, საიქიოს გზა,  
 რომ მოფენილი არის ვარდებით,  
 მოგეგებება მარტის მიმოზა  
 იქ, სადაც ერთხელ ჩაესახლები.

2009

## პ - ლ


შენ გხატავენ მხატვრები,  
 რადგან დასახატი ხარ,  
 ცა – შენი პერგამენტი  
 და პარნასი – ტახტია.

შენ გიძლივნიდნენ ლექსებსაც,  
 სურნელებით მინდვრისა,  
 რადგან, ჩემებრ, ეს რწმენა  
 პქონდათ შენი სიტყვისა.

ვმადლობ ლმერთს, რომ ოცნების  
 შენთვის მოძღვნა მეღირსა,  
 შენ თუ არ დაღონდები,  
 მეშინოდეს, მე, რისა!

2009

62 ~ 360



„კარგი სისტემი უკიდის ძირითად ნებისმიერებულს.  
დღი საჯროობისა ვაჩინოს დღეს“

გილონიანი



## მუქმან ლეგანიძე

„ყვავილების მდინარეს” (დღეს შენ გარდაიცვალე),  
კუბო ცისკენ მიჰქონდა და შორს საიქიოდან,  
მოგიხმობდნენ დმტრთები მშვიდს და პირმომცინარეს,  
აქ რჩებოდა ლექსებად შენი მარადისობა.

მიყვებოდი ბოლომდე აღმართს მევირცხლი ბიჭივით,  
და ტკივილებს დადლილმა გულმა გეღარ გაუძლო,  
მყოფს სულ ომის ქარცეცხლში და ცხოვრების ჭიდილში,  
გეტყვის გალაკტიონი: მომიხვედი, ძამიკო!

ჯერ კი აქაც ბეგრი გყავს და თავს დაგტრიალებენ,  
თუმც შენსავით მაშინებს მე ამათიც, ჭალარა,  
ქმნიან ოქროს ხელები უკვდავ მატიანეებს,  
ენის, რჯულის, მამულის, სიტყვის დასაფარავად.

ტოვებ მაინც დადლილი, თალხმობურვილ სამყაროს,  
სააქაოს ცხოვრება არის მაინც დილეგი,  
ახლა შენი ლამაზი სიკვდილითაც ვამაყობთ,  
კიდევ უფრო მდიდარი ლექსებით და წიგნებით.

მიხეალ და წინ მიგიძლვის მთელი მარადისობა,  
გადგას უფლის ნათელი მაგ ლვთაებრივ სახეზე,  
ჩვენთვის სამაგალითოდ დარჩა შენი ბიჭობა,  
შენი ლექსის მეწყერი გვაფხიზლებს და გვახელებს.



მიხვალ თეთრი ჭადარით, გულში სევდის დაფარვით,  
ადრე შვილის დაკარგვით, და მოხედვას არც ცდილობ,  
აქვე ახლოს იქნება ალბათ შენი საფლავი,  
ხელში აყვანილებმა უნდა გამოგაცილოთ.

მერე დიდხანს ვეფეროთ, რაც კი დაგიწერია,  
ოფლით, სისხლით,  
ცრემლებით გაჯერებულ სტრიქონებს,  
განა ოთხმოცი წელი პოეტისთვის ბევრია,  
წლებთან ერთად ცხოვრებას,  
გულიც რომ არ მიჰქონდეს.

„ყვავილების მდინარეს”, ნელი რხევით მდინარეს,  
მაღლა-მაღლა ცისაკენ კუბო ნაზად მიჰქონდა,  
მეფეებით, გმირებით, პოეტებით მდიდარ ერს,  
ნათელ სვეტზე ეწერა ლექსი – მარადისობა.



## როგორ ამაშუკილ

ცრემლი სდის მიწას  
და ქარი კივის  
და ხვეტს მიწაზე  
დაყრილ ყვავილებს,  
გხედავდი,  
როგორ ხვდებოდი სიკვდილს  
და მუჭა-მუჭა  
მიწას გაყრიდნენ.

მარტის თვე  
მსუბუქ სიზმარში გხვევდა,  
იღვენთებოდა  
სანთლად საღამო –  
ლია სტურუას \*  
უსიტყვო სევდა –  
„ასე უეცრად  
არ მიღალატო“...

შენ მიდიოდი  
ამ ლამაზ ხმაზე,  
უფრო მაღალი  
ტვირთის მზიდავი,  
ვუცქერდი მაგ მშვიდ,  
ღვთაებრივ სახეს  
და თითქოს,  
თითქოს კარგად  
ვიყავი...

2002

\*- ლია სტურუა – პოეტი, ელგუჯა ამაშუკელის მეუღლე.



## „ნიშობი სალუქაძეს“

„ო, რა სეგდიანი ჩაგალა სამარეში,  
თუ არ ჩამაყოლეთ იასამანები?“  
ა. ხალუცქაძე

ქუჩებს  
შენეული ეშხი,  
დღესაც აჩრდილივით დასდევს,  
რაღა ამ სექტემბრის თვეში,  
რაღა ლვინობისთვის  
დამდეგს...

ვეღარ  
დაამშეენებ თბილისს,  
შენოვის საფუსფუსო ჩარდახს,  
ქუჩებს შენეული ხიბლი,  
ქალებს, —  
სიყვარული დარჩათ.

2001



## მისილ სემეული

ეს არ იყო ტრაგედია,  
ეს სიკვდილიც არ იყო,  
რაღაც უფრო ზემალალი,  
რაღაც უფრო საჭირო...  
ის, რაც ამკობს მოებზე მაღლა  
მდგომი კაცის ხასიათს,  
გამოძერწილს თეთნულდისგან,  
უშბასაგან, შხარისგან.

მოლოდინით,  
ტკივილებით დაზაფრულებს, გალახულთ,  
დალებს ლომის ხეობაში  
ქარდაკრულ მმის ნახვა სურთ,  
„ზარს“ ამბობენ მთის მახვშები,  
ცრემლით „ლილეს“ მდერიან,  
ეს ამდენი თოვლის კუბო  
სვანეთისთვის ბევრია.

მზეც ირიბად  
ირეკლება თეთრი თოვლის ქათიბზე,  
არ სტუმრობენ ხარ—ჯიხვები  
ლეგვემერის სათიბებს,  
არც ისე წვიმს და არც ქარი  
ქრის ლეხზირის ყანებში,  
თაყვანსა გცემს საქართველო,  
შენი სათაყვანები.



ეს არ იყო ტრაგედია,  
ეს სიკვდილიც არ იყო,  
რაღაც უფრო ზემალალი,  
რაღაც უფრო საჭირო...

მე კი შენი წლებისა ვარ,  
რაღაც, ოცდაჩვიდმეტის,  
ზაფხულია,  
სუ-ალტოდან  
ჩამოფრინდნენ ჩიტები.

2004



## Ցագանուն

Թուածո  
Ինացոլո  
Ինարտզուս,  
Ցույես  
Մշն-Հուեցտա  
Եռոցա,  
Յուցո,  
Հաղլոլոլո  
Սաեստ  
ԱԺ  
Ակլամեծտան  
Թռեցալ.

Իցգլուացուա  
Հա  
Հյելցմա,  
Շեմշլուս,  
Շոյերեծո  
Շեմշլուս,  
Աևյ  
Թըռնուա,  
Ացելցան,  
Սցլո  
Ծրուալցեծ  
Շենո.



\* \* \*

*ავლაგ ზოაფარიძეს*

იქნება შენ ახლა ნადირობ ჯიხვებზე,  
ჭიუხზე არ დაგიცდეს ფეხი,  
ვინ იცის, იქნება ჭრილობებს გიხვევენ,  
ბრჭყალებით  
დაგიკაწრეს მხრები.

იქნებ გაიბანე წყლულები არაგვზე,  
ყვავ-ყორნებს აფლეთინე ხორცი,  
ვინ იცის, შენ ისევ არ ამბობ არაფერს,  
ასეთი

ამაყი და... მორცხვი.

შენს ბედს თუ უფალი სიკვდილს უმზადებდა,  
ჩვენ რად არაფერი გვამცნო,  
ასე უიღბლოდ და ასე უცაბედად,  
ჩემო

დაკარგულო ძმაო.



\* \* \*

გერაძ ჭალიაშვილის

მე  
ასე მგონია  
სხვის  
შეუმჩნეველად,  
წუთი  
რა არის და,  
ის არ  
გიცხოვრია,  
ყველას,  
ვინც კი გიცნობს,  
ბევრი  
ლამაზი დღე,  
უხვად  
უწილადე  
შენი  
სიცოცხლიდან.

1994



\* \* \*

*ლუხუშ თოთიაურს*

მცხეთის ხიდიდან მტკვარი მიცქერის,  
ჩაფიქრებული შენი თვალებით,  
ალბათ იმ დამეს ვერ დაითვერი  
და ვერ მოლალე ქნევით მკლავები.

ალბათ სიზმრებში წასვლა ინებე,  
გსურდა ძმობილის სულთან შეხვედრა,  
მთვარე ცრემლიან დამეს გითენებს,  
ფოთოლგაცვენილ ნუშის ხეებთან.

იმ დღიდან ბევრჯერ გამოიდარა,  
შენ პაერივით, ხსოვნას სჭირდები...  
ზოგჯერ ლალობენ ისევ იმგვარად,  
ზოგჯერ დარდობენ, შენზე, ბიჭები.

1999



## ლუცონ

ნანამ მითხრა:

ნუ გეშინია, ღუტო უფრთო  
ანგელოზი იყო, უფალთან  
წავიდაო...

მე შენთანა ვარ,  
შენს ფიქრებში, შენს ტკივილებში,  
მე შენთანა ვარ  
სიცოცხლეში და მას შემდეგაც,  
დღეიდან  
უფრო სათანადოდ გაგიფრთხილდები,  
დღეიდან  
უფრო მოვუხშირებ შენთან შეხვედრას.

-----

პაუზა, ცრემლი,  
უკვე იპყრობ ზეცის სამანებას,  
ადრე მოგინდა  
უფალ ღმერთან გაბაასება,  
გამიჭირდება, ვიცი,  
მოსვლა შენს ცივ საფლავზე,  
გამიჭირდება  
შენს საფლავზე ჭიქის წაქცევა.

ნისლს აიტკივებს  
ცრემლმომდგარი შოდა—პედელა,  
შენი ღებიდან  
ჩამოგიტანს ამბებს რიონი,



დაღვრის მიწაზე  
მწუხარება ლურჯ ცას ცრემლებად  
და მოგიკითხავთ,  
ახლა უკვე, უფლის შვილობილს,

მე შენთანა ვარ,  
შენს ფიქრებში, შენს ტკიფილებში,  
შენი ხსოვნისთვის  
შევეცდები დიდხანს სიცოცხლეს,  
დარჩი ქუთაისს  
საამაყო რივნისპირელი,  
ლამაზ სიცოცხლით  
თვით სიკვდილიც გაასხივოსნე.

2005



ლ ა თ თ მ ა მ გ ლ ი ჭ ი რ ი ნ ლ

არ ვოცნებობდით ცის კოშკზე,  
არცრად ველ-მინდვრებს ვთვლიდით,  
ვტკეპნიდით ბილიკ-ხრიოკებს,  
ვსვამდით კბოდის თუ  
კლდის ძირს.

ჩასვლა გვიყვარდა რიონზე,  
განსხვავებულის ჭიქით,  
შენ ლექსს ამბობდი ღვინოზე,  
მე ამ ლექსის არსს  
ვხსნიდი.

გამოვათრობდით ჭრილობებს,  
და დროს ყანწივით ვცლიდით,  
მამა-პაპუულ ჭილობზე  
მოგვინდებოდა  
ძილი.

ო, ისე შეგისისხლხორცე,  
ჩემი თავისაც მიქვირს,  
მიადვილებდი სიცოცხლეს,  
გამიადვილებ  
სიქვდილს.



## ლ ა თ თ ლ

ეს ერთი წელი, ჩემო დაოო,  
იყო გაძლების,  
მერე იქნება ცხოვრებასთან  
ძალად შეჩვევა,  
მე გამართობენ  
ჯოჯოხეთის ამორძალები,  
შენი სული კი  
ანგელოზთა დასებს შეხვდება.

წუთის ჟამია,  
რაც გვაშორებს ახლა ერთმანეთს,  
შენ უკვე იცი,  
რომ ეს ჟამიც არის მირაჟი,  
ნეტარ არიან, ვინც სიკვდილის  
არსესა ჰნედავენ,  
ვით დამის წევარამს  
აცისეროვნებს დღის  
გარიშრაჟი.



## გასო მუშკულიანი

მთელი სიცოცხლე ვმღეროდი,  
სიკეთეს ვთესდი, მეგონა,  
დედილო, იმ ცრემლს, შენ რომ გდის,  
ჩემი ტკივილის გემო აქვს,  
თქვენ ხომ გჯეროდათ ძმებო, ძმის –  
სიკვდილის არა მჯეროდა.

არც ახლა მჯერა, თქვენთან ვარ,  
ოღონდ მარჯვენა - დალლილი,  
თვალებზე გადამეფარა,  
მობინდისფერო აჩრდილი,  
დედაო, მიმაქვს ლმერთოთანა,  
შენი ლოცვა და მანდილი.

შვილებო, მამა მოგიკვდეთ,  
ვერ დაგიბარეთ სიტყვაო,  
მე უნდა ჩუმად მოვიდე,  
ქორწილის გადახდითაო,  
იცოდეთ, თქვენ რომ მოიწყენთ,  
მე მეტკინება იქაო!



## მათე

მათე ბიჭო, გაფრენილხარ,  
შე ლამაზო ბიჭო,  
ჰეგეშურას წყალს რა ფერი აქვს,  
შენ ხომ მის ფსკერს იცნობ.

სისხლისფერი ხომ არ არის,  
ან მრუმე, ან შავი,  
მოფერება მოგინდომა  
ლათქიშორასავით.

მაგრამ მეტი მოუვიდა,  
ვერ გაგიგო, ბიჭო,  
გადმოვარდეს ნაპირიდან,  
ჩვენი ცოდვა ზიდოს.

მათე, შე ჭაბუკო მნათევ,  
შენ რა გიჭირს აწი,  
ღმერთთანა ხარ, ჩვენზე მაღლა,  
ჩვენ მიწაზე დავრჩით.

ყოჩად, ბიჭო, ფრთებგაშლილო,  
შე ლამაზო ბიჭო,  
გაგვიძვალე სიკვდილის გზა,  
გზა ბნელი და ვიწრო.

მათე, ბიჭო, ფრთებგაშლილო,  
გაფრენილო ნიჭო,  
ცად იარე, შემოგევლე,  
შე ლამაზო ბიჭო.



## არყო ჰიძან

კარადაში  
შენი ქურქი  
და პიჯაკი ძველი,  
შენს სახლს  
ავსებს,  
შენი სახლის  
სიმარტოვეს  
შველის...

შენ კი სად ხარ,  
არას იტყვი,  
არც არაფერს  
გვამცნობ,  
შე ალალო,  
შე სათუოო,  
შე ლამაზო  
ქაცო.

სულ „ოქროჯან“,  
სულ “ძუძლაჯან”,  
შენს  
დაშაქრულ ხმაში,  
რა ღვთის  
მადლი ჩაღვრილიყო,  
რა გალობა  
შაშვის...



ახლა  
აწვიმს შენს ფანჯარას,  
ახლის  
წვიმა შეფებს,  
შენ კი  
კარი გაიხურე,  
დეთის  
კარავში შეხველ.

2001



## მიხო ჭირფაპაული

ბოლოს  
სულ ცრემლით ვიგონებთ,  
ეამჩა  
რომ დაგვინაწილა,  
სიცოცხლეს,  
როგორც სტრიქონებს,  
დაყოფილს  
ნაწილ-ნაწილად.

ბეგრჯერ  
გავმცდარვართ ბაასში,  
ნისლიან  
მთებს და ჭიუხებს,  
ხეესურეთიდან  
მთა-რაჭის,  
ზეგნებზე  
გადაჭიმულებს.

ეგ არის  
ჩვენი ცხოვრება,  
სიკვდილ  
ნაკლები რითია?  
იქ წასვლით  
კაცი ცხონდება,  
აქ ყოფნა რაა,  
მითია.



აღარც რამ  
კარგი მოგვესმის,  
კარებდახშული  
სივრციდან,  
ვაი, რომ  
წუთისოფელი,  
სულ ერთი  
ბეწვის ხიდია.

დრუბლებს რომ  
გადაიწინდავს,  
მთის ამბებს გეტყვის  
იალნო,  
ბუმბულად  
გექცეს ის მიწა,  
გულზე რომ  
მიგაყრიანო.



## ბერია

სონია ბიჭაშვილი-გაგაშვილის ხსოვნას

უფალო,  
ახლა ოთახში ვწევარ,  
ჩემს ირგვლივ  
მხოლოდ კედლებია მოსევდისფერო,  
გარეთ სიბნელე  
და სულში მწუხრი.  
მე მაინც ველი გათენებას,  
რადგან, უფალო,  
უსაშველოდ მიყვარს სიცოცხლე.  
ხოლო ჩემს ახლოს,  
გვერდით სახლში, ჩემი ბებია,  
წევს გარინდული და  
სიკვდილს ნატრობს...

ორი თვე არის,  
რაც ბებიამ,  
ორი კუბო ჩადო მიწაში,  
იმ კუბოებში, როგორც აკვნებში,  
შვილები ეწვნენ –  
ჩემი ბიძები,  
და როგორც აკვნებს,  
იმ კუბოებს ეფერებოდა...

ახლა

სარეცელს მიჯაჭვული ჩემი ბებია,



ხან წამლებს იყრის მუჭით პირში,  
ხან იოდს გვპარავს,  
რომ აღესრულოს.  
ჩვენ ვეუბნებით –  
თავის მოქვლა არ შეიძლება,  
რომ ეს ცოდვაა,  
რომ უფალმა თვითონ იცის,  
რა და როგორ ქმნას,  
რომ უარესიც  
შემთხვევიათ სხვათა და სხვათა,  
მაგრამ არ ესმის  
და არც უნდა რამე ისმინოს...  
შვილებთან უნდა –  
თავის ლამაზ, ტანად ბიჭებთან...

წევს  
გარინდული ჩემი ბებია,  
დღეს ხმაც დაკარგა,  
მგონი გრძნობაც,  
და ვერას ვშველი.  
აქ აღარ უნდა,  
იქ უნდა, – მათთან...  
და დღეს,  
უფალო,  
ვიდრე მაშინ,  
სარეცელთან ჩემი ბიძების,  
დღეს უფრო ვგრძნობ უმწეობას,  
ჩემი თავის უსუსურობას...



ვუზივარ თავთან  
ჩემს ბებიას და არ ვიცი,  
მხედავს თუ არა,  
ხელებს ვუზელ და გრძნობს თუ არა,  
ვერც იმას ვხვდები,  
ლაპარაკიც არ ეყურება,  
თუმცა დრო და დრო  
აევსება თვალები ცრემლით  
და ვკოცნი  
ცრემლზე...

მასსენდება,  
ბავშვობაში შაქარლამებს  
შემიწყობდა ბალიშის ქვეშ,  
შუბლზე მკოცნიდა.  
მეძინა,  
მაგრამ ამ კოცნას ვგრძნობდი –  
სურნელებას  
შაქარლამისას.

ახლა კი რა ვარ,  
ამხელა კაცი  
ჩემს ბებიას ვერაფერს ვშველი,  
უსუსურად ვუზივარ თავთან  
და უფალს შევთხოვ,  
მოაბრუნოს ბებია აქეთ...  
თუმც ამ თხოვნაზე  
უფრო დიდი არის სურვილი  
ჩემი ბებიის –



შვილებთან იყოს,  
დიდ სინათლეში,  
სადაც  
მზეები  
გამუდმებით  
ანთია ცაზე,  
ხოლო ღრუბლები  
საქმეველის  
სურნელს აფრქვევენ.

2004



## ჩემი ჰიძები

ახლა მხვდება  
თქვენს ნაცვლად,  
იდუმალი,  
შორი,  
ორი  
სასაფლაოს ქვა,  
მარმარილო  
ორი,  
გაციებულ  
გულებზე  
წაქცეული  
ჭიქა...  
ახლა  
ჩვენთან არა ხართ,  
ახლა  
უკვე იქ ხართ...



## 6აზი შამანაური

თავთ მიდევს  
შამანაურის,  
დასტა, ნალველით  
ნაწერთა,  
ზოგის სტრიქონი  
შაური  
არის მის ცრემლის  
პწყარედთან.

უამი-უამს,  
წლები წლებს მისდევს,  
ცოდვებს  
ცოდვები მოჰყვება,  
მართალთა  
სული ცაშია,  
საიქიოში  
ცხონდება...

სამოთხის კართან  
რად ზიხარ?  
შედი,  
ნუ გეუცხოვება!



## ერა ახტაძეს

არავინ  
გისმინა,  
არა შეისმინა,  
ბუნაგში  
დათვივით  
სძინავთ...  
დარჩა  
შენი  
სიტყვა  
სმაღ  
მღაღადებელთა,  
სმაღ...  
უდაბნოსა...  
შინა!

2000



## ზაფა ცილაძეან

ვფიქრობ და ვეძებ მიზეზს, რომლითაც  
სათუთი გულის ცემა შეწყვიტე,  
ცრემლით გეითხულობ სისხლ და ოფლმდინარ  
ლექსებს – შენს დასმულ მრავალწერტილებს...

ვფიქრობ და ვეძებ, შევისისხლხორცე  
და „ამოგხსენი, როგორც ქარაგმა”, –  
მიზეზი, რამაც შენი სიცოცხლე,  
ჩვენგან წაიღო ცაში ქარდაქარ.

პო, ეს მიზეზი იყო მამული,  
სამშობლო იყო უპირველესად,  
გულის სიღრმეში გადამალული  
სევდად, ტკივილად, ცრემლად, ლექსებად.

ეს ნოსტალგია, ვერ ვიფიქრებდი,  
თუ იქნებოდა აზმა სიკვდილის,  
თავთით მიწყვია შენი წიგნები –  
მარადიული კაცის სინდისი.

მაყვალი ხორბალიძე

ას ობილასი

ლექსა: კუშჩერ გოგიაჭანისას  
(კუბა ლებელი)

აბილასი

2009

Moderato

L. ob-ob-n-mo-bn      3g-5s-Bhg-18j



Handwritten musical score for three voices (Soprano, Alto, Bass) in common time. The vocal parts are written on three staves, each with a different clef (Soprano: G-clef, Alto: C-clef, Bass: F-clef). The lyrics are written below the notes in a stylized Armenian script. The score consists of four systems (measures 1-4, 5-8, 9-12, 13-16).

**System 1:**

- Soprano: տէ ցո - ծո - ծո - ծո, իւ - իւ - իւ - իւ,
- Alto: ցո - յօ - յօ - յօ, իւ - իւ - իւ - իւ,
- Bass: ցո - յօ - յօ - յօ, իւ - իւ - իւ - իւ,

**System 2:**

- Soprano: իւ - իւ,
- Alto: իւ - իւ,
- Bass: իւ - իւ,

**System 3:**

- Soprano: իւ - իւ,
- Alto: իւ - իւ,
- Bass: իւ - իւ,

**System 4:**

- Soprano: իւ - իւ,
- Alto: իւ - իւ,
- Bass: իւ - իւ,

1.

j - harsh-hid ḡ - d̄m - ḡ - bright! *f*

2.

2. o - h̄m̄ - 5n̄ - 8o *ḡ* j - fm̄ - 5n̄

*m̄ = 90b 100b*

3.

3n̄ - f̄m̄ - 8n̄ *m̄ = 60 - 80 - 100*



A handwritten musical score for three voices (Soprano, Alto, and Bass) in G major, 2/4 time. The vocal parts are written on three staves, each with a key signature of one sharp (F#). The vocal parts consist of eighth and sixteenth note patterns. The piano accompaniment is written on a single staff below the voices, featuring eighth-note chords and bass notes. The lyrics are written in Armenian below the vocal parts.

vn-y<sup>3</sup>-huy-<sup>m</sup>vn  
v - g<sup>3</sup>g - g<sup>3</sup>g - m<sup>3</sup>g  
f<sup>3</sup>n - f<sup>3</sup>g - f<sup>3</sup>n,

vn-y - g<sup>3</sup>h<sup>3</sup>o - m<sup>3</sup>o,  
l<sup>3</sup>ym - v - g<sup>3</sup>h<sup>3</sup>o - m<sup>3</sup>o  
g<sup>3</sup> - m<sup>3</sup> - g<sup>3</sup> - m<sup>3</sup>

f  
f<sup>3</sup>vn - m<sup>3</sup> - b<sup>3</sup>,  
g - han g<sup>3</sup> - f<sup>3</sup>o, b<sup>3</sup> - b<sup>3</sup> g<sup>3</sup> - f<sup>3</sup>o



A handwritten musical score for voice and piano. The score consists of three systems of music. The top system is in G major, the middle system is in A major, and the bottom system is in F major. The vocal part is written in soprano clef, and the piano part is in bass clef. The vocal parts have lyrics written below them. The piano parts include harmonic notation with Roman numerals and various dynamic markings like forte (f), piano (p), and sforzando (sf). The score includes several performance instructions: 'grissando' in the middle section, 'bass' in the first section, and 'bassoon' in the middle section. The score is dated '1978' at the end.

373

1978

g - g - b - b - m - b - b -

bass

bassoon

grissando

b - g - b - g - b -

b - g - b - g - b -

b - g - b - g - b -



Handwritten musical score for two voices and piano. The score consists of four systems of music.

**System 1:** Treble clef, B-flat key signature, common time. The vocal parts sing "Joy - h̄ - son", "Joy - sh̄ - son", and "Joy - so - h̄ - son". The piano accompaniment features eighth-note chords.

**System 2:** Treble clef, B-flat key signature, common time. The vocal parts sing "Joy - h̄ - son" and "Joy - sh̄ - son ...". The piano accompaniment features eighth-note chords.

**System 3:** Treble clef, B-flat key signature, common time. The vocal parts sing "Joy - h̄ - son" and "Joy - sh̄ - son ...". The piano accompaniment features eighth-note chords. A tempo marking "a. tempo" is placed above the vocal parts.

**System 4:** Treble clef, B-flat key signature, common time. The vocal parts sing "Joy - h̄ - son" and "Joy - sh̄ - son ...". The piano accompaniment features eighth-note chords. A ritardando (rit.) is indicated above the piano part.



## სარჩევი

გეზი პირდაპირ გულისკენ.....	3
მკოთხველს .....	5
ს ო ნ ე ტ ი ა.....	7
„ორ, სიმდაბლეთ მაღლისათ“ .....	10
ოღლიშხო .....	11
შეტროს ქსეალატტორზე .....	12
ნიგალა ლარიანზე .....	13
***თუ წუთისოფელს .....	14
სიტყვის სასაფლაოზე .....	15
***ამთველებულან თითქოს ემბაზში .....	16
33 წელი .....	17
სტუმრად მომინგელ ხევსური .....	18
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ თ შ ი .....	20
იღიად .....	22
გედარ გამველი .....	23
***ოთახში .....	24
რ თ ქ ი .....	25
ფიქრი დამის ნამზითევი .....	27
***მყედროებაა ჩემი სავანე .....	28
***პოეტი .....	29
ჩემო შეგობარო .....	30
დედას .....	32
***რა შორს არიან .....	33
***სხვაგან იწნებ .....	34
ვაი ჩვენს პატრონს .....	36
სულმოუთქმელად გეტევი .....	38
***ღმერთო ისე ნუ გამწირავ .....	39
შემთაღამდათ პოეტებს გზაში .....	40
ლიტერატურული კაფე .....	42
*** ტყუალად გიგვირთ .....	43
***თუ მ-ფშავ-ხევსურთა .....	44
*** ქაცი რაღას არ გაიგებს .....	45

თენდება დამე.....	46
მომავლის მწერლებს .....	47
***მიდის დიდებულთა ქარაგანი.....	48
ამბობ .....	49
დუელში ვიწვევ.....	51
***წავიდა ჩვენი ბაგშეფობა.....	53
***ეს გაზაფხული .....	54
შენ ხარ პოეტი.....	55
ქარის სონატა.....	57
„ცხოვრების გრადაცია“.....	58
დ ა ს ხ ი .....	59
სარფიდან საით? . .....	60
პოეტის წერა.....	61
ნანას.....	62
***აღარ მიგხტირი.....	64
*** გერი რას .....	65
რა არის, ღმერთი .....	66
შეფე გიორგის გახაუბრება ბორჩალოელ აღალართან.....	69
***ave maria.....	70
ო, ფონ ბელზებელ! .....	71
***გიმრისფერ თვალებში.....	73
***გულს გავახელებ.....	75
***წევნარ და.....	76
***აქეთ იალნო .....	77
თებერვალი.....	78
***სულ ბეწვის ნიღბე ვკიდივარ .....	79
*** გიცნობდი ბევრ პოეტს .....	79
***აღამიანმა იცის დარდი .....	80
***საათი წიგწიკებს .....	81
ფრანსუა ვიიონ!	83
***განისვენებს ოთახში .....	85
მ ე ძ ა ვ ს .....	86
მიუვარხარ, აღამიანო!	88
ის მეცოდება.....	90

ანაკრეონტი.....	91
წვიმის წევთი და ფოთოლი.....	92
***ყაფაში ნალექი.....	93
ჩემს მკოთხველს.....	95
როცა კაცი ბერდები.....	98
***შორის დარჩა.....	99
***რახაც ვერ მიაგნო ტატომ.....	100
მე ნუ მასწავლი.....	101
***რამდენი ახლა.....	102
პ ო ე ტ ი ა.....	103
***უცნაურია .....	105
ჭ ო გ ო ე რ ო ს.....	106
სახალიწლო.....	107
საუკუნე .....	108
წინაპრებს.....	110
ერთადერთი სიტყვა .....	111
მე როცა ვიმადებოდი.....	112
ჩემთ კალამი, ნაწრეტო.....	114
თუ კა სიმდიდრე ეთქმის.....	115
***ერთი წუთი არ ყოფილა .....	116
***როცა.....	117
***მზე რომ .....	118
ამ მამაძღვებს .....	119
***შემთვახტები.....	121
***ვიცი.....	122
კოშპოუტერი.....	124
***ზოგი.....	126
პოეტს.....	128
***ერთმა ქალმა .....	129
***ეს საღამოც.....	130
***დაბრუნდნენ .....	131
ლექსი .....	131

## შენამდე, ღმერთო, უფალო

***შენამდე.....	133
***ღმერთო.....	134
მამა კახაბ!	135
***არ არსებობს .....	136
***ხიგვილის შმდეგ.....	137
***სამყაროს.....	139
<b>დ თ ც გ ა</b> .....	<b>140</b>
დეთისმშობელო მარიამ!	142
***ყოველი კაცის.....	144
***გაგსებ.....	146
თუ ამაღ შემტენ .....	148
ყველას.....	149
იქსოს.....	150
ალიღურა.....	151
ჩვენთან არს ღმერთი!	152
მარწფა .....	153
***არ გიცი.....	154
ხან დაგიფიტყებ, უფალო .....	155
უფალო, ძეთ კაცისა.....	156
***აღარც ვსტირ.....	157
იქსო!	158
*** კაცობრითბა.....	159
უფალო!	160
მე უფალო, მონა შენი .....	161

## სამშობლოს უსასრულობა

ჩემთ სამშობლო.....	163
სამშობლოს უსასრულობა .....	165
***ეპ.....	166
***ჩამოდგენთიღდა .....	168
„სოხუმში დაბრუნება“ .....	169

ოთხი წელი.....	170
***სევდიანი.....	172
დრო მოგა და.....	173
გაზრდიდე, დედაო!	174
რიონს.....	175
მტკვარს .....	176
რა შუაშია.....	177
***ოქართველო.....	178
თეთნულდი .....	180
მეტების ხიდთან.....	181
***ქართლის.....	182
ლოცვა.....	183
რაც მაბადია .....	184
***როგორც.....	185
***შორს დარჩა.....	186
მომენატრება ეფა .....	187
ყაზბეგის მყინვარს .....	188
***წემაა .....	189
დავით VI .....	190
რა კაცი ხარ მაშინ?	191
ლორთქი ბაღახზე .....	192

### დარჩა სოფელში ჩემი ბავშვობა

დარჩა სოფელში ჩემი ბავშვობა.....	194
მონატრება.....	197
***მე მიყვარს სოფლად .....	198
ლები .....	199
ლებისკენ .....	200
***ამ დიდ სოფელს .....	201
***ახლა რომ ლებში.....	202
გლოლა, ლები და ჭირა .....	203
***მხვდება სოფელში .....	204
სხვაგვარია მთებში დამე .....	205

***ღებელ კაცს.....	206
***ჩემთ ბებია.....	207
***აშ მთებში მდინარეები.....	208
***აქ ნელა უნდა იარო.....	209
***აქ ჩემს სახლში ვარ.....	210
ზამთარი.....	212
„ღების მაცხოვრის ტაძარი“.....	213
გლოლა-ჭითრა-ღებში.....	214
ქებათა ქება სიღარიბეს .....	216
ჟეორადი ხალხი.....	223
მათხოვარი ბავშვი .....	225
***ბაგშვები ქუჩაში .....	226
***ჩემი მკრთალი სიღარიბე.....	227
***ბეღნიერებავ.....	228
***იცოცხლე ზრუნვისთვის.....	229
***მდიდარმა .....	230
***ქუჩაში ხელგამოწვდილ პატარებს .....	231
ნუ გაგიკვირდება ნურაფერი.....	232
რას გაუმარჯოს .....	234
***უფელო კაცის ქეთვი .....	235
მ ე ტ რ თ შ ი.....	236
მკვიდრნი მწუხარი სოფლის.....	237
***რაც არაფერი მაქტე.....	239

## შენ ხარ და კმარა!

***ზემთა სამყაროს.....	241
შენ ხარ და კმარა!.....	242
რა უნდა მინდოდეს.....	244
***მე დავივიწყებ.....	245
***ფიფქი პატარა ბინას იქნდა .....	246
***გეღარ გიძინებ.....	247
***შენ რომ ტირთდი.....	248
***როცა შენს თმაზე .....	249

***არ ჩამიქრე სიყვარულო.....	250
***იქსება ლოთებით კაბარე.....	251
***ლოცვანაფით .....	252
***მოგვედი შენთან .....	253
შენ .....	254
***როცა ზამთარი .....	255
მაღლობელი გარ.....	256
შავი როიალი.....	257
ო, მშვინიერო!.....	258
შე დავიჯერე.....	259
***შენ მიდიოდი.....	260
როგორ მიყვარდით.....	261
იდილია.....	262
***გინ იცის.....	263
***ახლა შორსა ხარ .....	264
***ხარ ამორძალი.....	265
შე ოქენე გშორდებით.....	266
***ჩვენს შორის დარჩეს.....	266
შენ მაგონებ . . ..	267
***შენ ხარ ჩემი კლემპატრა .....	268
***შენით წაგა და ტრუიალი.....	269
ვან - დეიკის მაღონებს.....	270
მხოლოდ ამ დამებ .....	271
***ეს ყველაფერი არის მირაჟი.....	272
იმ ქაღლს.....	273
***გაქვს ცრემლიანი თფალები.....	273
***შენ ხილვა არ მინდა მხოლოდ .....	274
***გოც.....	275
*** პგლაგ მენატრები .....	276
***ხან გადარებდი სიქსტეს მაღონახ .....	277
შენ კა.....	278
შე დავასრულდე.....	279
ჩვენ დაგშორდებით აუცილებლად .....	280
მკრეხელობა.....	281

*** მენ ჩემს სიყიუეს წუ გაითცებ.....	282
*** მოფა სიკვდილი როცა.....	283
*** მე მირჩევნია მარტო ვიყო .....	284
*** როცა მოგელი.....	285
*** მომენატრა შენი წერილები.....	286
*** მოდი და ჩემი ცხოვრება.....	287
*** ენეიდას ახულო .....	288
*** ვერცხლით დაფარულ.....	289
*** ქობულეთი, ნიხლი მთებზე .....	290
*** მაგ-ჩოხა შარგალს ჩაგიცემ.....	291
მონ-მარტის ქუჩაზე .....	292
დამის სონეტი.....	293
*** ტკიფილად დაგრჩები შენში.....	294
ო, ისე, მიყვარხარ! .....	295
*** შენგავხარ ლამაზ ფერიას .....	296

## დამაცადე, სიკვდილო!

ქუჩაში თოვდა . . . . .	298
საღა ხარ სიკვდილო .....	299
ს ი პ გ დ ი ლ ს .....	301
*** ჩენ როცა გარდავიცლებით .....	304
*** მიტოვებული საფლავის .....	305
ისე შემოფა ჩემში სიკვდილი .....	306
ჩემს გარდაცვლილ ახლობლებს .....	307
*** გათავდა, დროა .....	308
*** სულის შვება .....	309
*** მომბეჭრდა წერა და .....	309
*** ვერ შევთუმ ამაოების .....	310
*** დღეს ბედი .....	311
სატანას .....	312
*** ნუ გეშინია, სიკვდილი .....	312
*** ქარი არღვევდა .....	313
*** მე რახაც ვწერდი .....	314

***დასცინოდა .....	315
***მორჩა, რაც მე შენ.....	316

## მათი დასალოცა სიტყვა

ირმას.....	318
***ახლა, როცა გაზაფხული მოდის.....	319
წ ლ ე ბ ი.....	321
***ვაჟა ხორნაული მიყვარს.....	322
არაბულებს .....	323
***ქანზე გადაკრული ფითო .....	325
ნინიკო ცაბოშვილს .....	326
მარიამს.....	327
ნათია.....	327
მარიამ_მარის.....	328
ზურაბ ლობჟანიძეს.....	330
თამაზ სმალაძეს.....	331
რა ფამს დფთხხნიერი სიყვარულით.....	332
გაღაპტოონი.....	333
ტიციანი.....	334
ჰომერის! . . ..	335
სალფადორ დალი.....	336
შხია ხეთაგურს .....	337
ბ – ს .....	338

## ხსოვნა

მურმან ლებანიძეს.....	340
ელგუჯა ამაშუპელს .....	342
ანზორ სალუქევაძეს .....	343
მიხეილ ხერგიანს.....	344
ზურა ჯაფარიძეს.....	346
***იქნება შენ ახლა ნადიოთბ ჯიხვიბზე.....	347
***მე ახე მგონია .....	348

***მცხვის ხიდიდან.....	349
ღუტოს.....	350
დ ა თ თ გ თ გ რ ი ჭ ი ა ნ ს .....	352
დ ა თ თ ს .....	353
გახო მუშკედის .....	354
მათე.....	355
არუთ ბიძას .....	356
მიხო ჭინჭარაულს .....	358
ბებია .....	360
ჩემს ბიძებს .....	364
ნაზი შამანაურს .....	365
გია აბესაძეს .....	366
ვაჟა ცირამუას .....	367

**დაიბეჭდა გამომცემლობა „ეროვნული  
მწერლობის“ სტამბაში. მხატვრის ქ. №4**

**ტელ.31-70-47**

**32-73-62**

**E.male**

**litandart@yahoo.com**

**vaja.otarashvili@yahoo.com**

**თბილისი. 2009**

የኢትዮ

፭፻፮፷፯

